

178
1981/2

ISSN 0132-5981
საქართველოს
საბავშვო ჟურნალი

საქართველო საბავშვო ჟურნალი




1981



სოციალიზმმა საქართველოს ნამდვილი თავისუფლება მოუტანა, გააძლიერა მისი ხალხის მთვლემარე უფრო მედგირითი ქალები. ისევე როგორც ყველა ჩვენმა რესპუბლიკამ, საბოლოო ხელისუფლების ფლებში საქართველომაც ძირეულად იცვალა სახე.

ლ. ი. გრეშენვი.
1981 წლის 22 მაისს თბილისში საზეიმო
სხდომაზე წარმოთქმული სიტყვიდან



სსსრ სსსრული

№ 3

მადის
ივნისი
1951 წელი

შურნალი გამოდის 1926 წლის 1 მარტიდან

**საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს,
კროკურატურისა და უმაღლესი სასამართლოს
მეცნიერულ-პრაქტიკული ჟურნალი**

ზ ი ნ ა ა რ ს ი

მეგობრობისა და ძმობის დღესასწაული 3

საქართველოში საბოტა ხელისუფლების გამარჯვების და საქართველოს კომპარტიის 80 წლისთავისათვის

დ. სტურუა — ლენინის დიადი ანდერძის განსახორციელებლად 6
საპა XXVI ყრილობის გადაწყვეტილებაზე — ცნობარაზე

ა. შუშანაშვილი — სკკპ XXVI ყრილობა და იუსტიციის ორგანოებისა და სასამართლოს
ამოცანები 18

შ. მახარაძე — უზრუნველყოთ სასამართლოების საქმიანობის მაქსიმალური ეფექტიანობა 28

თ. დონაშვილი — შრომის ორგანიზაციის სამართლებრივი ასპექტები 36

გ. ერემოვი — საბჭოთა საქართველოს კონსტიტუციის განვითარება სამოცი წლის მანძილზე 46

საქართველოში სახელმწიფო უშიშროების ორგანოების 80 წლისთავისათვის

ვ. ბენიძე — საქართველოს კომპარტია რესპუბლიკის საგანგებო კომისიის შექმნის ორ-
განიზატორი 54

დ. ცინცაძე — საქართველოს სასამართლოების სამოცი წელი 57

ო. ზანგური — საქართველოს სსრ პირველი პროკურორები და იუსტიციის სახალხო კო-
მისრები 60

ფაუნისტურ გარემანიაზე გამარჯვების 86-ე წლისთავისათვის

გ. ბერძენიშვილი — რწმენა 65

პ. მუზიჩენკო, ა. ხაჯალია — გარემოს ხარისხის მართვის ცნებისათვის. 68

ინფორმაცია 72

ნეკროლოგები 77

ცნობები ავტორთა შესახებ 80

СОДЕРЖАНИЕ

Праздник дружбы и братства	3
К 60-ЛЕТИЮ СОВЕТСКОЙ ГРУЗИИ И КОМПАРТИИ ГРУЗИИ	
Д. Стураа — Осуществить великие заветы Ленина	6
А. Шушанашвили — XXVI съезд КПСС и задачи органов юстиции и судов	18
Ш. Махарадзе — Обеспечить максимальную эффективность деятельности судов	28
Т. Донжашвили — Правовые аспекты организации труда	36
Г. Еремов — Развитие Конституции Советской Грузии за 60 лет	46
В. Бенидзе — Компартия Грузии — организатор создания ГЧК	54
Д. Цинцадзе — Шестидесятилетие судебных органов Грузии	57
О. Зангури — Первые прокуроры и народные комиссары Юстиции Советской Грузии	60
Г. Бердзенишвили — Убежденность	65
П. Музыченко, А. Хазалия — К понятию управления качеством окружающей среды	68
Информация	72
Некрологи	77
Сведения об авторах	80



სარედაქციო კოლეგია:

- ო. კაციტაძე (მთ. რედაქტორი), ლ. ალექსიძე, ა. ბარაბაძე,
- გ. ბერძენიშვილი (პ/მგ მდივანი), გ. ინწკირველი, აკ. კარანაძე,
- მ. ლეკვეიშვილი, გ. ტყეშელიაძე, ვ. ქვაჩახია, ა. შუშანაშვილი,
- ა. ხოჭოლავა, ს. ჯორბენაძე

© „საბჭოთა სამართალი“, 1981 წ.

რედაქციის მისამართი, თბილისი, კლდნაძის კვ. 103. ტ. 95-58-87, 95-88-49.

გადაეცა ასაწყობად 29. V. 81 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 2. IX. 81 წ.,
 ფორმატი 70×108¹/₁₆, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 5, პირობითი ნაბეჭდი
 ფურცელი 7. საარღიცივო-საგამომცემლო თაბახი 7,5
 შეკვ. № 1545 ტირაჟი 15.150 უე 14213

შეგობრობისა და ქობის ღვინისა

ბევრი დიდი და ნათელი ზეიმი ახსოვს საქართველოს უძველეს მიწასა და მის გმირ ხალხს. მაგრამ სულ სხვა იყო რესპუბლიკაში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის სამოცი წლისთავისადმი მიძღვნილი დღესასწაული, რომელიც მაისის მზიან დღეებში ჩვენთან ერთად გულწრფელად და შთაგონებით აღნიშნა სსრ კავშირის ხალხთა დიდმა და ურღვევმა ოჯახმა. იგი ნამდვილად გადაიქცა საყოველთაო-სახალხო ზეიმად, ლენინური იდეების ტრიუმფად, ხალხთა ინტერნაციონალური ქმობის დღესასწაულად. სამართლიანად, ხატოვნად ითქვა იმ დღეებში, რომ ეს იყო საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მწვერვალი. რესპუბლიკის სამოცი წლისთავის მოხალეობად თბილისში ჩვენი უკიდურესად ქვეყნიდან ჩამოვიდნენ მისი გულითადი და ერთგული მეგობრები, ყველა მოკავშირე რესპუბლიკის, გმირი ქალაქების — ჩვენი სამშობლოს გულის მოსკოვისა და ლეგენდარული ლენინგრადის წარმომადგენლები.

ჩვენი რესპუბლიკის მშრომელების, საქართველოს სახელოვანი პარტიული ორგანიზაციის დიდი აღფრთოვანება და სიხარული გამოიწვია იმან, რომ დღესასწაულში მონაწილეობის მისაღებად თბილისს ესტუმრა ყველაზე ძვირფასი, სასურველი და ნანატრი ადამიანი, მშვიდობისათვის დაუცხრომელი მებრძოლი, ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს ხელმძღვანელი, უთვალსაჩინოესი მარქსისტ-ლენინელი ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი.

ბრწყინვალე, შთამბეჭდავმა დღესასწაულმა კიდევ ერთხელ ცხადყო ჩვენი ხალხების მონოლითურობა, მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა, ის, თუ როგორ მტკიცედ არიან შეკავშირებული ისინი მშობლიური კომუნისტური პარტიის გარშემო, რაოდენ უნაპირობა მათი ერთგულება და სიყვარული ლენინის უკვდავი იდეებისადმი.

1921 წლის 21 თებერვალმა, რომელიც ახლა უკვე ისტორიის კუთვნილებად იქცა, ნამდვილი აღორძინება და აყვავება მოუტანა ქართველ ხალხს, მის უძველეს კულტურას და მადლიან მხარეს. ამ დღემ ბოლო მოუღო ჩაგვრისა და უსამართლობის სამყაროს, დაამკვიდრა ძმობა და მეგობრობა საქართველოში მოსახლე — ყველა ერისა და ეროვნების ცხოვრებაში. „გვა საუკუნეები, მაგრამ 1921 წლის 25 თებერვლის, იმ ისტორიული დღის ხსოვნას, როცა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების წითელი დროშა აფრიალდა, თაობები სასოებით გადასცემენ ერთმანეთს“¹.

საქართველომ საბჭოთა ხელისუფლების წლებში დიდი რული ხალხის უანგარო დახმარებით, ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხთან ძმური მეგობრობის მეოხებით შესანიშნავ შედეგებს მიაღწია. გადაიქცა ინდუსტრიულ და მაღალ განვითარებული სოფლის მეურნეობის ქვეყნად. „სოციალიზმმა — თქვა ლ. ი. ბრეჟნევი — საქართველოს ნამდვილი თავისუფლება მოუტანა, გამოადვიდა მისი ხალხის წიაღში მთვლემარე შემოქმედებითი ძალები. ისევე როგორც ყველა ჩვენმა რესპუბლიკამ საბჭოთა ხელისუფლების წლებში საქართველომაც ძირეულად იცვალა სახე“².


ამას მოწმობს რამდენიმე ციფრი: სამრეწველო პროდუქციის მოცულობა 1921 წელთან შედარებით 310-ჯერ და მეტად გაიზარდა; დღეს საქართველოში 110% სამრეწველო საწარმოა; მოქმედებს 3100 მექანიზებული ნაკადური და ავტომატური ხაზი; მეცხრე და მეათე ხუთწლიელების მანძილზე საქართველოში დამზადდა 5,5 მილიარდი მანეთით მეტი დიქტანტებისა და მერცხე ხუთწლიელებში. სოფლის მეურნეობის მთლიანმა პროდუქციამ გასულ ხუთწლიელებში 9,9 მილიარდი მანეთი შეადგინა, რაც 2,5 მილიარდით მეტია ვიდრე მეცხრე ხუთწლიელებში.

„რესპუბლიკის მშრომელთა შთამბეჭდავი მიღწევები — ნათქვამია სკკ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს

1 ე. შვედარდსაძე, სტატია — საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის 60 წლისთავი, გაზეთი „კომუნისტი“. 1981 წლის 19 მაისი.
2 ლ. ი. ბრეჟნევი, სიტყვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საზეიმო სხდომაზე, გაზეთი „კომუნისტი“. 1981 წლის 23 მაისი.

558.91





მისაღმებლაში საბჭოთა საქართველოს სამოცი წლისთავისადმი — განუხრებლად არის დაკავშირებული საქართველოს კომუნისტური პარტიის საქმიანობასთან. საქართველოს კომპარტიამ, როგორც სკკპ XXVI ყრილობაზე აღინიშნა, რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ტემპის მნიშვნელოვან ზრდას მიაღწია. მის მუშაობას ახასიათებს შემოქმედებითი მიდგომა საქმისადმი, ინიციატივიანობა და ახლის გრძნობა, ნაკლოვანებებისადმი შეუწყნარებლობა“.³

ჩვენი მშობლიური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ეს მაღალი შეფასება კიდევ უფრო მეტს ავალღებს რესპუბლიკის თითოეულ მშრომელს — მუშებს, გლეხებს, ინტელიგენციას.

საქართველოს პარტიული ორგანიზაციის თითოეული კომუნისტის, რესპუბლიკის ყველა მშრომლის წმიდათა წმინდა ვალია იყოს ამ შეფასების ღირსი, გაუფრთხილდეს მოპოვებულ ავტორიტეტს, არ შეზღავდეს, პირიქით კიდევ უფრო აამაღლოს იგი, პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობით განამტკიცოს მიღწეული, დალაშქროს ახალი მიჯნები, წარმატებით გადაწყვიტოს მეთერთმეტე ხუთწლიდის ამოცანები, რომლებიც სკკპ XXVI ყრილობამ დასახა. აუცილებელია უზრუნველვყოთ საწარმოო ძალების უფრო სწრაფი განვითარება, ადვილადლოთ აღამიანები კანონების განუხრებლად დაცვის, სოციალისტური საკუთრების განმტკიცების, შრომისადმი პატიოსანი დამოკიდებულების სულისკვეთებით.

„ღვეიში „ვიმუშაოთ უჩამორჩენილებოდ“, თითოეული შრომითი კოლექტივის ნორმა უნდა გაზდეს—ნათქვამია სკკპ ცენტრალური ომტეტის პოლიტიბიუროს წევრობის კანდიდატის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ე. ა. შევარდნაძის სტატიაში — საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის სამოცი წლისთავის გამო. — დიდი რეზერვებია მომჭირნობისა და ყიართიანობისათვის სოციალისტური შეჯიბრების მაქსიმალურად ფართოდ გაშლაში. და ეს რეზერვები ხუთწლიდის სამსახურში უნდა ჩაუყენოთ. კიდევ ერთი დიდი რეზერვია წარმოებაში დისციპლინის განმტკიცება, სხვადასხვა ნეგატიურ მოვლენებთან ბრძოლის გააქტიურება. სწორედ ამ ამოცანების გადაწყვეტის შედეგად მიაღწევს საბჭოთა საქართველოს ეკონომიკა იმ მაღალ მიჯნებს, რომლებიც პარტიამ მეთერთმეტე ხუთწლიდში დაგვისახა“.⁴

ჩვენი უკვე დაუწერელ კანონად, კარგ ტრადიციად იქცა დღესასწაულებისა და ზიიმის დღეებში გულდასმით გადავხედოთ და გავაანალიზოთ მიღწეული შედეგები, კრიტიკულად შევაფასოთ მთელი საქმიანობა, ხალხის ყურადღება მივაპყროთ ჯერ კიდევ გადაუჭრელი საკითხებისა და პრობლემებისადმი. ასეთი პრობლემები კი ბევრია და მათი გადაწყვეტისათვის აუცილებელია არ შევანელოთ შრომის ტემპი, ყველა შრომითმა კოლექტივმა თავი მოუყაროს ყველა რეზერვსა და საშუალებას მეთერთმეტე ხუთწლიდის უთუოდ და ვადამდე შესრულებისათვის.

თბილისში საზეიმო სხდომაზე წარმოთქმულ თავის სიტყვაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევი ამის თაობაზე ამბობდა: „რა თქმა უნდა, ამხანაგებო, ყოველივე შემონათქვამი როლი ნიშნავს, რომ თქვენ არა გაქვთ სერიოზული პრობლემები და ნაკლოვანებანი მუშაობაში. სამწუხაროდ ერთიც და მეორეც საკმაოდ არის.“

უახლოეს წლებში საქართველო უნდა დაწინაურდეს ეკონომიკური განვითარების ზოგიერთი არსებითი მაჩვენებლის მიხედვით. მაგალითად, თქვენ ჩამორჩით სოფლის მეურნეობის პროდუქციის, მეტადრე ხორცის, რძის, კვერცხის წარმოების მხრივ. მრეწველობაში ჯერ კიდევ დიდი გაქვთ კადრების დენადობა და სამუშაო დროის დანაკარგი. უფრო სწრაფად გმართებთ ახალ სიმძლავრეთა ათვისება. დაჩქარებულ ტემპს მოეღის მთელი რიგი საწარმოების რეკონსტრუქცია, ახალგაზრდა ნავთობმრეწველობის, მანგანუმის, სპილენძის მადნის

³ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მისაღმებიდან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოსადმი, გაზეთი „კომუნისტი“, 1981 წლის 22 მაისი.

⁴ ე. ა. შევარდნაძე, სტატია — საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის 60 წლისთავი, გაზეთი „კომუნისტი“, 1981 წლის 19 მაისი.

მომავლებელ სიმძლავრეთა განვითარება. ბევრი რამ გაქვთ გასაკეთებელი აგრეთვე საბინაო და მთელი რიგი სხვა სოციალური პრობლემების გადასაჭრელად. თქვენი ძალზე დიდმნიშვნელოვანი ამოცანაა შრომითი რესურსების უფრო სრული გამოყენება. საჭიროა, ისინი უფრო აქტიურად ჩააბათ საკვანძო სამეურნეო ამოცანების გადაწყვეტაში, როგორც თქვენს რესპუბლიკაში, ისე მის ფარგლებს გარეთ“⁵

ნათქვამია მოკლედ, მაგრამ შთამბეჭდავად, ღრმად და ამომწურავად.

რესპუბლიკის ადმინისტრაციული რგანოები მოვალენი არიან თავისი წვლილი შეიტანონ ამ ისტორიული ამოცანების განხორციელებაში. მათ ყველაფერი უნდა იღონონ რათა კვლავც გააჩანახლონ რესპუბლიკის ცხოვრების ყველა სფეროში მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატი, მტკიცედ იბრძოდნენ ყოველგვარი ანტისაზოგადოებრივ მოვლენათა წინააღმდეგ, სახელმწიფო და საშემსრულებლო დისციპლინის განმტკიცებისათვის, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დარგში მომთხოვნელობისა და მაღალი ზნეობრივი პრინციპების დამკვიდრებისათვის, ბიუროკრატიზმის აღმოფხვრისათვის. ყოველმხრივ უნდა გავაქტიუროთ ბრძოლა ჩვენი საზოგადოებისათვის ისეთი უცხო ანტიპოდების წინააღმდეგ, როგორც არის სახელმწიფო ქონების დატაცება, მეჭრთამეობა, სპეკულაცია, მუქთახორობა, რომელთა დაძლევა მეტად ნელი ტემპით მიმდინარეობს. სასამართლოს, პროკურატურის, იუსტიციის სამსახურის ყველა მუშაკისათვის სახელმძღვანელოდ უნდა იქცეს ლ. ი. ბრეჟნევის შემდეგი სიტყვები: „რაც შეიძლება ნაკლები მყვირალა ფრაზები და კამპანიურობა, და რაც შეიძლება მეტი პასუხისმგებლობა, იმის უნარი, რომ საქმიანად, დინჯად ვერკვეოდეთ საქმის ვითარებაში, თავს არ ვიტყუებდეთ მაღალფარდოვანი სიტყვებით და რეალისტურად ვაფასებდეთ როგორც შესაძლებლობებს, ისე სიძნელეებს, როგორც წარმატებებს, ისე ნაკლოვანებებს“.

თავის სამოცი წლისთავს საბჭოთა საქართველო შეხვდა დიდი მიღწევებით სამეურნეო და კულტურული ცხოვრების ყველა სფეროში. გვჭერა, რომ საბჭოეთის ყველა ხალხების ძმური დახმარებით, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით, საქართველოს მშრომელები კვლავც ისახელებენ თავს, წარმატებით შეასრულებენ მეთერთმეტე ხუთწლიდის ამოცანებს, თავის წვლილს შეიტანენ კომუნისტების მშენებლობაში.

⁵ ლ. ი. ბრეჟნევი, სიტყვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საზეიმო სხდომაზე, გაზეთი „კომუნისტი“, — 1981 წლის 23 მაისი:



**საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისა
და საქართველოს კომპარტიის 60 წლისთავისათვის**

ლენინის დიდი ანდჳიძის განსახორციელებად

დ. სტურუბა,

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის
ინსტიტუტის დირექტორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

სამოცი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც საქართველოს მშრომელებმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, საბჭოთა რუსეთის დახმარებით დაამხეს საძულველი მენშევიკური რეჟიმი. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლებამ გაიმარჯვა. ქართველი ხალხის ეს გმირული ბრძოლა განუყრელად არის დაკავშირებული დიდი ლენინის უკვდავ სახელთან.

სოციალური თავისუფლებისა და თანასწორობისათვის მშრომელი ხალხის ბრძოლის მრავალსაუკუნოვანმა ისტორიამ ადამიანის ბედნიერებისათვის მებრძოლთა ბევრი სასიქადულო სახელი შემოგვინახა. მითოლოგიამ და მხატვრულმა შემოქმედებამ შექმნეს ასობით გმირის სახე, რომლებმაც თავიანთა სიცოცხლე მსხვერპლად გაიღეს იმისათვის, რომ სიკეთეს დაეძლია ბოროტება. ამ გმირთა სახელებს შორის ბრწყინავს ქვეყნად ყველაზე ადამიანური ადამიანის — ვლადიმერ ილიას ძე ლენინის სახელი, რომელიც, რევოლუციის დიდი პოეტის ვლადიმერ მაიაკოვსკის სიტყვებით რომ ვთქვათ, ღღესაც ყველა ცოცხალზე უფრო ცოცხალია. ვლადიმერ ილიას ძე ლენინმა შექმნა და გამობრძმედა რუსეთის პროლეტარიატის მარქსისტული პარტია, ახალი ტიპის პარტია, სახელოვანი კომუნისტური პარტია — ჩვენი ეპოქის გონება, პატიოსნება და სინდისი. ვ. ი. ლენინის ხელმძღვანელობით განხორციელდა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია — XX საუკუნის უმთავრესი მოვლენა. ვ. ი. ლენინი სათავეში ჩაუდგა მის მიერ შექმნილ მსოფლიოს პირველ მუშათა და გლეხთა სახელმწიფოს. ჩავვრისა და ექსპლუატაციისაგან თავისუფალ პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოს, რომელიც ჩვენი ქვეყნის ყველა მშრომელი კლასის, ფენისა და ჯგუფის ინტერესებს, სოციალურ და ეროვნულ მისწრაფებებს გამოხატავს.

მსოფლიო პროლეტარიატის ბელადის დაბადების მეასე წლისთავისადმი მიძღვნილ მოხსენებაში „ლენინის საქმე ცოცხლობს და იმარჯვებს“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა აღნიშნა: „სოციალიზმის მშენებლობის ლენინური გეგმა მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის ამოცანის გადაწყვეტისადმი მეცნიერული, კომპლექსური და რეალისტური მიდგომის ნიმუშია. ეს გეგმა მოიცავდა სოციალური შენობის ყველა სართულს — საწარმოო ძალების განვითარებასაც, საზოგადოებრივი ურთიერთობის შეცვლასაც, ადამიანთა სულიერი სამყაროს გარდაქმნასაც“¹.

მსოფლიოში პირველი უკლასო საზოგადოების, მისი პირველი ფაზის — სოციალიზმის აშენების ლენინურ გეგმაში დიდი ყურადღება დაეთმო რუსეთის იმპერიის ყოფილ განაპირა ეროვნულ მხარეებს — ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკებს. ზუსტად 60 წლის წინათ ვ. ი. ლენინმა თავის ცნობილ წერი-

¹ ლ. ი. ბრეჟნევი, ლენინური კურსით, სიტყვები და სტატიები. ტ. 2, გვ. 610.

ლში „აზერბაიჯანის, საქართველოს, სომხეთის, დაღესტნის და მთიელთა რესპუბლიკის ამხანაგ-კომუნისტებს“ დასახა ამ მხარის სოციალური გარდაქმნის ზუსტი პროგრამა. ვ. ი. ლენინის წერილი მაღალი პროლეტარული ინტერნაციონალიზმის, ჭეშმარიტად ლენინური ჰუმანიზმის ამადელვებელი. დოკუმენტი, კომუნისტური პარტიის ბრძნული ლენინური ეროვნული პოლიტიკის განსახიერებაა.

ჯერ კიდევ 1921 წლის 2 მარტს ვ. ი. ორჯონიკიძისადმი წერილში ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ „საქართველოს როგორც საშინაო, ისე საერთაშორისო პირობები მოითხოვს ქართველი კომუნისტებისაგან რუსული შაბლონის გამოყენებას კი არა, არამედ ისეთი თავისებური ტაქტიკის მოხერხებულად და მოქნილად შემუშავებას, რომელიც ყოველგვარი წვრილბურჟუაზიული ელემენტებისადმი მეტ დამომოხლობაზე იქნება დამყარებული“².

ვლადიმერ ილიას ძე აღნიშნავდა, რომ მტკიცე წითელი არმიის შექმნასთან ერთად საჭიროა ქართველი ინტელიგენციისა და წვრილი ბურჟუაზიის მიმართ დათმობათა განსაკუთრებული პოლიტიკა³.

ეს დებულებები კიდევ უფრო მეტად არის დაკონკრეტებული და გაღრმავებული წერილში „აზერბაიჯანის, საქართველოს, სომხეთის, დაღესტნისა და მთიელთა რესპუბლიკის ამხანაგ კომუნისტებს“. ვ. ი. ლენინი მხურვალედ მიესალმებოდა კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკებს და გამოთქვამდა იმედს, რომ „მათი მჭიდრო კავშირი შექმნის ბურჟუაზიის დროს არნახული და ბურჟუაზიულ წყობილებაში შეუღლებელი ეროვნული მშვიდობიანობის ნიმუშს“⁴.

ვლადიმერ ილიას ძე კავკასიელ კომუნისტებს ურჩევდა მხარის აღორძინების მიზნით გამოეყენებინათ კაპიტალისტური დასავლეთის კონცესიები და მასთან საქონელგაცვლის პოლიტიკა, ამასთან სთავაზობდა დაეწყოთ „ელექტრიფიკაციის, მორწყვის დიდი სამუშაოები. მორწყვა ყველაზე მეტად საჭიროა და ყველაზე უფრო გარდაქმნის მხარეს, აღორძინებს მას, დაასამარებს წარსულს, განამტკიცებს სოციალიზმზე გადასვლას“⁵.

ამ წერილში ვ. ი. ლენინი კვლავ მოუწოდებს მხარის ბოლშევიკებს: „ბრძალე კი არ უნდა გადაიღოთ ჩვენი ტაქტიკა, არამედ დამოუკიდებლად უნდა გაიაზროთ მისი თავისებურების მიზეზები, მისი პირობები და შედეგები, ადგილობრივ უნდა გამოიყენოთ 1917-1921 წლების გამოცდილების არა ანბანსიტყვა, არამედ სული, აზრი, გაკვეთილები“⁶. ვლადიმერ ილიას ძე განსაკუთრებით მიაპყრობს ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების ყურადღებას იმას, რომ მეტი სირბილე, სიფრთხილე და დამომოხლობა მართებთ წვრილი ბურჟუაზიის, ინტელიგენციის და განსაკუთრებით გლეხობის მიმართ⁷. ვ. ი. ლენინი აყენებს ამოცანას იმოქმედონ ფართოდ, მტკიცედ, მოხერხებულად, წინდახედულად, რათა გააუმჯობესონ მუშებისა და გლეხების მდგომარეობა, ჩააბან სამეურნეო მშენებლობაში ინტელიგენცია, და მოუწოდებს: „მთელი ძალ-

² ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 32, გვ. 190.

³ იქვე, გვ. 189.

⁴ იქვე, გვ. 397.

⁵ იქვე, გვ. 399-400.

⁶ იქვე, გვ. 399.

⁷ იქვე, გვ. 398.

ღონით განავითარეთ მდიდარი მხარის საწარმოო ძალები, თეთრი ნახშირა, მორწყვა...“⁸.

ყველა ამ მითითების შესრულება ვ. ი. ლენინს ძნელ, მაგრამ საცხებით რეალურ ამოცანად მიაჩნდა.

ამრიგად, კავკასიის კომუნისტებისადმი ვ. ი. ლენინის წერილში ამომწურავი სიღრმით და სიზუსტით არის განსაზღვრული მათი სტრატეგიული და ტაქტიკური ამოცანები ეკონომიკის და პოლიტიკის დარგში სოციალისტური მშენებლობის ურთულეს, დაწყებითს პერიოდში.

ვ. ი. ლენინი იყო იმ დიდი დახმარების ინიციატორიც, რომელსაც საბჭოთა რუსეთი უწყევდა ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკებს. წარსულისაგან მემკვიდრეობით მიღებული ეკონომიკური და კულტურული უთანასწორობის აღმოსაფხვრელად საბჭოთა სახელმწიფო ეროვნულ განაპირა მხარეებს უსახავდა უფრო სწრაფი განვითარების ტემპს, ვიდრე შედარებით დაწინაურებულ რუსეთის ცენტრალურ რაიონებს.

წერილში „ეროვნებათა საკითხისათვის ანუ „ავტონომიზაციის“ შესახებ“ ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა: „...ინტერნაციონალიზმი მჩაგვრელი ანუ ეგრეთ წოდებული „დიდი“ ერისა... უნდა მდგომარეობდეს არა მარტო ერების ფორმალური თანასწორობის დაცვაში, არამედ ისეთ უთანასწორობაშიც, რომელიც მჩაგვრელი ერის, დიდი ერის მხრივ აანაზღაურებდა იმ უთანასწორობას, რაც ცხოვრებაში ფაქტიურად იქმნება“⁹.

რუსეთის ფედერაცია სხვა საბჭოთა რესპუბლიკებს უანგაროდ უზრუნველყოფდა დოტაციით, რითაც თავის წმიდათაწმიდა ინტერნაციონალურ მოვალეობას ასრულებდა. უწინარეს ყოვლისა ამით ვლინდებოდა ხალხთა ლენინური მეგობრობა, პროლეტარული ინტერნაციონალიზმი. საბჭოთა ეროვნული რესპუბლიკების ბიუჯეტის დეფიციტი ძირითადად რუსეთის ფედერაციის ხარჯზე იფარებოდა. მაგალითად, ლენინური გოელროს გეგმის პირმშოს — ზემო ავჭალის ჰიდროელექტროსადგურის აგების დასაწყებად რუსეთის სფს რესპუბლიკამ გამოყო 700 ათასი ოქროს მანეთი, ხოლო მისი მშენებლობის დროს საბჭოთა საქართველო სისტემატურად იღებდა ფინანსურ და მატერიალურ დახმარებას რუსეთისაგან.

რუსეთის ფედერაციის მთავრობამ ამიერკავკასიის რესპუბლიკებს გადასცა მთელი მოწყობილობა საქსოვი ფაბრიკებისათვის. ამ მოწყობილობის ბაზაზე აშენდა და ამოქმედდა ქუთაისის მაუდის ფაბრიკა.

საბჭოთა რუსეთი საქართველოს ეხმარებოდა მრეწველობისათვის საჭირო ნედლეულითა და სურსათით. 1921 წლის 7 ივლისს დეპეშაში, რომელიც რუსეთის სფს რესპუბლიკის სურსათის სახალხო კომისარიატის რწმუნებულს გაუგზავნა როსტოვში, ვ. ი. ლენინი წერდა: „იმის გამო, რომ საქართველოში მძიმე სასურსათო მდგომარეობაა, წინადადება გეძლევათ, ივლისის მანძილზე, თბილისში, საქართველოს სურსათის სახალხო კომისარიატის მისამართით გაგზავნოთ 100 ათასი ფუთი პური. მიღება და შესრულება დაგვიდასტურეთ“¹⁰.

⁸ ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 32, გვ. 398.

⁹ ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 36, გვ. 692.

¹⁰ ციტირებულია წიგნის — „საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევების“ მხედვით, ნაწ. II, გვ. 12.

ვ. ი. ლენინი და კომუნისტური პარტია ნიდაგ ზრუნავდნენ არა მარტო ამიერკავკასიის რესპუბლიკების ეკონომიკის განვითარებისათვის, არამედ აგრეთვე მხარის ხალხთა კულტურის ყველა დარგის აღმავლობისათვისაც.

სსრ კავშირის ხალხთა კულტურის დონეთა გათანაბრებისათვის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს პირველ ღონისძიებებს განეკუთვნება უწიგნურობის ლიკვიდაციის, ზოგადსაგანმანათლებლო, საშუალო სპეციალური და უმაღლესი სკოლების ქსელის გაფართოების, რუსეთის ფედერაციის მაგალითისამებრ მათი რეორგანიზაციის ღონისძიებანი; ახალი თეატრების გახსნა და თეატრალური კოლექტივებისათვის მუშაობის ნორმალური პირობების შექმნა; საგამომცემლო საქმის ნაციონალიზაცია; ჟურნალ-გაზეთების, ბიბლიოთეკების, კლუბების ქსელის გაფართოება და ა. შ.

აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს ბოლშევიკებმა ზორცი შეახსენეს ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის ლენინურ იდეას და ნამდვილად უზრუნველყვეს მხარის ყველა ხალხის მჭიდრო კავშირი. განსაკუთრებით უნდა ითქვას, რომ ვ. ი. ლენინს არაერთგზის აღუნიშნავს ხაზგასმით ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკების ფედერაციული კავშირის აუცილებლობა და დიდი პოლიტიკური და ეკონომიკური სარგებლობა. „აუცილებლად უნდა ვისწრაფოდეთ, — წერდა ვ. ი. ლენინი, — უფრო და უფრო მჭიდრო ფედერაციული კავშირისაკენ და მხედველობაში გვქონდეს ჯერ ერთი ის, რომ შეუძლებელია შევინარჩუნოთ არსებობა საბჭოთა რესპუბლიკებისა, რომელნიც გარშემორტყმული არიან სამხედრო მხრივ შეუდარებლად უფრო მძლავრი მთელი მსოფლიოს იმპერიალისტური სახელმწიფოებით, თუ უმჭიდროესი კავშირი არ იქნა საბჭოთა რესპუბლიკებს შორის; მეორე ის, რომ აუცილებელია საბჭოთა რესპუბლიკების მჭიდრო ეკონომიკური კავშირი, ურომლისოდაც განუხორციელებულია იმპერიალიზმის მიერ დანგრეულ საწარმოო ძალთა აღდგენა და მშრომელთა კეთილდღეობის უზრუნველყოფა; მესამე. ტენდენცია ერთიანი, ყველა ერის პროლეტარიატის მიერ საერთო გეგმით მოწესრიგებული, მსოფლიო მეურნეობის როგორც მთელის შექმნისაკენ...“¹¹.

ზემომოყვანილი ციტატა ნათლად გვიჩვენებს ვ. ი. ლენინის პრინციპულ პოზიციას საბჭოთა რესპუბლიკების ფედერაციული გაერთიანების მიმართ. საიდუმლო როდია, რომ ზოგიერთი ისტორიკოსი და ლიტერატორი ცდილობს არსებითად დაამახინჯოს ვ. ი. ლენინის პოზიცია ამ საკითხში და საქმე ისე წარმოსახოს, თითქოს ვლადიმერ ილიას ძე ლამის ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის წინააღმდეგი ყოფილიყო. ამიერკავკასიის ფედერაციის მიმართ ვ. ი. ლენინის გარკვეულ და არაოქრაზროვან პოზიციას მოწმობს მრავალი დოკუმენტი, მათ შორის მისი ბარათი ი. ბ. სტალინისადმი. მოგვყავს იგი მთლიანად:

„28/XI

ამხ. სტალინ! ძირითადად გეთანხმებით. მაგრამ ვგონებ, ფორმულირება ცოტა სხვანაირი უნდა იყოს.

1) ამიერკავკასიის რესპუბლიკების ფედერაციის შექმნა აღიარებულ იქნეს პრინციპულად აბსოლუტურად სწორად, რაც უეჭველად უნდა განხორციელდეს, მაგრამ დაუყოვნებლივ პრაქტიკული განხორციელების მხრივ ნაადრე-

¹¹ ვ. ი. ლენინი. თხზ. ტ. 31. გვ. 164.

ვად, ე. ი. მისი განხორციელება მოითხოვს დროის განსაზღვრულ პერიოდს განხილვის, პროპაგანდისა და საბჭოურად ქვევიდან გატარებისათვის;

2) წინადადება მიეცეს (კავშიურის მეშვეობით) საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის ცენტრალურ კომიტეტებს ფედერაციის საკითხი დააყენონ უფრო ფართოდ განსახილველად პარტიისა და მუშათა და გლეხთა მასების წინაშე, ენერჯიული პროპაგანდა გააჩაღონ ფედერაციის სასარგებლოდ და გაიყვანონ იგი თვითეული რესპუბლიკის საბჭოების ყრილობებზე; დიდი ოპოზიციის შემთხვევაში ზუსტად და დროულად ეცნობოს ეს რკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროს.

ლ ე ნ ი ნ ი¹².

1921 წლის 29 ნოემბერს ვ. ი. ლენინის ეს პროექტი რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიურომ მიიღო.

ამიერკავკასიის კომუნისტურ ორგანიზაციათა V ყრილობისადმი ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის პოლიტიკურ ანგარიშში, რომელიც ი. დ. (მამია) ორახელაშვილმა გააკეთა, მთლიანად არის მოყვანილი ეს ლენინისეული დოკუმენტი შესაბამისი კომენტარით. თავისი მოხსენების დასკვნითს ნაწილში, რომელსაც მჭევრმეტყველურად უწოდა „ამიერკავკასიის სფს რესპუბლიკის მოწინააღმდეგენი ლენინის მოწინააღმდეგენი არიან“. მ. ორახელაშვილმა თქვა:

„ამრიგად, ეჭვი არ არის, რომ ამიერკავკასიის ფედერაცია, ასე ვთქვათ, ჩვენი ცენტრალური კომიტეტის, მისი ხელმძღვანელი ორგანოს — პოლიტიბიუროსა და პოლიტიბიუროს ხელმძღვანელის ამხ. ლენინის პოლიტიკური პირმშობა, და ისინი, ვინც ახლა ცდილობს დამალოს ამიერკავკასიის ფედერაცია, ვინაიდან იგი ჩვენი ეროვნული პოლიტიკის „დამახინჯებად“ მიაჩნია, თვლის, რომ ეს ფედერაცია „კავკასიის ბოროტი გენიების“ — სტალინის ან ორჯონიკიძის საქმეა, ისინი არსებითად ლენინის წინააღმდეგ გამოდიან, ლენინს უტყევენ“¹³.

ამიერკავკასიის ფედერაციის არსებობის პერიოდში ვ. ი. ლენინის ანდერძის ერთგულმა აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს მშრომელებმა აღადგინეს ომითა და ინტერვენციით დანგრეული სახალხო მეურნეობა, განახორციელეს მხარის ინდუსტრიალიზაცია და კოლექტივიზაცია, მოახდინეს ნამდვილი კულტურული რევოლუცია, საფუძველი ჩაუყარეს სოციალისტურ სოფოგადობას. ჩამოყალიბდა აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს სოციალისტური ერები, შეიქმნა მათი მორალურ-პოლიტიკური ერთობა. ამიერკავკასიის, კერძოდ, საქართველოს მშრომელთა ყველა ეს წარმატება კომუნისტური პარტიის ბრძნული ლენინური ეროვნული პოლიტიკის განხორციელების, მხარის ბოლშევიკთა მიერ ილიჩის ბრძნული რჩევა-დარიგებისა და მითითებების შესრულების პრაქტიკული შედეგი იყო.

ქართველმა ხალხმა, ისევე როგორც ერთიან, მძლავრ სსრ კავშირად გაერთიანებულმა საბჭოთა კავშირის ყველა ხალხებმა, პირნათლად გაუძლო უმძიმეს განსაცდელს დიდი სამამულო ომის წლებში. საქართველოდან 700 ათასზე მეტი მეომარი წავიდა ფრონტზე. ზურგში დარჩენილმა მშრომელებმა რესპუბლიკა საბჭოთა შეიარაღებული ძალების ერთ-ერთ არსენალად გადააქციეს.

¹² ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 33, გვ. 134.

¹³ ამიერკავკასიის კომუნისტურ ორგანიზაციათა V ყრილობა. (სტენოგრაფიული ანგარიში). თბ., 1928, გვ. 24.



ქართველი მამულიშვილები ვასაოცარ გმირობას იჩენდნენ ომის ყველა ფრონტზე, პარტიზანულ ბრძოლასა თუ წინააღმდეგობის მოძრაობის მეომართა რიგებში.

ჩვენი რესპუბლიკის 300 ათასზე მეტი წარმომადგენელი დაიღუპა სამშობლოს ღირსების, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში. ფაშისტური ჭირისაგან მსოფლიო ცივილიზაციის ხსნისათვის ბრძოლებში. საქართველოდან წასული დაახლოებით 245 ათასი მეომარი დაჯილდოვდა სსრკავშირის საბრძოლო ორდენებითა და მედლებით გერმანელ ფაშისტ-დამპყრობთა, იაპონელ მილიტარისტთა და მათს სატელიტთა წინააღმდეგ ბრძოლაში გამოჩენილი მამაცობისა და ვაჟკაცობისათვის. 162 მეომარს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის მაღალი წოდება.

აღნიშნა რა ქართველ მამულიშვილთა გმირობა და თავდადება დიდი სამამულო ომის წლებში, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა თქვა: „ახალი წყობილების ურყევი ძლიერება. საბჭოთა პატრიოტიზმი, რომელმაც ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხი შეაკავშირა, უდიდესი ძალით გამოვლინდა დიდი სამამულო ომის მკაცრ წლებში. ამ ისტორიულ ბრძოლაში საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის მხარდამხარ იბრძოდა საქართველოც...“

მთელ მრავალეროვან საბჭოთა არმიასთან ერთად ქართველმა მებრძოლებმა გამარჯვების გზა განვლეს კავკასიის მთებიდან ბერლინამდე...

მხედრული გმირობის შესაფერი იყო იპაძე შრომითი გმირობაც, ვინც ზურგში მუშაობდა. საქართველო ფრონტს აძლევდა თვითმფრინავებს, ავტომატურ იარაღსა და სხვა სახეობის შეიარაღებას, ტყვია-წამალსა და სურსათს. პოსპიტალებად გადაკეთებულმა საქართველოს საავადმყოფოებმა და ჯანმრთელობის კერებმა ასეულ ათასობით დაჭრილს შეუწყვეს ხელი კვლავ დაბრუნებულებს ფრონტზე. გულითადი ზრუნვით ეკიდებოდა ქართველი ხალხი სხვა რესპუბლიკებიდან ევაკუირებულთ. აქ ერთხელ კიდევ იჩინა თავი ხალხთა ლენინურმა მეგობრობამ, საბჭოთა მრავალეროვანი სახელმწიფოს ძლიერებისა და უძლეველობის ურყევემა საფუძველმა¹⁴.

კავკასიისათვის ბრძოლის პერიოდში განთქმული მე-18 არმიის რიგებში მამაცურად იბრძოდა პოლიტგანყოფილების უფროსი. მთელი არმიის სული და გული ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი, რომლის სახელთანაც განუყრელად არის დაკავშირებული მცირე მიწის გმირული ეპოპეა, უკვდავი ფურცლები რომ ჩაწერა დიდი სამამულო ომის მატთანში. მცირე მიწაზე დესანტის გადასხმაში, მე-18 არმიის სადესანტო ნაწილების მომარაგებაში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ შავი ზღვის სამხედრო-საზღვაო ფლოტი და აზოვის სამხედრო ფლოტილია, რომლებსაც ბაზები ჰქონდათ საქართველოს შავი ზღვის ნავსადგურებში — ზათუმში, ფოთში, სოხუმში.

უმავალითა საბჭოთა საქართველოს წარმატებანი ეკონომიკის განვითარებაში. 60 წლის მანძილზე საქართველო აგრარული ქვეყნიდან გადაიქცა მოწინავე ინდუსტრიულ-საკომეურნეო რესპუბლიკად. მან ჭეშმარიტად ფანტასტიკური ნახტომი გააკეთა ჩამორჩენილობიდან პროგრესისაკენ.

ამჟამად საქართველოში მოქმედი მრეწველობის სხვადასხვა დარგის

¹⁴ ლ. ი. ბრეჟნევი. ლენინური კურსით, ტ. 3, გვ. 327-373.

1.400 დიდი და საშუალო საწარმო ორ დღეში უშვებს უფრო მეტ პროდუქციას, ვიდრე საქართველო აწარმოებდა მთელი 1920 წლის მანძილზე. საქართველოს მრეწველობის წამყვანი დარგებია მანგანუმის, ქვანახშირის მოპოვება, შავი და ფერადი მეტალურგია, მანქანათმშენებლობა, ხელსაწყოთმშენებლობა, კლითონდამუშავება, ელექტროენერგეტიკული, ელექტროტექნიკური, ქიმიური, კვების, მსუბუქი მრეწველობა.

უდიდესი სამრეწველო საწარმოები გახდა რუსთავის მეტალურგიული, ცემენტის, აზოტის სასუქის ქარხნები, ქიმიური კომბინატი და სინთეზური ბოქვოს ქარხანა, ქუთაისის საავტომობილო, ელექტრომექანიკური ქარხნები და აბრეშუმის კომბინატი, გორის ბამბეულის კომბინატი, თბილისის საავიაციო, ელმავალსაშენებელი და ჩარხსაშენებელი ქარხნები, სართავ-სატრიკოტაჟო და კამვოლ-მაულის კომბინატები, ფეხსაცმლის ფაბრიკა „ისანი“; ბათუმის ნავთობგადასამუშავებელი, გემთსაშენებელი და ელექტრომექანიკური ქარხნები; ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა, მარნეულის სამთოგამამდიდრებელი და კვანისის სამთამადნო კომბინატები; ტყვარჩელის, თბილისის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურები და ბევრი სხვა.

ამ საწარმოთა პროდუქცია — ჩარხები, ზუსტი ხელსაწყოები, ელმავლები, ფოლადის მილები, სინთეზური ბოქვო, წყალქვეშაფრთიანი კატარღები, ნავთობპროდუქტები, მსუბუქი და კვების მრეწველობის ფართო ასორტიმენტის ნაწარმი იგზავნება მსოფლიოს 100-ზე მეტ ქვეყანასა და ჩვენი თვალუწვდენი სამშობლოს ყველა კუთხეში.

მთელი საქართველო ახალმშენებლობათა ხარაჩოებშია. ყოველწლიურად მწყობრში დგება ფაბრიკა-ქარხნების ახალი კორპუსები, შენობები და მაღაროები, შენდება ახალი საცხოვრებელი მასივები, კულტურის ობიექტები.

საქართველოს ეკონომიკის სტრუქტურაში მომხდარმა ცვლილებებმა განაპირობეს ცვლილებანი საზოგადოების სოციალურ სტრუქტურაში. თუ 1920 წელს საქართველოში 50 ათასამდე მუშა იყო, ახლა რესპუბლიკის მუშათა კლასის რიცხვმა 1200 ათასს გადააჭარბა. უნდა აღინიშნოს აგრეთვე პროგრესული ცვლილებანი საქართველოს მუშათა კლასის თვისებრივ შემადგენლობაში, კლასისა, რომელიც ღირსეულად ასრულებს საზოგადოების წამყვანი ძალის ფუნქციებს.

დღევანდელი საქართველო დიდად განვითარებული მრავალდარგიანი სოფლის მეურნეობის მხარეცაა. საქართველოს სოფლის მეურნეობის წამყვანი დარგებია მეჩაიეობა, მევენახეობა, მეციტრუსეობა, მეხილეობა, მეთამბაქოეობა, რომელთაც დიდი ხვედრითი წონა აქვთ საბჭოთა კავშირის მასშტაბით ამ პროდუქტთა წარმოებაში. საქართველო სუბტროპიკული და ტექნიკური კულტურების ერთ-ერთი ძირითადი მიმწოდებელია.

საბჭოთა ხელისუფლების 60 წლის მანძილზე ძირეულად შეიცვალა სოფლის და სოფლის მშრომელთა იერსახე. მართალია, ამ წლების მანძილზე გლეხობის ხვედრითი წონა საზოგადოების სოციალურ სტრუქტურაში მკვეთრად შემცირდა, მაგრამ ასევე მკვეთრად გაუმჯობესდა მისი თვისებრივი შემადგენლობა. კოლმეურნეთა უმრავლესობას აქვს საშუალო და საშუალო სპეციალური განათლება, განუზომლად გაიზარდა მათი კულტურულ-ტექნიკური დონე. მიმდინარეობს სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო შრომის შემდგომი დაახლოება, თანდათან იშლება არსებითი სხვაობა ქალაქსა და სოფელს შორის.

მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის მოთხოვნილებებსა და ფსიქოლოგიას შორის.

ეკონომიკის სწრაფ განვითარებას თან სდევდა მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურის დონის განუხრელი აღმავლობა. კომუნისტური პარტია დღენიადგ ზრუნავდა მშრომელთა განუწყვეტლივ მზარდ მატერიალურ და სულიერ მოთხოვნილებათა მაქსიმალური დაკმაყოფილებისათვის, თანმიმდევრულად იბრძოდა მათი მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობების, სამედიცინო, კომუნალური, სავაჭრო და კულტურული მომსახურების გაუმჯობესებისათვის.

საქართველო დაიფარა სამკურნალო და საკურორტო დაწესებულებების, საყოფაცხოვრებო მომსახურების, ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების ობიექტების, საბავშვო ბაგა-ბაღების ხშირი ქსელით.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში მთლიანად ლიკვიდირებულია უწიგნურობა, განხორციელდა საყოველთაო სავალდებულო საშუალო განათლება. საქართველოში მუშაობს 1.800 საშუალო სკოლა და ტექნიკუმი, 78 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი.

საბჭოთა კავშირში საქართველო ერთ-ერთ პირველ ადგილზეა უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მხრივ. რესპუბლიკის 20 უმაღლეს სასწავლებელში 100 ათასამდე სტუდენტი სწავლობს.

1941 წელს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის ბაზაზე შეიქმნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, რომელიც საბჭოთა მეცნიერების ერთ-ერთი უდიდესი ცენტრი გახდა. ახლა საქართველოში მეცნიერებათა აკადემიის სისტემისა და სხვა უწყებათა ორასზე მეტი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტია. უმაღლეს სასწავლებლებსა და სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში მუშაობს 23 ათასი მეცნიერი თანამშრომელი, მათ შორის 1.200 მეცნიერებათა დოქტორი და 7.400 კანდიდატი.

მთელ მსოფლიოში ცნობილია მათემატიკის, ფიზიოლოგიის, გეოლოგიის, აღმოსავლეთმცოდნეობის, ენათმეცნიერების, ისტორიის ქართული სკოლები, რომლებსაც თავიანთი მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ საბჭოთა და მსოფლიო მეცნიერებაში.

ქვეყნის მთელს აყვავდა ქართული საბჭოთა ლიტერატურა და ხელოვნება, რომელნიც ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტურია. ქართველ მწერალთა, მხატვართა, კინემატოგრაფისტთა, თეატრალურ მოღვაწეთა, კომპოზიტორთა ბევრ ნაწარმოებს მიენიჭა ლენინური, სახელმწიფო და სხვა საკავშირო და რესპუბლიკური პრემიები, ისინი ფართოდ ცნობილია არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ საზღვარგარეთაც.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა აღნიშნა: „საბჭოთა კავშირში დიდად აფასებენ და უყვართ ქართული ხელოვნება — საბჭოთა კულტურის ერთ-ერთი მძლავრი ნაყოფიერი ნაკადი. ქართული მუსიკა, პოეზია, თეატრი, კინო ამდიდრებენ საბჭოთა აღმავლების შინაგან სამყაროს. მოუწოდებენ მათ სიკეთისათვის, ნათელი იდეალებისათვის, აღანთებენ საბრ-

ძოღველად ყოველივე იმის წინააღმდეგ, რაც ხელს უშლის ბედნიერ, სიხარულით აღსავსე ცხოვრებას¹⁵.

საქართველოში მუშაობს 23 თეატრი. ქართულ ეროვნულ თეატრალურ კოლექტივებთან ერთად რესპუბლიკაში მოქმედებენ რუსული, სომხური, აფხაზური და ოსური თეატრები. საბჭოთა ხელისუფლების წლებში კინოსტუდია „ქართულ ფილმში“ გადაღებულია 400-ზე მეტი ფილმი. საბჭოთა კავშირის საკონცერტო და საგამოფენო დარბაზები საბჭოთა კავშირისა და საზღვარგარეთის ბევრი ქვეყნის მსმენელებსა და მყურებლებს აცნობენ ქართველი კომპოზიტორების, საგუნდო და ქორეოგრაფიული კოლექტივების, ფერმწერების, გრაფიკოსების, მოქანდაკეების, ოქრომჭედლების შესანიშნავ ნაწარმოებებს.

რესპუბლიკაში მასობრივი ტირაჟებით გამოდის წიგნები, ეჟურნალ-გაზეთები, ალმანახები ქართულ, რუსულ, აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე, აგრეთვე ცალკეული გამოცემები ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ, ესპანურ, არაბულ, სპარსულ და თურქულ ენებზე.

1980 წელს წიგნების, ყველა ბეჭდვითი ერთეულის რაოდენობამ 2500 დასახელებას გადააჭარბა, მათი საერთო ტირაჟი იყო 16 მილიონ ეგზემპლარზე მეტი, 1913 წელს კი გამოვიდა მხოლოდ 694 დასახელების წიგნი, რომელთა ტირაჟი მილიონ ეგზემპლარს არ აღემატებოდა.

საქართველოს მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობისა და სახალხო ინტელიგენციის თავდადებული შრომა აღინიშნა საშრობლოს მაღალი ჯილდოებით — საქართველოს სსრ დაჯილდოებულია ორი ლენინის ორდენით, ოქტომბრის რევოლუციის ორდენით, ხალხთა მეგობრობის ორდენით. რესპუბლიკის 800 ათასამდე მშრომელი დაჯილდოებულია სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით, მათ შორის სახალხო მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის 1.350 მოწინავე მუშაკს შეენიჭა სოციალისტური შრომის გმირის წოდება.

საბჭოთა საქართველო მშრომელთა ყველა ეს შესანიშნავი მიღწევა შესაძლებელი გახდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის, ცენტრალური კომიტეტის ბიუროსა და მისი მეთაურის — ურყევი მარქსისტ-ლენინელის, თანამედროვეობის გამოჩენილი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწის, ხალხთა მშვიდობისა და უშიშროებისათვის დაუცხრომელი მებრძოლის ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის ბრძნული ხელმძღვანელობის წყალობით.

განვითარებული სოციალისტური საზოგადოების აშენების კვალბაზე გაძლიერდა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი და წარმმართველი როლი საბჭოთა საერთო სახალხო სახელმწიფოს სისტემაში. პარტიის წამყვანი როლი საკანონმდებლო წესით განმტკიცებულია სსრ კავშირის ახალ კონსტიტუციაში. რომელსაც სამართლიანად უწოდებენ განვითარებული სოციალიზმის ქარტიას.

საქართველოს კომპარტია — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ერთ-ერთი უძველესი და მებრძოლი რაზმი, 60 წლის მანძილზე 9.190-დან 356.230 წევრამდე გაიზარდა. საქართველოს კომპარტია აერთიანებს 75 ერისა და ეროვნების საუკეთესო წარმომადგენლებს. ეს ფაქტი მოწმობს, რომ საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციებმა შეინარჩუნეს და გაამრავლეს ინტე-

რნაციონალისტური ტრადიციები, რომლებიც არაერთგზის აღუნიშნავს და პარტიის სხვა ორგანიზაციებისათვის მაგალითად დაუსახავს დიდ ლენინს.

* * *

საქართველოს კომპარტიის, რესპუბლიკის ყველა მშრომელის ცხოვრებაში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას „სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ“, რომელმაც ამხილა სერიოზული ნაკლოვანებანი პარტიულ ორგანიზაციათა საქმიანობაში, რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის ბოლო წლების განვითარებაში.

დაახლოებით 50-იანი წლების შუახანებიდან საქართველოს ეკონომიკური განვითარების ტემპი თანდათან შესამჩნევად ჩამორჩებოდა საშუალო საკავშირო დონეს. მაგალითად, 1950-1972 წლებში სსრ კავშირის სამრეწველო წარმოების მოცულობა გაიზარდა 7,9-ჯერ, სასოფლო-სამეურნეო წარმოებისა — 2,1-ჯერ, საქართველოს ანალოგიური მაჩვენებლები კი შესაბამისად მხოლოდ 5,6 და 1,9 იყო. ეს ადასტურებს, რომ ჩვენი რესპუბლიკა საერთო ეკონომიკური, ინდუსტრიული და სასოფლო-სამეურნეო განვითარების დონის მხრივ ჩამორჩა საშუალო საკავშირო მაჩვენებლებს. 1972 წელს ერთ სულ მოსახლეზე ეროვნული შემოსავლის წარმოების მხრივ საქართველო თითქმის 30 პუნქტით ჩამორჩებოდა საშუალო საკავშირო დონეს. სამრეწველო პროდუქციის წარმოების მხრივ ეს ჩამორჩენა შეადგენდა 39, ხოლო სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების მხრივ — 35 პუნქტს. შემცირდა საქართველოს სსრ წილი ქვეყნის ეკონომიკურ პოტენციალში.

ჩვენი რესპუბლიკა საშუალო საკავშირო მაჩვენებლებს ჩამორჩა აგრეთვე სახალხო მეურნეობაში დასაქმებულ მუშა-მოსამსახურეთა საშუალო-თვიური ფულადი ხელფასის ზრდის ტემპისა და დონის მხრივ. მაგალითად, თუ 1950-1972 წლებში მუშა-მოსამსახურეთა ხელფასი მთელ ჩვენს ქვეყანაში ერთიორად გაიზარდა, საქართველოს სს რესპუბლიკაში იგი გაიზარდა მხოლოდ 74 პროცენტით. თუ 1950 წელს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში დასაქმებულ მუშა-მოსამსახურეთა საშუალო თვიური ფულადი ხელფასი საშუალო საკავშირო დონეზე იყო, 1972 წელს მან უკვე მისი მხოლოდ 85 პროცენტი შეადგინა.

საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების დონის ჩამორჩენამ საშუალო საკავშირო მაჩვენებლებთან შედარებით განაპირობა ამ ჩამორჩენის დაძლევის გადამწყვეტ ღონისძიებათა აუცილებლობა.

ლენინური ეროვნული პოლიტიკის მკაფიო გამოვლინება იყო სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 15 იანვრის დადგენილება „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“.

საქართველოს პარტიული ორგანიზაციის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის 22 ივნისის დადგენილებაში ღრმად და მეცნიერულად გაანალიზებულია ჩვენი რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის უდიდესი აღმშენებლობითი მუშაობა 1972 წლის 22 თებერვლის დადგენილების შემდეგ და დასახულია ახალი ამოცანები.

1979 წლის სექტემბერში სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება სამხრეთული და სუბტროპიკული კულტურების განვითარების შესახებ. ყველა ამ დადგენილებას ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს საქართველოს სსრ ეკონომიკური, სოციალური და კულტურული განვითარებისათვის, რესპუბლიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრებისათვის.

საქართველოს კომპარტიის განახლებულმა ცენტრალურმა კომიტეტმა შემოქმედებითად გამოიყენა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ეკონომიკური სტრატეგია საქართველოს პირობებში, ღრმად გააანალიზა 50-60-იან წლებში რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში შექმნილი სიტუაცია და შეიმუშავა ეკონომიკის დაჩქარებული ზრდისა და მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესების ფართო პროგრამა.

ეს სტრატეგიული ამოცანა წარმატებით განხორციელდა 1976-1980 წლებში. ეკონომიკის უმნიშვნელოვანესი პარამეტრების მიხედვით ხუთწლიანი გეგმა გადაჭარბებით შესრულდა, რესპუბლიკის საზოგადოებრივი პროდუქტი 1980 წელს 1975 წელთან შედარებით 42,7 პროცენტით გაიზარდა (გეგმით უნდა გაზრდილიყო 35 პროცენტით). წარმოებული ეროვნული შემოსავალი კი — 43 პროცენტით (გეგმით ნავარაუდები იყო 33,2 პროცენტი).

მთლიანად საქართველოს სსრ ეკონომიკა და მისი მთავარი დარგები ვითარდებოდა უფრო სწრაფი ტემპით, ვიდრე საშუალოდ მთელ ქვეყანაში. ამის შედეგად გაიზარდა საქართველოს სსრ წილი საკავშირო ეკონომიკურ პოტენციალში.

1973 წლიდან, და განსაკუთრებით მეათე ხუთწლეულში, სწრაფი ტემპით იზრდებოდა მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურის დონე. თუ 1966-1972 წლებში რესპუბლიკის წარმოებული ეროვნული შემოსავალი გაიზარდა 49 პროცენტით, ხოლო ერთ სულ მოსახლეზე — 39 პროცენტით, მომდევნო შვიდ წელიწადში (1973-1979 წლებში) შესაბამისმა მაჩვენებლებმა შეადგინეს 72 და 61,6 პროცენტი. 1975-1979 წლებში რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში დასაქმებულ მუშა-მოსამსახურეთა საშუალო-თვიური ფულადი ხელფასი გაიზარდა 16 პროცენტით, მაშინ როცა მთელს ჩვენს ქვეყანაში — 12 პროცენტით. საშუალო საკავშირო დონესთან შედარებით რესპუბლიკის ჩამორჩენა ამ მაჩვენებლის მიხედვით 2,5 პუნქტით შემცირდა.

ამრიგად, მეათე ხუთწლეულის მანძილზე მნიშვნელოვნად გაფართოვდა საზოგადოებრივი წარმოების მასშტაბი, ეკონომიკა ვითარდებოდა სწრაფი და მყარი ტემპით, რის შედეგადაც გაძლიერდა რესპუბლიკის ეკონომიკური პოტენციალი და მისი მნიშვნელობა საკავშირო ეკონომიკურ პოტენციალში. გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯი ეკონომიკური, ინდუსტრიული და სასოფლო-სამეურნეო განვითარების დონის მხრივ საშუალო საკავშირო მაჩვენებლებთან შედარებით რესპუბლიკის ჩამორჩენის დაძლევის გზაზე, გაიზარდა მოსახლეობის რეალური შემოსავალი, გაუმჯობესდა მისი კეთილდღეობა.

საქართველოს კომპარტიამ გაშალა პრინციპული და უკომპრომისო ბრძოლა პარტიული და სახელმწიფო ცხოვრების ლენინური ნორმებისა და პრინციპების აღდგენისათვის, ცხოვრების საბჭოურ წესთან შეუთავსებელი ყოველგ-

ვარი ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ, რესპუბლიკაში მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის გადაჭრით გაჯანსაღებისათვის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობისადმი ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში აღნიშნა: „ვიფქრობ, არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ 70-იანი წლების მეორე ნახევარი შეიძლება მივიჩნიოთ რესპუბლიკაში იმ დადებითი ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური, ზნეობრივ-ფსიქოლოგიური პროცესების საბოლოო და შეუქცევად დამკვიდრებაზე გადასვლად, რომლებიც დაიწყო პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ცნობილი დადგენილების შემდეგ“¹⁶.

ამ სიტყვების დადასტურებაა ის, რომ საქართველოს სს რესპუბლიკამ ზედიზედ მერვედ მიიღო სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის.

გადასცა რა ე. ა. შევარდნაძეს სამშობლოს უმაღლესი ჯილდო — ლენინის ორდენი და სოციალისტური შრომის გმირის ოქროს ვარსკვლავი, ლ. ი. ბრეჟნევმა თქვა:


„ედუარდ ამბროსის ძე შევარდნაძეს მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის წოდება. მან თავი გამოიჩინა, როგორც ქართველი კომუნისტების ნაცადმა ხელმძღვანელმა. ნაკლოვანებებისადმი შეურიგებლობა, გაბედულება წამოჭრილ ამოცანათა გადაწყვეტისადმი მიდგომაში, ინიციატივა და ახლის გრძობა, პრინციპულობა და პატიოსნება — აი ის თვისებები, რომლებმაც მას ავტორიტეტი შეუქმნა რესპუბლიკაში და მის ფარგლებს გარეთ. საქართველოში საქმე კარგად მიდის და მეტად სასიხარულოა, რომ საქართველოს კომპარტია ირაზმებან მეთერთმეტე ხუთწლეულში ახალ წარმატებათა მისაღწევად“¹⁷.

ახლა საქართველოში უმაგალითო საყოველთაო პოლიტიკური და შრომითი აღმავლობაა, რაც გამოიწვია სკკპ XXVI ყრილობის ისტორიულმა გადაწყვეტილებებმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებამ ყრილობისადმი, რომელიც გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა, მისმა საპროგრამო გამოსვლამ საქართველოს სსრ და რესპუბლიკის კომპარტიის 60 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე.

მეთერთმეტე ხუთწლეულის მძლავრი ატარტი მეტყველებს, რომ ეს ხუთწლეულიც მთლიანად და გადაჭარბებით შესრულდება. ამის საწინდარია ქართველი ხალხის, რესპუბლიკის ყველა მშრომელის უსაზღვრო ერთგულება კომუნისტური პარტიის საქმისადმი, დიდი ლენინის საქმისა და მისი უკვდავი ანდერძისადმი.

16 ე. ა. შევარდნაძე. საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ანგარიში. თბ., 1981, გვ.4.

17 „კომუნისტი“, 1981 წლის 7 მარტი.



სსკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებები — ცხოვრებაში

**სსკპ XXVI ყრილობა და იუსჯიციის ორგანოებისა და
სასამართლოების ამოსანები**

ა. შუშანაშვილი,

საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრი

სსკპ XXVI ყრილობამ შეაჩაბა მათე ხუთწლედში პარტიისა და საბჭოთა ხალხის საქმიანობის შედეგები, ყოველმხრივ გააანალიზა თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობა, განსაზღვრა ჩვენი ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებანი ხანგრძლივი დროისათვის.

ყრილობის მიერ შემუშავებული კომუნისტური მშენებლობის პროგრამის წარმატებით განხორციელება, სახელმწიფო გეგმებისა და ვალდებულებების შესრულებაში ახალი მიჯნების მიღწევა განუყოფლად არის დაკავშირებული მართვის განვითარებასთან, მომპირინეობის რეჟიმის დაცვასთან, სოციალისტური კანონიერების, შრომის და საშემსრულებლო დისციპლინის განმუქიკებასთან, ეკონომიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში წესრიგისა და ორგანიზებულობის დონის ამაღლებასთან. ამიტომ ბუნებრივია, რომ ყრილობაზე მთელი სიმკაცრით ითქვა, რომ აუცილებელია საბჭოთა მართლწესრიგის შემდგომი განმტკიცება, მუქთანრობის, მექრთამეობის, სპეკულაციის, სოციალისტური საკუთრების, საბჭოთა მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლების ყოველგვარი ხელყოფის აღმოფხვრა.

სსკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში XXVI ყრილობისადმი ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევიმ აღნიშნა, რომ „სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცებაში დიდი იუსტიციის, სასამართლოს, პროკურატურის ორგანოების, საბჭოთა მილიციის პანახისნგებლობა... საბჭოთა ხალხს უფლება აქვს მოითხოვოს, რომ მათი მუშაობა მაქსიმალურად ეფექტიანი იყოს, რომ ყოველ დანაშაულს ჭეროვნად იძიებდნენ და დამნაშავეთ საკადრისად სჯიდნენ“¹.


ამ ბოლო წლების მანძილზე რესპუბლიკაში დიდი მუშაობა წარმოებს სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის, პარტიული, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ცხოვრების ლენინური ნორმების განმტკიცებისათვის. გაწეული საქმიანობა დადებითად შეფასდა საქართველოს კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობაზე. მაგრამ ამასთან ერთად ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ ყრილობაზე აღნიშნა, რომ „ამინისტრაციული ორგანოების მუშაობის ეფექტიანობა, ანტისაზოგადოებრივი მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის ტემპი დ ინტენსიურობა არ შეესაბამება დღევანდელი მოთხოვნებს.

ჭერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი შემთხვევები, როცა მილიციის, სასამართლოსა და პროკურატურის ზოგიერთი ხელმძღვანელი თუ რიგითი მუშაკი ფორმალურ-ბიუროკრატიულად და არაკეთილსინდისიერად ეცილება თავის სამსახურებრივ მოვალეობებს. არ არის საქმარისი ბევრი მათგანის კვალიფიკაციის დონე. რესპუბლიკაში დამნაშავეობასთან ბრძოლის ეფექტიანობაზე უარყოფით გავლენას ახდენს სასამართლო და საგამომიებო ორგანოების მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი“².

ამ მკაცრი, მაგრამ სამართლიანი კრიტიკიდან იუსტიციის, სასამართლოს ყველა მუშაკმა საჭირო დასკვნები უნდა გამოიტანოს, ღრმად გააანალიზოს ნაკლოვანებთა გამომწვევი მიზეზები, დასახოს და განახორციელოს კონკრეტული ღონისძიებანი მათ აღმოსაფხვრელად.

¹ ლ. ი. ბრეჟნევი, სსკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობას და პარტიის მორიგი ამოცანები საშინაო და საგარეო პოლიტიკის დარგში, „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1981 წ. გვ. 109.

² ე. ა. შევარდნაძე, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ანგარიში საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობას, „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1981 წ., გვ. 119.



სახელმწიფოს სამართლებრივი საფუძვლების, კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცება წარმოუდგენელია საზოგადოებრივ ურთიერთობაათა დონის ამსახველი კანონების და სხვა სამართლებრივი ნორმების არსებობის გარეშე. რა ბევრი და ლამაზადაც უნდა ვილაპარაკოთ კანონიერების მნიშვნელობის შესახებ, ვერავითარ სოციალურ ეფექტს ვერ მივიღებთ, თუ არ გვექნება კანონების მწყობრი სისტემა. ამიტომ იყო, რომ სკკ XXVI ყრილობამ უურადღება გაამახვილა ჩვენი სახელმწიფოს სამართლშემოქმედებითი საქმიანობის სოციალურ-პოლიტიკური მნიშვნელობის შესახებ. როგორც ამხანაგმა ლ. ი. ბრეუნევმა აღნიშნა, „დიდ სასარგებლო ეფექტს იძლევა საბჭოთა კანონმდებლობის განახლება, რაც კონსტიტუციის საფუძველზე ხორციელდება. ახალი კანონები საშუალებას გვაძლევს უფრო ზედმიწევნით, უფრო ზუსტად მოვაწესრიგოთ საზოგადოებრივ ურთიერთობათა სხვადასხვა მხარე. მუშაობა კანონმდებლობის სრულყოფისათვის კვლავაც გავრცელდება“³.

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო მუშაობას რესპუბლიკური კანონმდებლობის სრულყოფისათვის ორი ძირითადი მიმართულებით ეწევა. პირველი — ეს არის მოქმედი კანონმდებლობის შეთანაწყობა სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციების დებულებებთან, მეორე — საქართველოს სსრ კანონთა წიგნის მომზადება და გამოცემა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1978 წლის 26 ივნისს დაამტკიცა სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციებთან რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისობაში მოყვანის ორგანიზაციის გეგმა. ამის საფუძველზე მომზადდა და დამტკიცდა ისეთი მნიშვნელოვანი აქტები, როგორიც არის: კანონები უმაღლესი საბჭოს და სახალხო დებუტატთა საბჭოების არჩევნების შესახებ; საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს რეგლამენტი; კანონი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შესახებ; დებულება ადვოკატურის შესახებ; ტყის კოდექსი, კანონები ატმოსფერული ჰაერისა და ცხოველთა სამყაროს დაცვის შესახებ და ა. შ. მზადდება კანონპროექტი რეფერენდუმის შესახებ, კოდექსი ადმინისტრაციული სამართალდარღვევების შესახებ, საქონმდებლო აქტი საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის შესახებ და ა. შ. მათს მომზადებაში აქტიურად მონაწილეობს იუსტიციის სამინისტრო, ხოლო ზოგიერთი აქტი უშუალოდ სამინისტრომ მოამზადა.


გარდა ამისა, იუსტიციის სამინისტროს თავისი წინადადებები შეაქვს, რათა კოდექსები და რესპუბლიკის სხვა კანონები შესწორდეს კონსტიტუციების დებულებათა მიხედვით. ასეთი დაწესებანის უკვე შევიდა მიწის, საქორწინო და საოჯახო, სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსებში, დებულებებში სამეთვალყურეო კომისიების შესახებ და ა. შ.

კანონმდებლობის სრულყოფის მეორე მიმართულებაა საქართველოს სსრ კანონთა წიგნის მომზადება გამოსაცემად. წინასწარი სამუშაო ამისათვის უკვე შევასრულეთ. დამთავრებულია საქართველოს სსრ მოქმედი კანონმდებლობის კრებულის მომზადება 38 ტომად, რომელიც გამოდის რუსულ და ქართულ ენებზე. კრებულების მომზადების პროცესში გადაინიჭა 50 ათასზე მეტი დღეგენილება, დარგებისა თუ სამართლებრივი რეველირების საგნის მიხედვით დაჭაფულა და სისტემატიზაციაშია მოყვანილი რვა ათასზე მეტი ნორმატიული აქტი, შეტანილია ხუთასამდე წინადადება მოძველებული და ურთიერთსაწინააღმდეგო აქტების გაუქმების შესახებ. მუშაებრა, რომლებმაც შეასრულეს ეს რთული და დიდი მოცულობის სამუშაო, დაჯილდოვდნენ რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელებით.

საქართველოს სსრ კანონთა წიგნის მომზადებისა და გამოცემის თაობაზე მიღებულია რესპუბლიკის ხელმძღვანელი და სამართალშემოქმედებითი ორგანოების შესაბამისი დადგენილებები. მოწონებულია საქართველოს სსრ კანონთა წიგნის სქემა, მასალების ფორმირების ძირითადი პრინციპები, დამტკიცებულია მისი მომზადებისა და გამოცემის გეგმა, იმ აქტების ნუსხა, რომლებიც უნდა დამუშავდეს და შევიდეს კანონთა წიგნში.

იუსტიციის სამინისტრო, რომელსაც დავალებული აქვს ეს დიდი საქმე, პასუხისმგებელია კანონთა წიგნის მომზადების ხარისხსა და მასში მოთავსებული აქტების სისრულისათვის. კანონთა წიგნის გამოცემა გათვალისწინებულია დასაშლელ რეველუმზე. გეგმით იგი უნდა გამოიცეს 1988-1987 წლებში. კანონთა წიგნის გამოცემა და ხელმომწერთათვის გავრცელება დაავალბული აქვს რესპუბლიკის გამომცემლობების, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტს.

³ ლ. ი. ბრეუნევი. სკკ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობას და პარტიის მორიგი ამოცანები საშინაო და საგარეო პოლიტიკის დარგში. „საბჭოთა საქართველო“. თბ., 1981 წ., გვ. 107.



საქართველოს სსრ კანონთა წიგნის შედგენა მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება რესპუბლიკური კანონმდებლობის სრულყოფის გზაზე. იგი ჩვენს კანონებს გახდის უფრო სტაბილურსა და ყველახათვის ხელმისაწვდომს, ხელს შეუწყობს რესპუბლიკაში კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცებას.

იუსტიციის სამინისტრო სისტემატურად სწავლობს მოქმედი კანონმდებლობის გამოყენების პრაქტიკას და, თუ საჭიროდ მიიჩნევს შეაქვს წინადადებები საკანონმდებლო ცვლილებების შესახებ. ამგვარად იქნა მიღებული ბრძანებულებები ავტოსატრანსპორტო საშუალებათა გატაცებისათვის, სახელმწიფო და მოქალაქეთა პირადი საკუთრების დატაცებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ, რაც ძალზე პასუხსაგები იყო, რადგან საკიბო ეხებოდა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გაძლიერებასა და გაფართოებას. მას წინ უსწრებდა სასამართლო პრაქტიკის, მოკავშირე რესპუბლიკების, სოციალისტური და ბურჟუაზიული სახელმწიფოების კანონმდებლობის, საზოგადოებრივი აზრის შესწავლა და ა. შ.

საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის დადგენილებით მიმდინარე ხუთწლიდში ხელახლა გამოიცემა რესპუბლიკის კოდექსები. ამ დავალების შესასრულებლად იუსტიციის სამინისტროს დიდი მუშაობა მოუწევს. მოქმედი კოდექსების მიღებიდან 15-20 წელი გავიდა. ამ ხნის განმავლობაში ბევრი რამ შეიცვალა კანონმდებლობაში. გაჩნდა ახალი სამართლებრივი ტერმინები, ზოგმა ტერმინმა და გამოთქმამ სხვა მნიშვნელობა შეიძინა, კოდექსების ტექსტებო, განსაკუთრებით ქართული ვარიანტი, ენობრივად არ არის სათანადოდ დამუშავებული. საჭიროა ამთავითვე განხორციელდეს დამატებითი დონისძიებანი რესპუბლიკის კოდექსების კანონთა წიგნის მომზადების და გამოცემის დასაქარებლად იმ ვარაუდით, რომ ეს სამუშაო საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობისათვის დასრულდეს. გარდა ამისა, უფრო მეტი ყურადღება უნდა მიექცეს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მიმდინარე პროცესებსა და სამართალგამოყენების პრაქტიკას, უნდა გამოვიჩინოთ მეტი ინიციატივა, გაბედულად წამოვაყენოთ წინადადებები მოქმედი კანონმდებლობის სრულყოფისათვის. საჭიროა, მაგალითად, გაირკვეს, იძლევა თუ არა მოქმედი კანონმდებლობა საშუალებას ეფექტიანად ვიბრძოლოთ ისეთი ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ, როგორც არის ლორობა, რეპეტატორობა, წვრილმანი მექრთამეობა, მუქთანორობა და ა. შ. საჭიროა უფრო ფართოდ ჩავაბოთ კანონპროექტების მომზადებაში დანტერესებული უწყებები და პირები, მომზადებული კანონპროექტი გამოვიტანოთ საერთო-სახალხო განხილვისათვის, შევისწავლოთ საზოგადოებრივი აზრი გავრცელებული სამართალდარღვევების მიზეზებისა და მათთან ბრძოლის თაობაზე, კვლავაც განვაგრძოთ მუშაობა ნორმატიული აქტების კრებულების მოსამზადებლად. ფართო საზოგადოებრიობას დიდ დახმარებას გაუწევს, მაგალითად, კრებულები სოციალისტური საკუთრების დაცვის, აღმინისტრაციული პასუხისმგებლობის, სამეურნეო, საბინაო და შრომის კანონმდებლობის შესახებ.

საკანონმდებლო საქმიანობა, საბოლოო ანგარიშით, მიმდინარეობს კანონიერების უზრუნველსაყოფად, იმისათვის, რომ მიღებულ კანონს ყველა იცნობდეს და იცავდეს. სკკ XXVI ყრილობაზე ამხანაგმა ლ. ბრეუნევამ თქვა: „ქარგი კანონები, ამხანაგებო, ჩვენ საქაოდ გვაქვს მიღებული. ახლა საქმე უწინარეს ყოვლისა ის არის, რომ მათ უზუსტად და განუხრებლად ვახორციელებდეთ. ყოველი კანონი ხომ მხოლოდ მაშინ ცოცხლობს, როცა იგი სრულდება — სრულდება ყველას მიერ და ყველგან“⁴.

სოციალისტური კანონიერების დაცვის საქმეში განსაკუთრებით დიდ როლს ასრულებენ სასამართლოები, რომლებიც ახორციელებენ მართლმსაჯულებას და სამართალდამრღვევთა მიმართ იყენებენ სახელმწიფო იძულების დონისძიებებს. სასამართლოებისადმი მეთოდოკური ხელმძღვანელობის დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მართლმსაჯულების სწორ განხორციელებას, ყოველ კონკრეტულ საქმეზე კანონიერი და სამართლიანი გადაწყვეტილების აღდგენას.

დიდ ნაკლად უნდა ჩაითვალოს ის, რომ რესპუბლიკის სასამართლოების მიერ გამოტანილი განაჩენების გაუქმებისა და შეცვლის პროცენტი ორჯერ მეტია საშუალო საკავშირო მაჩვენებლებთან შედარებით. 1980 წელს მარტო 12 სახალხო სასამართლოს, ესე იგი 18 პროცენტს არ ჰქონდა განაჩენის არც გაუქმება და არც შეცვლა. ეს იმ დროს, როცა ზოგიერთ რესპუბლიკაში

⁴ ლ. ბრეუნევი, სკკ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოსენება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობას და პარტიის მორიგი ამოცანები საშინაო და საგარეო პოლიტიკის დარგში, „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1981 წ., გვ. 105.

ნახევარზე მეტი, ხოლო ზოგ ოლქში კი თითქმის ყველა სახალხო სასამართლო უწუნოდ მუშაობს.

ზნირად უქმდება და იცვლება განაჩენები, რომლებიც დადგენილია ტყუილების რაიონის სახალხო მოსამართლის შ. ლებაიძის, ანაღაძის რაიონის სახალხო მოსამართლის უ. შირინიანის, მიაიკოვსკის რაიონის მოსამართლის ნ. ჩინჩაიძის, ქ. თბილისის კალინინის რაიონის მოსამართლის ა. წიქორიძის და კიროვის რაიონის მოსამართლის ნ. მგალობლიშვილის მიერ. დროა, ამ ამხანაგებმა სათანადო დასკვნები გამოიტანონ. მათი შეცდომების გამოუცდლობით ახსნა ალბათ მართებული არ იქნება.

მართლმსაჯულების ხარისხი, მისი სოციალური ღირებულება და ეფექტიანობა, საბოლოო ანგარიშით, იმით განისაზღვრება, თუ როგორ ესმით და ახორციელებენ სასამართლოები სახელმწიფოს დასჯითის პოლიტიკას. ამიტომ, ცხადია, დასჯითი პრაქტიკის საკითხები უოველთვის უურადღების ცენტრშია. ეს გასაგებიც არის, რადგან, როცა დანაშაული იზრდება ან შესამჩნევად არ მცირდება, იზადება კითხვა: სწორად სჯიან კი სასამართლოები დამნაშავეებს და საესოთოდ მართებულად არის თუ არა შეფასებული მოქმედი კანონმდებლობით ამა თუ იმ ქმედების საზოგადოებრივი საშიშროება. 1978 წელს ჩვენ შევისწავლეთ დასჯითი პრაქტიკა და იმ დასკვნამდე მივდით, რომ საშიშ დანაშაულობათა წინააღმდეგ სასამართლოები უოველთვის არ ეწეოდნენ ჭეშოვან ბრძოლას. თავისუფლების აღკვეთის პროცენტი იზრდებოდა ნაკლებად საშიშ დანაშაულობათა და მოკლევადიანი თავისუფლების აღკვეთის ხარჯზე. ამის გამოსასწორებლად უმაღლეს სასამართლოსა და რესპუბლიკის პროკურატურასთან ერთად განვახორციელეთ მთელი რიგი ღონისძიებანი. სასამართლოებს მიეცათ მითითება, რომ არ დაუშვან ღმობიერება საშიში დამნაშავეების მიმართ, ამასთან ზედმეტი სიმკაცრე არ გამოიჩინონ იმ პირთა მიმართ, რომლებმაც ჩაიდინეს მცირე მნიშვნელობის დანაშაული. შარშანდელი და ამა წლის პირველი კვარტლის ანალიზი გვიჩვენებს, რომ ამ საქმეში უქვე შეინიშნება გარკვეული ძვრები: შემცირდა მოკლევადიანი თავისუფლების აღკვეთის შეფარდების, საშიში დამნაშავეების მიმართ ღმობიერი სასჯელის დანიშვნის ფაქტები. მცირე მნიშვნელობის დანაშაულისათვის უფრო ხშირად იყენებენ სასჯელს, რომლებიც დაკავშირებული არ არის თავისუფლების აღკვეთასთან.

რასაკვირველია, ხალხი, საზოგადოება დასჯითის პრაქტიკას აფასებს არა სტატისტიკის, არამედ კონკრეტული საქმეების მიხედვით. მათ აღაშფოთებთ არა პროცენტები თავისთავად, არამედ უკანონობისა და უსამართლობის ყოველი ფაქტი. ასეთი ფაქტები კი ერთეული არ არის ჩვენს საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკაში.

გარდახნის რაიონის სახალხო სასამართლომ (სახალხო მოსამართლე — გ. თოფურია) წინათ მარცვასათვის მსჯავრდადებულ კ. ფედენკოს ბოროტი ხულიგნობისათვის მიუსაჯა ორი წლით პირობით თავისუფლების აღკვეთა შრომაში სავალდებულო ჩაბმით. ეს განაჩენი გააუქმა საქართველოს სსრ უმაღლესმა სასამართლომ სასჯელის ღმობიერების გამო. საქმის ხელახლა განხილვისას სახალხო სასამართლომ (მოსამართლე — მ. დუშთამირივი) კ. ფედენკოს შეუფარდა ორი წლით თავისუფლების აღკვეთა, აღნიშნული მუხლი კი ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 1-დან 5 წლამდე.

მცხეთის რაიონის სახალხო სასამართლომ ა. ცხვედაძეს ავტოვარიისათვის, რამაც დაზარალებულს სხეულის მძიმე დაზიანება მიუყენა, მიუსაჯა გამასწორებელი სამუშაოები ერთი წლის ვადით, ხოლო ლ. გოგილაშვილს, ანალოგიური დანაშაულისათვის მიუსაჯა სამი წლით თავისუფლების აღკვეთა. ამავე სასამართლომ ტ. გაბრიელაშვილს, რომელმაც მყიდველს ზედმეტად გადააბდეცინა ორი მანეთი და 45 კაპიკი, მიუსაჯა ერთი წლის გამასწორებელი სამუშაოები, ხოლო ს. ბუნტუროს, რომელმაც მომხმარებელს ზედმეტად გადააბდეცინა ორი მანეთი და 88 კაპიკი 2 წლის პირობით თავისუფლების აღკვეთა შრომაში სავალდებულო ჩაბმით.

მართლმსაჯულების სწორად განხორციელება გულისხმობს არა მარტო დამნაშავეთა სამართლიან დასჯას, არამედ თვითონ სასამართლო პროცესის სწორ ორგანიზაციას, კონკრეტული საქმეების განხილვისა და გადაწყვეტისას სამართლებრივი და ეთიკური ნორმების განუხრეულ დაცვას. ყველასათვის ცნობილია, თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ამ საკითხს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, რომელმაც 1980 წლის ოქტომბერში მიიღო დადგენილება „რესპუბლიკაში სასამართლო პროცესების აღმზრდელობითი ზემოქმედების შემდგომი ამაღლების ღონისძიებათა შესახებ“. საბჭოთა მართლმსაჯულების ისტორიაში ეს არის პირველი პარტიული დოკუმენტი, რომელიც სპეციალურად ეძღვნება სასამართლოების პროფილაქტიკური საქმიანობის გაუმჯობესებას. არ შეიძლება არ აღინიშნოს ისიც, რომ საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის დადგენილებამ პარტიულ, საბჭოთა და აღმინისტრაციულ ორგანოებს დაავალა სისტიმა-

ტურად იზრუნონ სასამართლო პროცესების აღმზრდელითი ზემოქმედების ამღლებიხათვის, შეიმუშაონ ამ მიზნით კომპლექსური ღონისძიებები.

სასამართლო პროცესების ორგანიზაციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაკლად უნდა ჩაითვალოს სისხლის და სამოქალაქო სამართლის საქმეთა განხილვის ვადების უზენი დარღვევა.

შარშან სისხლის სამართლის საქმეთა 12 პროცენტი განხილულია ვადის დარღვევით. ამ მაჩვენებლით მოკავშირე რესპუბლიკებს შორის ბოლო ადგილზე ვართ. განხილვის ვადებს ზშირად არღვევენ სასამართლოები, რომლებიც მაინცდამაინც დიდად არ არიან დატვირთული. მაგალითად, მიმდინარე წლის პირველი კვარტალის მონაცემებით, გორის რაიონის სახალხო სასამართლომ საქმეთა 37 პროცენტი განიხილა ვადის დარღვევით, კასპის სახალხო სასამართლომ 30,4 პროცენტით. ასეთივე მდგომარეობა აბაშის, ვანის, ქარელის, საგარეჯოს, წაღვის, ცხაპიას და ზოგიერთი სხვა რაიონის სახალხო სასამართლოში.

საქმის სასამართლო განხილვის ვადების დარღვევის ძირითადი მიზეზია ზოგიერთი მოსამართლის უპასუხისმგებლობა, პროცესის მომზადების დაკისრება სასამართლო ხნდომის მდინეებისათვის, პროცესის მონაწილეთა გამოცხადების უზრუნველსაყოფად კანონით გათვალისწინებული ღონისძიებების გამოუყენებლობა.

იმ სახალხო სასამართლოებში, სადაც მოსამართლეები, როგორც კანონი მოითხოვს, თვითონ ამზადებენ საქმეს მოსამენად, წინასწარვე არკვევენ და იღებენ ზომებს იმ პირობების თავიდან ასაცილებლად, რომლებიც ხელს უშლიან საქმის დროულად განხილვას, ვადების დარღვევა, როგორც წესი, არ ხდება. ასეა ორგანიზებული მუშაობა, მაგალითად, ფოთის, კიათურის, ასპინძის, ადიგენის, ახალქალაქის, დუშეთის, საჩხერის, სიღნაღის და მთელ რიგ სხვა რაიონულ სახალხო სასამართლოებში, სადაც ყველა საქმეს კანონით დადგენილ ვადებში განიხილავენ.


სასამართლო პროცესის სწორი ორგანიზაცია გულისხმობს პროცესის აღმზრდელითი და გამაფრთხილებელი ზემოქმედების უზრუნველყოფას, კანონით გათვალისწინებული ისეთი ღონისძიებების ფართო და ეფექტიან გამოყენებას, როგორც არის საქმეების განხილვა გამსვლელ სესიებზე, სამსჯავრო განხილვაში საზოგადოებრიობის წარმომადგენლების მონაწილეობა, კერძო განჩინებების გამოტანა და ა. შ.

სასამართლო სტატისტიკით თუ ვიმსჯელებთ, თითქოს ყველაფერი წესრიგშია. გამსვლელ სხდომებზე განიხილავენ სისხლის სამართლის საქმეთა დაახლოებით 20 პროცენტს. საქმეთა 25 პროცენტზე გამოდის კერძო განჩინებები, საქმეების 15-18 პროცენტის განხილვაში მონაწილეობენ საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, პროფილაქტიკურ ღონისძიებათა ფართო გამოყენების საქმეში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ტყიბულის და კიათურის, ლანჩხუთის, მახარაძის, დმანისის, ლაგოდეხის, ბოგლანოვის და მთელი რიგი სხვა ქალაქებისა და რაიონების სახალხო სასამართლოებმა. ამასთან, ზოგი სახალხო სასამართლო სათანადოდ ვერ აჯახებს ამ ღონისძიებათა მნიშვნელობას. მათ მიეკუთვნებიან თბილისის ლენინის და ორჯონიკიძის რაიონების, რუსთავის, გორის, კასპის, ცხაპიას, აბაშის და ზოგიერთი სხვა სახალხო სასამართლო. 1950 წელს მესტიის რაიონის სახალხო სასამართლომ გამსვლელ სესიაზე განიხილა მხოლოდ 2 საქმე. არც ერთი საქმე არ განხილულა საზოგადოებრივი ბრალმდებლის მონაწილეობით კასპის, გორის, ახმეტის რაიონის სახალხო სასამართლოებში. არც ერთი კერძო განჩინება არ გამოუტანიათ ან, თუ გამოიტანეს, ისიც ერთეულ საქმეებზე ადიგენის, ახალქალაქის, თიანეთის, ორჯონიკიძის და სხვა რაიონების სახალხო სასამართლოებმა.

ეს საკითხის ერთი მხარეა. მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვანია პროფილაქტიკურ ღონისძიებათა ხარისხი. სასამართლო პრაქტიკის უფრო ღრმად შესწავლა გვიჩვენებს, რომ ამ ღონისძიებათა განხორციელებაში ვაწყდებით ფორმალიზმს. გამსვლელი სესიები ზოგჯერ ეწყობა მოუმზადებლად, ადგილზე გასვლით განიხილება ნაკლებმნიშვნელოვანი და ისეთი საქმეებიც კი, რომელთა განხილვა საერთოდ არ არის მიზანშეწონილი ღია სამსჯავრო სხდომაზე.

არცთუ იშვიათია ისეთი ფაქტები, როცა საზოგადოებრიობის წარმომადგენლებად გამოდიან შემთხვევითი პირები, რომლებსაც არავითარი კავშირი არა აქვთ პროცესის მონაწილეებთან და განსახილველ საქმესთან. ზოგ სასამართლოს თავისი მუდმივი საზოგადოებრივი ბრალმდებელი და დამცველიც კი ჰყავს.

კერძო განჩინებათა უმრავლესობა ფაქტობრივად არის შეტყობინება კოლექტივისადმი. რომ მათმა მუშაკმა ჩაიღინა დანაშაული და საჭიროა გაიზარდოს კოლექტივში აღმზრდელითი მუშაობა.



ჩვენი გადაუდებელი ამოცანაა ავამაღლოთ პროფილაქტიკურ ღონისძიებათა ხარისხი, დავუკავშიროთ ამ მიმართულებით წარმომადგენელი მუშაობა პრაქტიკულ ამოცანებს, კანონიერებისა და მართლმართლების დაცვის ინტერესებს. სასამართლოების მუშაობა უნდა შევფასოთ არა მარტო პროცენტებით, არამედ უპირველესად რეალურად მიღწეული შედეგებით.

საჭიროა მეტი ყურადღება მიექცეს დანაშაულებით მიყენებული ზარალის ანაზღაურებას. შემოწმებისა და ანაზღაურების დაკავშირებულ საკითხებზე, არ ამოწმებს და არ წარმართავს სასამართლო აღმასრულებლების საქმიანობას, არ ახდენს რეაგირებას მათ მიერ დაშვებულ შეცდომებზე. უკონტროლობის შედეგად ზოგიერთი აღმასრულებელი არ ამოწმებს მსჯავრდადებულის ქონებრივ მდგომარეობას, არ ახდენს აღწერილი ქონების რეალიზაციას, ადგენს ფიქციურ აქტებს ქონების არარსებობის შესახებ, ცვლის სოლიდარულ პასუხისმგებლობას წილობრივად და ა. შ.

სკკპ XXVI ყრილობაზე დიდი ყურადღება დაეთმო ახალი ადამიანის ფორმირებას, იდეური აღმზრდელობითი საქმიანობის გაუმჯობესებას. „...მათი აქტიური, გამიზნული ჩამოყალიბება ჩვენს პარტიის სოციალური პოლიტიკის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიიჩნია“⁵. აღნიშნა ყრილობაზე ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა.

პოლიტიკურ-აღმზრდელობით ღონისძიებათა შორის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სამართლებრივ პროპაგანდას და მოქალაქეთა სამართლებრივ აღზრდას.

ამჟამად რესპუბლიკაში საბჭოთა სამართლის საფუძვლებს ეუფლება ზოგადსაგანმანათლებლო და პროფტექნიკური სასწავლებლების 112 ათასამდე მოსწავლე. თითქმის ყველა უმაღლეს სასწავლებელში ისწავლება საბჭოთა სამართლის კურსი. სამართლებრივი ცოდნის სახალხო უნივერსიტეტში გაერთიანებულია 12 ათასამდე მსმენელი, ხოლო იუსტიციის სამინისტროსთან და მთელი რიგ უმაღლეს სასწავლებლებთან არსებულ კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებზე სახელმწიფო აპარატის და სახალხო მეურნეობის სამი ათასზე მეტი მუშაკი იმაღლებს სამართლებრივ ცოდნას. ყოველწლიურად რესპუბლიკაში სამართლებრივ თემებზე იკითხება დაახლოებით 20 ათასი ლექცია, ადგილობრივ და რესპუბლიკურ ორგანოებში ქვეყნდება 1500-ზე მეტი სტატია და მასალა.

უკანასკნელ ხანს დიდი ყურადღება ექცევა სამართალ-აღმზრდელობითი მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებას, მისი ეფექტიანობის ამაღლებას. ანკეტირების მეთოდის გამოყენებით შესწავლილ იქნა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების და პროფტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეების, სტუდენტების და მუშა ახალგაზრდობის მართლმშეგნების დონე, უფრო მჭიდრო და საქმიანი კავშირი დამყარდა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან.

იუსტიციის სამინისტრომ მოაშადა და შესაბამის ორგანიზაციებს დაუგზავნა ლექციების ხანმოკლე ტექსტები ნარკომანიისა და ხულიგანობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ, მოაწყო მოსწავლეთა ოლიმპიადები სამართალმცოდნეობაში, გამოსცა პლაკატები შრომის, საოჯახო და საბინაო სამართლის საკითხებზე, ჟურნალის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ და ა. შ.

განხორციელებული ღონისძიებების მიუხედავად სამართალაღმზრდელობით მუშაობაში ჯერ კიდევ არის სერიოზული წაკლოვანებები. საჭიროა გაფართოვდეს სამართალაღმზრდელობითი ქსელი, რომელიც იმ პირთა მხოლოდ 10 პროცენტს მოიცავს, რომლებსაც თავისი სამსახურებრივი ან საზოგადოებრივი საქმიანობის ხასიათის მიხედვით აუცილებლად ესაჭიროებათ სამართლებრივი საკითხების ცოდნა. მაგალითად, რუსთავში მოქმედებს სამართლებრივი ცოდნის მხოლოდ ერთი უნივერსიტეტი, რომელშიც 185 მსმენელია გაერთიანებული, ეს მაშინ, როცა ქალაქში არის ხუთი ათასზე მეტი სახალხო რაზმელი, დაახლოებით 300 ამხანაგური სასამართლოს წევრი, 280 სახალხო მსჯელთა და 50 სამეთვალყურეო და არასრულწლოვანთა საქმეების კომისიების წევრი. თუ ამას დავუმატებთ სამეურნეო ხელმძღვანელებს, კომპიუტერულ და საბჭოთა აქტივს, ისინი კი ქალაქში 800-მდეა, ცხადი გახდება, რომ სამართლებრივი ფუნქციების განხორციელებასთან დაკავშირებულ პირთა ძირითადი მასა დარჩენილია სისტემური და მიზანმიმართული სამართლებრივი აღზრდის გარეშე. ანალოგიური მდგომარეობაა რესპუბლიკის თითქმის ყველა ქალაქსა და რაიონში. რესპუბლიკის 9 რაიონში სამართლებრივი ცოდნის სახალხო უნივერსიტეტი საერთოდ არ არსებობს. ზუნდა მივადწიოთ, რომ ყოველ ქალაქსა და რაიონში შე-

5 ლ. ი. ბრეჟნევი სკკპ ცენტრალური კომიტეტი საანგარიშო მოხსენება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობას და პარტიის მორიგი ამოცანები საშინაო და საგარეო პოლიტიკის დარგში, „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1981 წ., გვ. 106.

იქმნას სამართლებრივი ცოდნის იმდენი უნივერსიტეტი, რამდენიც საჭიროა მოსახლეობის ძირითადი ფენებისა და კატეგორიების მოსაცავად, უპირველეს ყოვლისა კი სამართლებრივ სწავლებაში იმ პირთა ჩასაბმელად, რომლებიც სარგებლობენ სამართალგამოყენების უფლებამოსილებით, მონაწილეობენ კანონიერებისა და მართლწესრიგის დაცვაში.

უფრო ქმედითი ღონისძიებებია განსახორციელებული სამართლებრივ თემებზე ლექციური პროპაგანდის გასაუმჯობესებლად. საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობაზე მწვავედ და სამართლიანად გააკრიტიკეს საზოგადოება „ცოდნა“. ამ კრიტიკიდან, ჩვენც პრინციპული დასკვნები უნდა გამოვიტანოთ, რადგან იუსტიციის მუშაკები ლექციებს სამართლებრივ თემებზე ძირითადად ამ საზოგადოების მეშვეობით კითხულობენ. არ შეიძლება გულდამწვრთვნილი შევცქეროდეთ ამ საქმეში არსებულ ფორმალიზმსა და პრიმიტივიზმს. უნდა ვიცოდეთ, თუ ვინ, სად და როგორ კითხულობს ლექციებს სამართლებრივ თემებზე.

ამ ბოლო დროს საგრძნობლად გაუმჯობესდა საბჭოთა სამართლის პროპაგანდა პრესაში, რადიოსა და ტელევიზიაში. ყურნალისტები უფრო ფრთხილად და საქმის ცოდნით აშუქებენ ან სასამართლო პრაქტიკიდან აღებული მასალებით და მათი კომენტარებით არიან გატაცებული. იშვიათად ქვეყნდება და გამოიცემა მასალები, რომლებშიც განმარტებულია სამართლებრივი ნორმების მოქმედების პოზიტიური მხარეები. თითქმის არაფერი კეთდება ბურჟუაზიული სამართლის ინსტრუქციებისა და დებულებების კრიტიკისათვის, მათი ანტიხალხური არსის გამოსაშვარავებლად.

XXVI ყრილობის მიერ ეკონომიკის დარგში დასახული ამოცანების რეალიზაციის საფუძველია საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლება, შრომის ნაყოფიერების ზრდა, მატერიალური რესურსების ეკონომიური ხარჯვა. „ეს კი ნიშნავს, რომ ორგანიზაციული, ფინანსური და იურიდიული საშუალებებით მაგრად უნდა ამოვქოლოთ მუქთახრობის, მექრთამეობის, სპეკულაციის, უშრომელი შემოსავლის, სოციალისტური საკუთრების ყოველგვარი ხელყოფის ყოველგვარი ხვრელი“⁶. — აღნიშნა ყრილობაზე ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა.

ამ დიდ მოთხოვნათა მიხედვით კიდევ უფრო იზრდება სამართლის როლი ეკონომიკურ ამოცანათა გადაწყვეტაში, სამეურნეო მექანიზმის სრულყოფაში.

სამწუხაროდ, ბევრი სამეურნეო უწყება ჯერ კიდევ სუსტად იყენებს იურიდიული სამსახურის შესაძლებლობებს ეკონომიკური მაჩვენებლების გასაუმჯობესებლად, შრომისა და სამეურნეო დისციპლინის განსამტკიცებლად. უხარისხო პროდუქციის გამოშვებისა და სახელშეკრულები ვალდებულებების შეუსრულებლობით მიყენებული ზარალის ჩამოწერა სწორად ხდება წარმოების ხარჯზე, ხოლო კონკრეტული დამნაშავე დაუსჯელი რჩება. 1980 წელს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში გაფუჭების, დატაცების, დანაკლისის შედეგად მიყენებული ზარალის მხოლოდ ხუთი პროცენტი გადახდა დამნაშავე პირებს.

რასაკვირველია, იურიდიული სამსახური მთლიანად ვერ აღმოფხვრის დატაცებას და ქურდობას, მაგრამ მას შეუძლია დიდი გავლენა მოახდინოს სოციალისტური საკუთრების დაცვის მდგომარეობაზე, უზრუნველყოს იმ სამართლებრივი ნორმების შესრულება, რომლებიც აწესრიგებს მატერიალურ ფასეულობათა აღრიცხვისა და შენახვის წესს, განსაზღვრავს კომერციული აქტების შედეგების, პირთა პასუხისგებაში მიცემის საფუძველსა და პირობებს. სამწუხაროდ, იურისკონსულტების დიდი ნაწილი არ ერევა ამ საქმეში, არ მონაწილეობს იმ მიზეზებს აღმოფხვრაში, რომლებიც ხელს უწყობს სოციალისტური საკუთრების დატაცებას.

ცალკეული სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელები სათანადოდ არ აფასებენ იურიდიული სამსახურის როლსა და მნიშვნელობას. იურიდიული განყოფილებები არ არის შექმნილი ისეთ სამინისტროებში, როგორც არის საშენ მასალათა, მედიკოსებისა და წყალთა მეურნეობის, სატყეო მეურნეობის სამინისტროები. იურისკონსულტთა რაოდენობა აშკარად არ შეესაბამება იმ საშუალოთა მოცულობას, რომელსაც ისინი ასრულებენ საბინაო-კომუნალური მეურნეობის, კავშირგაბმულობის, განათლების, ადგილობრივი მრეწველობის და სხვა სამინისტროებში. იურისკონსულტებს ხშირად ტვირთავენ ისეთი დავალებებით, რომლებსაც არავითარი კავშირი არ აქვს სამართლებრივ სამსახურთან ან აკისრებენ ისეთ ფუნქციებს, რომელთა შესრულებაც სცილდება მათი კომპეტენციის ფარგლებს. ზოგიერთი იურისკონსულტი ცუდად ერკვევა სამეურნეო კანონმდებლობაში, არ იცნობს თავის უფლებებსა და მოვალეობებს.

⁶ ლ. ი. ბრეჟნევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოსენება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობას და პარტიის მორიგი ამოცანები საშინაო და საგარეო პოლიტიკის დარგში, „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1981 წ., გვ. 99.

საბჭოთა მოქალაქეების მომსახურების სფეროს გაუმჯობესებაზე ბევრი რამ ითქვა სკკპ XXVI და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობებზე. მიუთითა რა მომსახურების სფეროს განვითარების აუცილებლობაზე, ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა აღნიშნა, რომ უნდა ამალდეს მოსახლეობის მომსახურების კულტურა. „როგორ ხვდებიან აქ მათ? როგორ ელაპარაკებიან? რამდენ დროს ხარჯავენ ისინი ამა თუ იმ საყოფაცხოვრებო საჭრუნავისათვის? ადამიანები მეტწილად სწორედ იმის მიხედვით აფასებენ ჩვენს მუშაობას, თუ როგორ წყდება ეს საკითხები, თანაც მკაცრად, მომკითხველად აფასებენ და ეს უნდა გვახსოვდეს“.⁷

ამ მითითების მიხედვით დიდი მნიშვნელობა ენიჭება მოქალაქეთა სამართლებრივი მომსახურების პრობლემებს, ნოტარიატების, ადვოკატურისა და მმართველობის ორგანოების საქმიანობის გაუმჯობესების საკითხებს.

რესპუბლიკის ყველა რაიონსა და ქალაქში გახსნილია სანოტარო კანტორა. უკანასკნელი სამი წლის მანძილზე დამატებით მივიღეთ ნოტარიუსის 36 საშტატო ერთეული. სანოტარო კანტორების ორი მესამედი მოთავსებულია კეთილმოწყობილ შენობებში. თითქმის ყველა კანტორას: გამოეყო ავეჯი, ცეცხლგამძლე კარაღები, საბუკი მანქანები, ხოლო პირველ სანოტარო კანტორას — გასამრავლებელი მანქანები. ამის შედეგად საგრძობლად გაუმჯობესდა სანოტარო კანტორების სამუშაო პირობები, ამალდა მოსახლეობის მომსახურების კულტურა. ნოტარიუსები აქტიურად მონაწილეობენ სამართლებრივ პროპაგანდაში, დახმარებას უწევენ ადგილობრივ საბჭოებს.

ამასთან სანოტარო კანტორების საქმიანობაში ჯერ კიდევ არის სერიოზული ნაკლოვანებები. ეს აღნიშნა სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტროს კოლეგიაზე, რომელმაც 1979 წლის 2 თებერვალს მოისმინა ჩვენი მოხსენება სახელმწიფო ნოტარიუსების საქმიანობისადმი ხელმძღვანელობის განხორციელების შესახებ.

ზოგ სანოტარო კანტორაში ჯერ კიდევ დაბალია მომსახურების დონე, აღმოფხვრილი არ არის მოქალაქეებთან უხეში მოპყრობის ფაქტები.

სამინისტრომ გარკვეული მუშაობა გასწია ადვოკატურის ორგანოების მიმართ. საერთო ხელმძღვანელობის გაუმჯობესებისათვის, ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმებისა და იურიდიული კონსულტაციების საქმიანობის სრულყოფისათვის, კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცებაში ადვოკატთა როლის ამაღლებისათვის. რესპუბლიკის ადვოკატთა კოლეგიის ცხოვრებაში დიდი მოვლენა იყო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის 22 აგვისტოს დადგენილება „რესპუბლიკის ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის ორგანიზაციული საქმიანობის გაუმჯობესების შესახებ სსრ კავშირის და საქართველოს სსრ კონსტიტუციების მოთხოვნათა შესაბამისად“, ასევე ახალი დებულება რესპუბლიკის ადვოკატურის შესახებ, რომელიც გასული წლის ნოემბერში დაამტკიცა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიამ.

რესპუბლიკის ადვოკატთა კოლეგიაში გაერთიანებულია 588 ადვოკატი. მათი 68 პროცენტი სკკპ წევრია, 98 პროცენტს აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება. ადვოკატების მონაწილეობით სასამართლოებში განიხილება თითქმის ყველა სისხლის სამართლის საქმე და სამოქალაქო სამართლის საქმეთა ნახევარი. ყოველწლიურად იურიდიული დახმარებისათვის ადვოკატებს მიმართავს 10 ათასზე მეტი კაცი. ისინი ემსახურებიან 500 მეტ საწარმოსა და დაწესებულებას, კონსულტებენ ხუთი ათასამდე ლექციას, მათი დახმარებით მოქმედებს 295 საზოგადოებრივი იურიდიული კონსულტაცია. როგორც ცხედავთ, ადვოკატურას აქვს დიდი შესაძლებლობები, რათა შემოქმედება მოახდინოს ხალხის მართლშეგნებაზე, კანონიერების მდგომარეობაზე, საღი საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაზე. ადვოკატთა უმრავლესობას სწორად ესმის თავისი ფუნქციები და დიდი წვლილი შეაქვს სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცებაში. მოსახლეობაში დიდი ავტორიტეტი და სიყვარული აქვთ მოპოვებული ადვოკატებს ბ. ზომბერიკს, გ. უგრეხელიძეს, ნ. გიგინეიშვილს, ა. ხოკოლაძეს, მ. აღხაზიშვილს, ა. ლომინაძეს, ვ. ყურაშვილს, ნ. თუთბერიძეს, რ. თალაკვაძეს...

ამასთან ადვოკატურის საქმიანობაში არის სერიოზული ნაკლოვანებებიც. ზოგიერთს ადვოკატურა საკუთარ კანტორად მიაჩნია, ისინი არავის უწევენ ანგარიშს, მზად არიან აკრძალული ზერხებითა და იღეთებით აწარმოონ ნებისმიერი ბრძოლა, მოქალაქეებს აძლევენ აშკარად უსწორო

7 ლ. ი. ბრეჟნევი. სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობას და პარტიის მორიგი ამოცანები საშინაო და საგარეო პოლიტიკის დარგში, „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1981 წ., გვ. 82.

ჩრევას და განმარტებას, უწინგურად ადგენენ პროცესუალურ და სხვა დოკუმენტებს, არ ეცნობიან საქმეებს, სასამართლო პროცესებზე თავი უხეშად და გამომწვევად უჭირავთ.

სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ ადვოკატურის კანონიერი საქმიანობაც ყველგან და ყოველთვის ვერ პოულობს მხარდაჭერას. ადვოკატის შეუპოვრობა, მისი უკომპრომისო პოზიცია ზოგჯერ აღიზიანებს გამომძიებელს, მოსამართლეს, პროკურორს, რომლებიც ქედმაღლურად უყურებენ პროცესში მონაწილე ადვოკატს, აბუჩად იღებენ მის პროცესუალურ უფლებამოსილებას. ეს კი ყოველად შეუწყურებელია. ადვოკატი, ისევე როგორც გამომძიებელი, პროკურორი, მოსამართლე დგას კანონიერების, მართლმსაჯულების განხორციელების საღარაჯოზე. საბჭოთა მოქალაქეთა კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაცვა წარმოუდგენელია ადვოკატის, მისი რთული და გაბედული საქმიანობის გარეშე.

ახალი ამოცანებისა და მოთხოვნების შესაბამისად საჭიროა გაძლიერდეს მეთოდოლოგია ხელმძღვანელობა მმართველობის ორგანოებისადმი. მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩაწერისას ყოველთვის არ იცავენ კანონის მოთხოვნებს, ზოგჯერ ქორწინების, განქორწინების, შვილად აყვანის და ზოგიერთი სხვა აქტის რეგისტრაციით ინიღბება მხარეთა ანგარიშითი მიზნები. მმართველობის ორგანოები არ ეწევიან სათანადო მუშაობას ქარაფშუტული ქორწინებისა და განქორწინების თავიდან ასაცილებლად. ვახშირდა ფიქტიური განქორწინების შემთხვევები. მმართველობის შესაძლებლობები სრულად არ გამოიყენება, მავნე ტრადიციების წინააღმდეგ საბრძოლველად.

ჩვენი გეგმების განხორციელებას, საქმიანობის ხარისხსა და ავტორიტეტს, საბოლოო ანგარიშით განსაზღვრავენ კადრები, მათდამი ხელმძღვანელობის სტილი და მეთოდები. კადრებთან მუშაობის გაუმჯობესების აუცილებლობაზე საგანგებოდ იყო ლაპარაკი საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობაზეც. „გადასაწყვეტ ამოცანათა შორის ჩვენ განსაკუთრებულ ადგილს ვუთმობთ და დავუთმობთ კადრების იდეურ-თეორიული დონის სრულყოფას და საქმიანი კვალიფიკაციის ამაღლებას“⁸ — აღნიშნა ყრილობაზე ამხანაგმა ე. ა. შევეარდნაძემ.

იუსტიციის სამინისტრო დიდ მუშაობას ეწევა სწორი საკადრო პოლიტიკის განხორციელებისათვის, ჩამოყალიბდა კადრებთან მუშაობის, მათი შესწავლისა და სწავლების გარკვეული სისტემა. უფრო კონკრეტული და მიზნობრივი გახდა კადრების სწავლებისა და აღზრდის ისეთი ფორმები, როგორიც არის სემინარები, კონფერენციები, სტაჟირება, გამოცდილ მუშაკთა შეფოხა ახალგაზრდებზე, მოწინავეთა გამოცდილების განზოგადება, კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების გავლა და ა. შ.

მიუხედავად ამისა, ჩვენს საკადრო საქმიანობაში ჯერ კიდევ არის სერიოზული ნაკლოვანებანი. ერთ-ერთი ნაკლია კადრების არასაკმარისი ღრმა და სისტემატური შესწავლა. სახალხო მოსამართლეებს, ნოტარიუსებს, სასამართლო აღმასრულებლებს, სხდომის მდივნებს, როგორც წესი, ჩვენ პირადი საქმეების მასალებითა და მუშაობის მაჩვენებლებით ვიცნობთ. სწორი საკადრო პოლიტიკის გასატარებლად და სამართლიანი გადაწყვეტილების მისაღებად კი აუცილებელია კონკრეტული არა მარტო პირადი საქმის მასალები და მუშაობის მაჩვენებლები, არამედ თვით მუშაკიც, მისი პიროვნული ღირსებები და ნაკლოვანებები, მისი ცხოვრებისეული პოზიცია და პრინციპები, საზოგადოებრივი ავტორიტეტი, ოჯახური მდგომარეობა და ა. შ. არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ აღამიანები დროთა განმავლობაში იცვლებიან, ცუდი მუშაკი შეიძლება კარგი გახდეს და პირიქით. ამიტომ ამა თუ იმ მუშაკის თვისებების შესწავლა მუდმივი, სისტემატური ხასიათისა უნდა იყოს.

კადრების აღზრდისა და სწავლების ხაზით განხორციელებულ ღონისძიებებს ყოველთვის არ მოხდევს სასურველი შედეგები. ეს კი იმიტომ ხდება, რომ ჩვენი ღონისძიებანი ყოველთვის არ არის კონკრეტული და მიზანმიმართული. არა გვაქვს კადრებთან აღმზრდელობითი მუშაობის მეცნიერულად დასაბუთებული სისტემა, არ ვიცით, ვის, რა და როგორ ვასწავლოთ, როგორ შევამოწმოთ ამა თუ იმ ღონისძიების ხარისხი, როგორ განვსაზღვროთ მათი ეფექტიანობა, როგორ დავეუკავშიროთ ისინი ჩვენი საქმიანობის პრაქტიკულ ამოცანებს.

საკადრო საქმიანობის გაუმჯობესების აუცილებელი პირობაა ხელმძღვანელი მუშაკების, კოლეგიის წევრების, სტრუქტურულ დანაყოფთა ხელმძღვანელების და მათი მოადგილეების, კონსულტანტებისა და უფროსი კონსულტანტების, სასამართლოების თავმჯდომარეებისა და იურიდიულ კონსულტაციათა გამგეების პასუხისმგებლობის ამაღლება. თითოეულმა მათგანმა უნდა

⁸ ე. ა. შევეარდნაძე, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ანგარიში საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობას, „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1981 წ., გვ. 149.



განსაზღვროს თავისი ადგილი კადრებთან მუშაობაში, უნდა გრძნობდეს პერსონალურ პასუხის-
ნებელობას ამ სფეროში არსებული მდგომარეობისათვის. უნდა მივადწიოთ იმას, რომ ხელმ-
ძღვანელმა მუშაკებმა ყოველწლიურად შეადგინონ ქვემდგომ მუშაკთა დახასიათებები და პასუხი
აგონ მათი ობიექტურობისათვის.

საჭიროა შევიმუშაოთ ჩვენი მუშაკების მიერ დაშვებული შეცდომების დროულად გამოვ-
ლენის სისტემა, მივადწიოთ, რომ ეს სისტემა მუშაობდეს განუწყვეტლივ და საიმედოდ, რომ
საქმის გაქიანურების, სასამართლო საქმიების, სანოტარო ან საადვოკატო მოქმედების უკანონოდ
და უსამართლოდ გადაწყვეტის არც ერთი ფაქტი არ დარჩეს ჩვენი თვალთხედვის გარეთ.

აუცილებელია ვიზრუნოთ პრაქტიკის სრულყოფისათვის. ჩვენი მუშაკები ზოგჯერ ისეთ
შეცდომებს უშვებენ, რომ ძნელია მათი ახსნა მხოლოდ უყურადღებობითა და კანონის უცო-
დინრობით. უნდა მივადწიოთ, რომ კანონის უხეში დარღვევის, განაჩენის ან სანოტარო მოქ-
მიების გაუქმების არც ერთი ფაქტი არ დარჩეს შეუმჩნეველი, შეუფასებელი და რეაგირების
გარეშე.

სკკ XXVI ყრილობაზე ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა აღმინისტრაციულ ორგანოთა მუშაკის
თვისებები ასე დაახასიათა: „ამ ორგანოების მუშაკთა პროფესიული ცოდნა უნდა ერწყმოდეს
მოქალაქეობრივ მამაცობას, მოუსყიდველობასა და სამართლიანობას. მხოლოდ ასეთ ადამიანებს
შეუძლიათ ღირსეულად შეასრულონ დაკისრებული სერიოზული მოვალეობანი“⁹. ამხანაგ ლ. ი.
ბრეჟნევის ეს შესანიშნავი სიტყვები ყველა ჩვენგანს ავალებს იყოს ამ მაღალი მოწოდების ღირ-
სი, დღენიად იმადლებდეს პროფესიულ ცოდნასა და ოსტატობას, ობიექტურად და სამართ-
ლიანად ახორციელებდეს თავის უფლებამოსილებას, მტკიცედ იღვავს კანონიერებისა და მართლ-
წესრიგის საღარაჯოზე.

9 ლ. ი. ბრეჟნევი, სკკ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება საბჭოთა
კავშირის კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობას და პარტიის მორიგი ამოცანები საშინაო და
საგარეო პოლიტიკის დარგში; „საბჭოთა საქართველო“. თბ., 1981 წ., გვ. 109.

უზრუნველყოთ სასამართლოების საქმიანობის მაქსიმალური უზრუნველყოფა

შ. მახარაძე,

თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობამ, რომელმაც უდიდესი პოლიტიკური აღმავლობის ვითარებაში ჩაიარა, მთელი პროგრესული კაცობრიობის ცხოველი ინტერესი გამოიწვია და ერთხელ კიდევ დამაჯერებლად ცხადყო ჩვენი ხალხის უსაზღვრო ერთგულება ლენინის იდეებისადმი, მისი ერთგულებით და დარაზმულობით მშობლიური კომუნისტური პარტიის გარშემო.

ჩვენი ქვეყნის ყველა შრომითი კოლექტივი, თითოეული საბჭოთა ადამიანი უდიდესი ყურადღებით სწავლობს და ანალიზებს სკკპ XXVI ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს, თავდადებათ შრომობს პარტიის დიად მიზანდასახულობათა პრაქტიკულად განხორციელებისათვის.

ყრილობამ პრინციპულად ახალი ამოცანები დაუსახა ადმინისტრაციულ ორგანოებს. ჩვენი წმიდათაწმინდა ვალია ყველაფერი ვიღონოთ და ხორცი შევასხათ პარტიის მიერ შემუშავებულ მასშტაბურ გეგმებს.

სამართალდამცველი ორგანოების ყველა მუშაკისათვის საბრძოლო მოწოდებად გაისმა სკკპ XXVI ყრილობაზე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის სიტყვები: „სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცებაში დიდია იუსტიციის, სასამართლოს, პროკურატურის ორგანოების, საბჭოთა მილიციის პასუხისმგებლობა. ამ ორგანოების მუშაკთა პროფესიული ცოდნა უნდა ერწყმოდეს მოქალაქეობრივ მამაცობას, მოუსყიდაობასა და სამართლიანობას. მხოლოდ ასეთ ადამიანებს შეუძლიათ ღირსეულად შეასრულონ დაკისრებული სერიოზული მოვალეობანი. საბჭოთა ხალხს უფლება აქვს მოითხოვოს, რომ მათი მუშაობა მაქსიმალურად ეფექტიანი იყოს, რომ ყოველ დანაშაულს ჯეროვნად იძიებდნენ და დამნაშავეთ საკადრისად სჯიდნენ. ამ საქმეში მართლწესრიგის დამცველ ორგანოებს სავსებით დაუტკერს მხარს პარტია და, ექვი არ მეპარება, მთელი ჩვენი საზოგადოებრიობა“¹.

თბილისის საქალაქო სასამართლოს შექმნა იმთავითვე მიზნად ისახავდა დედაქალაქში მართლმსაჯულების ყველა ორგანოს, პირველი და საკასაციო ინსტანციის სასამართლოების მუშაობის გაუმჯობესებას. საქალაქო სასამართლოს საქმიანობის პირველმა ნაბიჯებმა ცხადყო, რომ მან ყოველმხრივ შეუწყობ ხელი თბილისის სასამართლო ორგანოში სოციალისტური კანონიერების ყოვე-

¹ ლ. ი. ბრეჟნევი. სკკპ ცენტრალური კომიტეტის ანგარიში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობისადმი და პარტიის მორიგი ამოცანები საშინაო და საგარეო პოლიტიკის დარგში, ვაზ. „კომუნისტი“, 1981 წლის 25 თებერვალი.

ლგვარი დარღვევის მიმართ პრინციპული და შეურიგებელი ბრძოლის სულისკვეთების დამკვიდრებას, ძირითადად უზრუნველყო კონკრეტულ სისხლის და სამოქალაქო საქმეებზე კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანი განაჩენის თუ გადაწყვეტილების დადგენა, სასამართლო საქმიანობაში ყოველგვარ შეცდომათა აღმოფხვრა.

მიუხედავად იმისა, რომ საქალაქო სასამართლო ჩამოყალიბების პროცესში ბევრ სიძნელეს წააწყდა და შესაბამისად ნაკლოვანებებიც ბევრი იყო, მან მაინც შეძლო დადებითი ზეგავლენა მოეხდინა დედაქალაქში მართლმსაჯულების განხორციელებაზე. შექმნის პირველ, ესე იგი, 1975 წელს საქალაქო სასამართლომ მხოლოდ მეოთხე კვარტალში იმუშავა და უკვე მაშინვე სისხლის სამართლის საქმეებზე განაჩენების სტაბილურობა წინა, 1974 წელთან შედარებით 1,4 პროცენტით განმტკიცდა, ხოლო მომდევნო წლებში ამ მხრივ კიდევ უკეთესი მდგომარეობა გვაქვს. მაგალითად, თუ 1976 წელს ქ. თბილისში საკასაციო წესით განხილულ სისხლის სამართლის საქმეებზე გამოტანილი განაჩენების 79,7 პროცენტი დარჩა ძალაში, 13,9 პროცენტი შეიცვალა, ხოლო 6,4 პროცენტი გაუქმდა. იგივე მონაცემები 1980 წლისათვის შემდეგ სურათს იძლევა: განაჩენების 94,1 პროცენტი ძალაში დარჩა, 3,1 პროცენტი შეიცვალა, ხოლო 2,8 პროცენტი გაუქმდა. ამ მხრივ ყველაზე უკეთეს მაჩვენებლებს საქარხნო რაიონის სახალხო სასამართლომ მიაღწია.

ქ. თბილისის სახალხო სასამართლოებში დღითიდღე უმჯობესდება დასჯითი პრაქტიკა. მაგალითად, 1980 წელს ყველა მსჯავრდადებულთა შორის თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა 67,9 პროცენტს, შრომა-გამასწორებელი მუშაობა — 13,7, პირობითი მსჯავრი — 6,1, შრომაში ჩაბმა — 8,4, ხოლო სხვა სასჯელი 3,9 პროცენტს. შარშან საქალაქო სასამართლოს მიერ პირველი ინსტანციით განხილულ საქმეებზე თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა სამართალში მიცემულთა 88 პროცენტს. ეს მოწმობს, რომ ქ. თბილისის სასამართლოები ყოველწლიურად აძლიერებენ ბრძოლას დამნაშავეობის წინააღმდეგ.

დასჯითი პრაქტიკის გამკაცრება იმის შედეგია, რომ მძიმე დანაშაულის ჩამდენ პირებს, როგორც წესი, ეფარდებათ თავისუფლების აღკვეთა.

შარშან, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო მეტად მნიშვნელოვანი დადგენილება სასამართლო პროცესის აღმზრდელობითი ზემოქმედების გაძლიერების თაობაზე, რომლის განხორციელება უთუოდ შეუწყობს ხელს დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლას. აღნიშნული დადგენილება სპეციალურად განვიხილეთ საქალაქო სასამართლოში და დაგსახეთ კონკრეტული ღონისძიებანი მის შესაარულებლად.

უნდა ითქვას, რომ დედაქალაქის სასამართლო ორგანოებს მთლიანად ვერ გამოუყენებიათ ყველა რეზერვი და შესაძლებლობა, რომლებიც ხელს შეუწყობდა დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეს.

ზოგიერთი გამსვლელი სასამართლო პროცესი დაბალ დონეზე ტარდება, ეწყობა ისეთ ადგილზე და ორგანიზაციაში, რომელთანაც ჩადენილ დანაშაულს არავითარი საერთო არა აქვს რა. ყველაზე დამაფიქრებელი ის არის, რომ 1980 წელს 1979 წელთან შედარებით თითქმის ერთიორად შემცირდა გამსვლელი სასამართლო პროცესების რაოდენობა. ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს აგრეთვე სამოქალაქო საქმეთა გამსვლელ სესიაზე განხილვის მაჩვენებლებიც.

ზემოაღნიშნული დადგენილება გვაძალეს საქმეთა განხილვაში ფართოდ

ჩავაბათ საზოგადოებრიობა. სასამართლო ორგანოებში ჯერჯერობით ეს საკითხიც მოუგვარებელია. მაგალითად, 1979 წელს საზოგადოებრივ ბრალმდებელთა და დამცველთა მონაწილეობით განხილულ სისხლის სამართლის საქმეთა რაოდენობა 1980 წელს თითქმის ერთიორად შემცირდა.


დანაშაულის ჩადენის აღვილზე სასამართლო შემადგენლობის მისვლასა და შრომითი კოლექტივებისათვის განაჩენის შინაარსის გაცნობას მეტად დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს. სამწუხაროდ, ამ საკითხსაც ჯეროვანი ყურადღება არ ეთმობა, რაც ყოველად შეუწყნარებელია.

სასამართლო პროცესის აღმზრდელობითს ზემოქმედებაზე რომ ვლაპარაკობთ, გვერდს ვერ ავუვლით კერძო განჩინებათა გამოტანის საკითხსაც. დაუფარავად უნდა ითქვას, რომ ჩვენი მუშაობა ამ მხრივაც მოიკოჭლებს. კერძოდ, თუ 1979 წელს თბილისის სახალხო სასამართლოებმა გამოიტანეს 625 კერძო განჩინება, 1980 წელს ეს ციფრი 81-ით შემცირდა.

საქალაქო სასამართლო განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს იმას, რომ არც ერთი პირი არ იქნეს უკანონოდ მსჯავრდადებული. თბილისის საქალაქო სასამართლოს ჯერ ხუთი წლის ისტორია აქვს, მაგრამ შეგვიძლია თამამად განვაცხადოთ, რომ დედაქალაქის სახალხო სასამართლოებში უსაფუძვლო მსჯავრდადება თითქმის აღმოიფხვრა. თუმცა იშვიათი გამონაკლისები მაინც იყო. მაგრამ შეცდომები დროულად სწორდებოდა. შარშან ქალაქ თბილისში იყო უსაფუძვლოდ სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის 11 შემთხვევა, რომლებზეც გამოტანილია გამამართლებელი განაჩენი, ხოლო უსაფუძვლო მსჯავრდადებისა — მხოლოდ ერთი შემთხვევა.

სასამართლოების პრაქტიკაში ჯერ კიდევ არის უხარისხო და აშკარად ლმობიერი განაჩენის გამოტანის ფაქტები. მაგალითად, ქ. თბილისის პირველი მაისის რაიონის სახალხო სასამართლოს 1980 წლის 11 აპრილის განაჩენით მსჯავრი დაედოთ გ. ყირიმელს და მ. სიღამონიძეს. საქართველოს სსრ სსკ 96¹ მუხლით გ. ყირიმელს მიესაჯა 10 წლის თავისუფლების აღკვეთა, რაც 4 წლით შემუმცირდა და საბოლოოდ განესაზღვრა 6 წლის თავისუფლების აღკვეთა, ხოლო იმავე მუხლით მსჯავრდადებულ მ. სიღამონიძეს 10 წლის თავისუფლებას აღკვეთა ჩაეთვალა პირობით და გამოსაცდელ ვადად დაენიშნა 5 წელი. გ. ყირიმელს და მ. სიღამონიძეს მსჯავრი დაედოთ სხვებთან ერთად თითქმის 38 000 მანეთის სახელმწიფო ქონების დატაცებისათვის. გარდა ამისა, იმავე საქმეში ა. კობაჩევს 3337 მანეთის მითვისებისათვის საქართველოს სსრ სსკ 94-ე მუხლის მესამე ნაწილით მიესაჯა 6 წლის თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ 45-ე მუხლის გამოყენებით გაუნახევრდა. სასამართლომ ეს შეღავათიც არ აკმარა და სასჯელი ჩაუთვალა პირობითად შრომაში სავალდებულო ჩაბმით (სახალხო მოსამართლე ვ. შადური).

იმავე საქმეში გამავალ პირს — მ. კახნიაშვილს სასამართლომ დაუსაბუთებლად მოუხსნა საქართველოს სსრ სსკ 94-ე მუხლის მესამე ნაწილი და მისი ქმედობა გადააკვალიფიცირა საქართველოს სსრ სსკ 188-ე მუხლის მეორე ნაწილით და შეუფარდა ამნისტია. მსჯავრდადებული გ. ყირიმელის საჩივრის საფუძველზე აღნიშნული საქმე საკასაციო წესით განიხილა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ და განაჩენი დატოვა ძალაში, მაგრამ ლმობიერების გამო მისი გაუქმებისათვის წარდგინებით შევიდა სასამართლოს თავმჯდომარესთან.



თბილისის საქალაქო სასამართლოს პრეზიდიუმმა ეს განაჩენი გააუქმა როგორც აშკარად ლმობიერი და უსწორო, ხოლო საქმე ხელახლა განსახილველად გადასცა იმავე რაიონის სახალხო სასამართლოს მოსამართლეთა სხვა შემადგენლობას.

ოთხჯერ სამართალში ნამყოფს (მათ შორის ორჯერ სპეკულაციისათვის) ვინმე ზ. ბადალოვს, რომელმაც კვლავ სპეკულაცია ჩაიდინა. ქ. თბილისის 26 კომისიის რაიონის სახალხო სასამართლომ აშკარად უსწოროდ მოუხსნა საქართველოს სსრ სსკ 165-ე მუხლის მეორე ნაწილი, მისი ქმედობა გადააკვალიფიცირა ამავე მუხლის პირველ ნაწილზე, სასჯელის ზომად განუსაზღვრა 2 წლის თავისუფლების აღკვეთა, რაც ჩაუთვალა პირობით შრომაში სავალდებულო ჩაბმით (სახალხო მოსამართლე მ. ლვინიაშვილი).

თბილისის საქალაქო სასამართლოს პრეზიდიუმის 1980 წლის 27 ივნისის დადგენილებით ეს განაჩენი გაუქმდა როგორც კანონსაწინააღმდეგო, აშკარად ლმობიერი და საქმე ხელახლა განსახილველად გადაეცა სასამართლოს სხვა შემადგენლობას.

აშკარად ლმობიერი განაჩენი გამოიტანა ამავე მოსამართლემ ი. შახბაზიანის, ლ. აფციაურის და სხვათა საქმეებზე.

სამწუხაროდ, ამ საქმეებზე საკასაციო პროტესტი არ ყოფილა შემოტანილი, რაც ცუდ საპროკურორო ზედამხედველობაზე მეტყველებს.

არასახარბიელო მდგომარეობა აქვთ განაჩენის სტაბილურობის მხრივ ლენინისა და ორჯონიკიძის რაიონის სახალხო სასამართლოებს — შარშან სულ 30 პირის მიმართ გაუქმდა განაჩენი და აქედან ლენინის რაიონში 12 პირის მიმართ, ხოლო ორჯონიკიძის რაიონში — რვა პირის მიმართ. ამ სახალხო სასამართლოებმა აქედან საჭირო დასკვნები უნდა გამოიტანონ და ძირეულად გააუმჯობესონ მუშაობა.

შარშან საკასაციო წესით ლმობიერების მოტივით 6 პირის მიმართ გაუქმდა განაჩენი. ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ მათ შორის სამი პირი სამხედრო სამსახურში გაწვევას არიდებდა თავს და მათ მიმართ ლენინისა და გლდანის რაიონის სახალხო სასამართლოებმა სასჯელის ზომად გამოიყენეს შრომაში სავალდებულო ჩაბმა (ი. ტიბუნაშვილისა და ს. ბუხრაშვილის საქმეები ლენინის რაიონიდან და ი. შაროიანის საქმე გლდანის რაიონიდან).

საქართველოს სსრ საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს თბილისის მოსახლეობის შეკვეთით ბინათა შეკეთება-მშენებლობის ტრესტის „საქყოფრემშენის“ № 1 უბნის ბრიგადირმა ა. ჯაშმა 1980 წლის 20 მაისს შეკვეთაში შეეცადა 20 ცალ მოზაიკის კიბის საფეხურში 184 მანეთისა და 14 კაპიკის ნაცვლად გადაახდევინა 240 მანეთი, ე. ი. 55 მანეთი და 88 კაპიკით მეტი. სასამართლომ მას ერთი წლის გამასწორებელი მუშაობა მიუსაჯა სასჯელის საერთო საფუძველზე მოხდით (სახალხო მოსამართლე — ქ. ფირფილაშვილი).

საქალაქო სასამართლოს სისხლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ საკასაციო პროტესტის საფუძველზე განაჩენი გააუქმა როგორც აშკარად ლმობიერი.

ხშირად სტატისტიკა სრულყოფილად ვერ ასახავს ფაქტობრივ ვითარებას. მაგალითად ქ. თბილისის 26 კომისიის რაიონის სახალხო სასამართლოში განაჩენის სტაბილურობა 99,2 პროცენტს შეადგენს, ამ რაიონიდან, შარშან მხოლოდ ლმობიერების მოტივით ზედამხედველობის წესით განაჩენი გაუქმდა

ექვსი პირის მიმართ. ეს მაჩვენებელი კი, თავასთივად ცხადია, სტატისტიკაში ვერ შევიდა.

ანალოგიური მდგომარეობაა პირველი მაისის რაიონშიც, სადაც საქასაციო წესით განხილული საქმეების სტაბილურობა 96,3 პროცენტს შეადგენს, მაშინ როცა საქალაქო სასამართლოს პრეზიდიუმის მიერ ზედამხედველობის წესით, როგორც აშკარად ლმობიერი, გაუქმებულ იქნა განაჩენი ექვსი პირის მიმართ.

სტატისტიკური მონაცემები ცხადყოფს, რომ განუხრელად უმჯობესდება სამოქალაქო საქმეებზე მიღებულ გადაწყვეტილებათა სტაბილურობა. მაგალითად, თუ 1976 წელს სამოქალაქო საქმეებზე გადაწყვეტილებათა მხოლოდ 62,5 პროცენტი დარჩა ძალაში, 15,7 პროცენტი შეიცვალა, ხოლო 21,6 პროცენტი გაუქმდა, 1980 წლისათვის მდგომარეობა მკვეთრად გაუმჯობესდა. კერძოდ, გასულ წელს მიღებულ გადაწყვეტილებათა 82,2 პროცენტი ძალაში დარჩა, 5,3 პროცენტი შეიცვალა, ხოლო 12,5 პროცენტი გაუქმდა. ამ მხრივ კარგი მდგომარეობაა საქარხნო, გლდანის, პირველი მაისისა და ლენინის რაიონების სახალხო სასამართლოებში.

უნდა ითქვას, რომ, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არის საქმეთა საპროცესო ნორმების უხეში დარღვევებით განხილვის ფაქტები. მაგალითად, ქ. თბილისის ლენინის რაიონის სახალხო სასამართლოს 1980 წლის 18 სექტემბრის განაჩენით ე. მკრტიჩიანს მსჯავრი დაედო საქართველოს სსრ სსკ 92-ე მუხლის მეორე ნაწილითა და 151-ე მუხლის მეორე ნაწილით და ერთობლივად მიესაჯა ექვსი წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა სასჯელის მკაცრი რეჟიმის კოლონიაში მოხდით. საქმის მასალებით გამოირკვა, რომ ე. მკრტიჩიანმა, არ იცის ქართული ენა, რომელზეც წარმოებდა გამოძიება, სასამართლომ კი საქმე უთარჯიმოდ განიხილა, რითაც დაარღვია საქართველოს სსრ სსსკ 44-ე და 135-მუხლის მოთხოვნები. რაღა თქმა უნდა, საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგია სავსებით სწორად მოიქცა, როცა ეს განაჩენი გააუქმა და საქმე დააბრუნა დამატებით გამოძიების ჩასატარებლად.

სამსჯავრო გამოძიების არასრულყოფილად ჩატარების გამო გამოტანილი განაჩენი გაუქმდა აგრეთვე რ. ვაჩაძის, ა. წამალაშვილის (სახ. მოსამართლე ა. წულუკიანი) ბ. ნატროშვილის, ვ. მურადიანის (სახ. მოსამართლე თ. შანიძე), ს. ბარნაბიშვილის (სახ. მოსამართლე გ. ჟორჯოლაძე), ე. ლევიშვილის (სახ. მოსამართლე ნ. ქადაგიშვილი) საქმეზე.

ყოვლად შეუწყნარებელია, რომ სახალხო სასამართლოები კვლავ უშვებენ შეცდომებს კოლონიის რეჟიმის განსაზღვრის ნაწილშიც. მაგალითად, ლენინის რაიონის სახალხო სასამართლოს 1980 წლის 17 ნოემბრის განაჩენით ფ. კილასონიას საქართველოს სსრ სსკ 152-ე მუხლის მეორე ნაწილითა და 243-ე მუხლის მესამე ნაწილით მიესაჯა ათი წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა საჯელის მკაცრი რეჟიმის კოლონიაში მოხდით (სახალხო მოსამართლე — ა. წულუკიანი). მართალია, ფ. კილასონია წინათაც იყო ნასამართლევი, მაგრამ მას თავისუფლების აღკვეთა არ ჰქონია შეფარდებული და სასჯელი თავისუფლების აღკვეთის სახით არ მოუხდია. ამდენად სავსებით სწორად მოიქცა საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგია, როცა მას სასჯელის მოხდა განუსაზღვრა გაძლიერებული რეჟიმის კოლონიაში.

ანალოგიური დარღვევები იქნა დაშვებული გ. გამცემლიძის, ი. ჯამაგაძის

(ლენინის რაიონის სახალხო სასამართლო), ა. ააუნინის (პირველი მაისის რაიონის სახალხო სასამართლო), ა. კარიაულის (ორჯონიკიძის რაიონის სახალხო სასამართლო) და თ. თავბერიძის (ოქტომბრის რაიონის სახალხო სასამართლო), საქმეებზე.

სავსებით სწორად თქვა ე. ა. შევარდნაძემ საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობაზე: „მაგრამ მთლიანად ადმინისტრაციული ორგანოების მუშაობის ეფექტიანობა, ანტისაზოგადოებრივი მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის ტემპი და ინტენსიურობა ჯერ კიდევ არ შეესაბამება დღევანდელი მოთხოვნებს.

მთლიანად არ არის აღმოფხვრილი შემთხვევები, როცა მილიციის, სასამართლოსა და პროკურატურის ზოგიერთი პასუხისმგებელი თუ სხვა მუშაკი ფორმალურ-ბიუროკრატიულად და არაკეთილსინდისიერად ეკიდება თავის სამსახურებრივ მოვალეობებს. არ არის საკმარისი მათი კვალიფიკაციის დონე. რესპუბლიკაში დამნაშავეობასთან ბრძოლის ეფექტიანობაზე უარყოფითს გავლენას ახდენს სასამართლო-საძიებო ორგანოების მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი“².

„მართლწესრიგის დაცვისათვის მუშაობის გაუმჯობესებისა და სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ“ სკკ ცენტრალური კომიტეტის 1979 წლის 2 აგვისტოს ცნობილი დადგენილებების შესასრულებლად ვახორციელებთ ბევრ ღონისძიებას, რამაც კიდევ უფრო ქმედითი გახადა ჩვენი მუშაობა. დადგენილებამ ადმინისტრაციულ ორგანოებს დიდი და გადაუდებელი ამოცანები დაუსახა: მკვეთრად გააუმჯობესონ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა ქალაქებსა და სხვა დასახლებულ პუნქტებში, თანამიმდევრული და მტკიცე ბრძოლა აწარმოონ ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ, სასწავლებელში, შრომითს კოლექტივებსა და საცხოვრებელ ადგილებში კიდევ უფრო სრულყოფილად არასრულწლოვანთა შორის სამართალდარღვევების პროფილაქტიკისათვის მიმდინარე მუშაობა, გაძლიერონ ბრძოლა სოციალისტური საკუთრების ყოველგვარი ხელყოფის წინააღმდეგ, უფრო აქტიურად იბრძოლონ მუქთახორობისა და სპეკულაციის აღმოსაფხვრელად; ახალი ძალით გააჩაღონ უკომპრომისო ბრძოლა ისეთ დანაშაულობებთან, როგორც არის მოქალაქეთა პირადი ქონებია ხელყოფა, მანქანების გატაცება და ნარკომანია.

ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ყოველდღიური ყურადღების ცენტრშია არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილ დანაშაულობათა საქმეები. სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგია სისტემატურად სწავლობს არასრულწლოვანთა საქმეების სასამართლო პრაქტიკას, აანალიზებს სახალხო სასამართლოების მიერ დაშვებულ დარღვევებს და სახავეს ღონისძიებებს ნაკლოვანებათა დროული აღმოფხვრისათვის. საქალაქო სასამართლოს პრეზიდიუმმა გაფართოებულ სხდომაზე მოისმინა ინფორმაცია ამ კატეგორიის საქმეების სასამართლო პრაქტიკის შესახებ და მიიღო შესაბამისი დადგენილება. მიმდინარე წლის სამუშაო გეგმით ამ საკითხს კვლავ დავუბრუნდებით.

ნარკომანიის საქმეებზე სასამართლო განხილვის შესწავლამ ცხადყო, რომ ამ კატეგორიის საქმეთა გამოძიებისა თუ სამსჯავრო პროცესის დროს დაშვე-

² ე. ა. შევარდნაძე. საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ანგარიში, მოხსენება საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობაზე, ვახ „კომუნისტი“, 1981 წლის 23 იანვარი.

ბული იყო შეცდომები, საგამოძიებო და სასამართლო ორგანოები არ იცავდნენ „ნარკოტიკულ, სხვა ძლიერმოქმედ და შხამიან ნივთიერებათა დატაცების, უკანონო დამზადებისა და გასაღების საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სახელმძღვანელო დადგენილების მითითებას იმის თაობაზე, რომ ამ სახის დანაშაულის შემადგენლობისათვის მნიშვნელობა არა აქვს აღმოჩენილ ნარკოტიკულ ნივთიერებათა ოდენობას, რის გამოც ზოგ შემთხვევაში კანონს სწორად არ იყენებდნენ.

საქმეთა შესწავლამ გვიჩვენა, რომ ერთი და იგივე რაოდენობის ნარკოტიკული ნივთიერების შექენისა თუ შენახვისათვის ზოგჯერ გამოყენებული იყო ადმინისტრაციული ღონისძიება, ხოლო ზოგ შემთხვევაში — სისხლის სამართლის კანონი. გამოვლენილ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად დავსახეთ შესაბამისი ღონისძიებანი, რომლებსაც გეგმაზომიერად ვახორციელებთ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს საზედამხედველო ფუნქციაც აკისრია, რაც გამოიხატება ძალაში შესული განაჩენებისა თუ გადაწყვეტილებების გადასინჯვით. ამ რთულ და პასუხსაგებ საქმეს ახორციელებს საქალაქო სასამართლოს პრეზიდიუმი, რომელიც სისტემატურად განიხილავს საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის, ქ. თბილისის პროკურორის, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის, მისი მოადგილეების, საქართველოს სსრ პროკურორის და მისი მოადგილეების, აგრეთვე სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოდან და სსრ კავშირის პროკურატურიდან შემოსულ პროტესტებს. საქალაქო სასამართლოს პრეზიდიუმს, დღიდან მისი ჩამოყალიბებისა, მთელი დატვირთვით უხდება მუშაობა.

საქალაქო სასამართლოს პრეზიდიუმის მუშაობა მხოლოდ საზედამხედველო პროტესტების განხილვით როდი ამოიწურება. ამას გარდა პრეზიდიუმი განიხილავს სასამართლო პრაქტიკას, საქალაქო სასამართლოს პრეზიდიუმის გაფართოებულ სხდომებზე ვიწვევთ დაინტერესებული ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ხელმძღვანელებს. პრეზიდიუმის მიერ განხილული კონკრეტული საქმეების შედეგებს სასამართლო კოლეგიების თავმჯდომარეები ოპერატიულ თათბირებზე აცნობენ ყველა წევრს. აქვე განიხილება აგრეთვე ის მასალები, რომლებიც შემოდის სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროებიდან, აგრეთვე ყველა სახელმძღვანელო დოკუმენტები.

მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა, ჩვენს მუშაობაში ჯერ კიდევ არის სერიოზული ნაკლოვანებანი. ვერ იქნა და თავიდან ვერ ავიცილეთ საქმეთა განხილვის გაჭინაურება, მცდარი გადაწყვეტილებების, განაჩენებისა თუ განჩინებების გამოტანა. ჯერ კიდევ ნაკლებია ფართო საზოგადოებრიობის მონაწილეობა მართლმსაჯულების განხორციელების საქმეში.

ის, რაც საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობაზე თქვა ე. ა. შევარდნაძემ მთლიანად შეეხება თბილისის საქალაქო სასამართლოსაც, „დღევანდლობის ამოცანებმა, რომლებიც ახალი კონსტიტუციიდან გამომდინარეობს, კიდევ უფრო მაღალი მოთხოვნები წაუყენა სასამართლოს, პროკურატურის, სახელმწიფო უშიშროების, შინაგან საქმეთა ორგანოების მუშაკებს, ყველას, ვინც სოციალისტური მართლწესრიგის სადარაჯოზე დგას“³.

³ ე. ა. შევარდნაძე. საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ანგარიში, მოხსენება საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობაზე, გაზ. „კომუნისტი“, 1981 წლის 23 იანვარი.

ცალკე მსჯელობის საგანია საპატიმრო ადგილიდან სამსჯავრო სხდომაზე სამართალში მიცემულთა დროული წარმოდგენა, რაც ხელს უშლიდა საქმეთა დროულ განხილვას. მეტად ხშირი იყო პატიმრების წარმოუდგენლობის გამო სამსჯავრო სხდომების ჩაშლის ფაქტები. 1980 წელს ქალაქის ყველა სახალხო სასამართლოში სამსჯავრო სხდომა 1150-ჯერ ჩაიშალა, მიმდინარე წლის ოთხ თვეში 1050-ჯერ.

რალა თქმა უნდა, სასამართლო პროცესის აღმზრდელობითი ზემოქმედების გაძლიერების თაობაზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1980 წლის ოქტომბრის დადგენილების შესრულებას გარკვეულწილად ხელს უშლიდა პატიმრების წარმოუდგენლობის გამო სასამართლო პროცესების ესოდენ ხშირი ჩაშლა.

ამჟამად ეს საკითხი გამოსწორებულია და საქმეები დროულად იხილება.

საქალაქო სასამართლოს თითოეულ მუშაკს ღრმად აქვს შეგნებული სკკპ XXVI და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობების მიერ დასახული ამოცანების მნიშვნელობა და ყოველ ღონეს იხმარს, რათა მაქსიმალურად გამოიყენოს ყველა შესაძლებლობა მუშაობის ეფექტიანობისა და ხარისხის ასამაღლებლად.

შრომის ორგანიზაციის საგანგებო აქტივობები

თ. ლონჯაშვილი,

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სპორტის ინსტიტუტის
ასპირანტი

ვ. ი. ლენინი დიდ ყურადღებას უთმობდა შრომის ორგანიზაციის საკითხებს. სოციალისტური მშენებლობისათვის, ამბობდა ვ. ი. ლენინი, „პირველ რიგში აუცილებლად დგება კაპიტალიზმზე უფრო მაღალი საზოგადოებრივი წესობის შექმნის ძირითადი ამოცანა, სახელდობრ: შრომის ნაყოფიერების გაზრდა, ამასთან დაკავშირებით (და ამისათვის) კი — მისი უმაღლესი ორგანიზაცია“¹. „...საბჭოთა ხელისუფლებისათვის — სწორედ შრომის ორგანიზაცია ცალკეულ უდიდეს საწარმოებსა და სოფლის ცალკეულ თემებში წარმოადგენს მთელი საზოგადოებრივი ცხოვრების ყველაზე მთავარ, ძირითად და საჭირობო საკითხს“².

მარქსიზმ-ლენინიზმს შრომის ორგანიზაციის პრობლემა მიაჩნდა არა თვითმიზნად, არამედ შრომის ნაყოფიერების ამაღლების, სამუშაო დროის ეკონომიის და შრომის პირველ სასიცოცხლო მოთხოვნილებად გადაქცევის მძლავრ საშუალებად.

განვითარებული სოციალიზმის პირობებში შრომის უფრო მაღალი ორგანიზაციის უზრუნველყოფა უშუალო პრაქტიკულ ამოცანად იქცა. „ახალი ტექნიკა და სამუშაო დღის შემოკლება, — ნათქვამია სკკპ პროგრამაში, — მოითხოვს გადავიდეთ შრომის ორგანიზაციის უფრო მაღალ საფეხურზე“³, უამისოდ შეუძლებელია შრომის ნაყოფიერების ზრდის მაღალი ტემპების უზრუნველყოფა და მთავარი ეკონომიკური ამოცანის გადაწყვეტა.

შრომის ორგანიზაციის დარგში ახალი ამოცანებია დასახული სკკპ XXVI ყრილობის მიერ. ყრილობაზე ითქვა, რომ ყველა დარგში უნდა შეექმნათ მაღალნაყოფიერი შრომის პირობები, ყოველნაირად დავაჩქაროთ კომპლექსური მექანიზაცია და ავტომატიზაცია, მტკიცედ დავნერგოთ შრომის ორგანიზაციის ბრიგადული ფორმა, სრულფასოვანი ნორმირება, გავაძლიეროთ ხელფასის მასტიმულირებელი როლი. საქმე ისე უნდა მოვაწყოთ, რომ პროდუქციის გამოშვების ზრდა მოქმედ საწარმოებში მიღწეული იყოს დასაქმებულთა სტაბილური და ნაკლები რიცხვითაც კი. ყურადღება უნდა დაეთმოს აგრეთვე არასაწარმოო სფეროს შრომის უფრო რაციონალურ გამოყენებას⁴.

სოციალიზმი ქმნის შრომის საზოგადოებრივი ორგანიზაციის ახალ, უმაღლეს ტიპს. სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების შრომის კანონმდებლობის საფუძვლების პრემბულაში ნათქვამია, რომ „სსრ კავშირში შრომის საზოგადოებრივი ორგანიზაციის საფუძველია სოციალისტური საკუთრება“...

¹ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 27, გვ. 302.

² იქვე, გვ. 233.

³ „სკკპ პროგრამა“, თბილისი, 1971, გვ. 109.

⁴ ვაზ. „კომუნისტი“, 1981 წლის 28 თებერვალი.

შრომის მეცნიერული ორგანიზაცია სოციალიზმის დროს ობიექტური აუცილებლობაა. საზოგადოებრივი წარმოებისა და შრომითი საქმიანობის ყველა სფეროში მისი თანამიმდევრული და სისტემატური დანერგვა საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლების მნიშვნელოვანი საშუალებაა. მეცნიერება ახლა უშუალო საწარმოო ძალა გახდა. პირველად მსოფლიოს ისტორიაში შრომის მეცნიერული ორგანიზაციის საკითხი საკანონმდებლო წესით აისახა სსრ კავშირის ახალ კონსტიტუციაში (21-ე მუხლი).

თანამედროვე პირობებში შრომის მეცნიერული ორგანიზაცია ემყარება მეცნიერებისა და მოწინავე გამოცდილების მიღწევებს. რომელიც სისტემატურად ინერგება წარმოებაში, ეს კი უზრუნველყოფს ტექნიკის და ადამიანების ყველაზე უკეთ დაკავშირებას ერთიან საწარმოო პროცესში, მატერიალური და შრომითი რესურსების ყველაზე უფრო ეფექტიან გამოყენებას, შრომის ნაყოფიერების განუწყვეტელ ზრდას, ხელს უწყობს ადამიანთა ჯანმრთელობის შენარჩუნებას, შრომის თანდათანობით გარდაქმნას პირველ სასიცოცხლო მოთხოვნილებად⁵.

ამის საფუძველზე შრომის ორგანიზაციის წინაშე სამი ძირითადი ამოცანა დგას: 1. ეკონომიკური, 2. ფსიქოფიზიოლოგიური, 3. სოციალური.

ეკონომიკურ მეცნიერებაში შრომის ორგანიზაციის შინაარსში შეაქვთ შემდეგი ძირითადი ელემენტები: შრომის დანაწილება და კოოპერაცია, შრომის ნორმირება და ანაზღაურება, კადრების მომზადება და კვალიფიკაციის ამაღლება, შრომის დისციპლინა. სამუშაო ადგილის ორგანიზაცია და საწარმოო მომსახურება, შრომის პირობები და შრომის დაცვა⁶.

შრომის დანაწილება და კოოპერაცია მისი ორგანიზაციის საფუძველს წარმოადგენს. იგი განსაზღვრავს თითოეული მუშაკის ადგილს შრომის პროცესში, მის ფუნქციებს და მოვალეობებს, აგრეთვე მოთხოვნებს, რომლებიც წაეყენება შესრულებული სამუშაოს ხარისხს და თითოეული მუშაკის კვალიფიკაციას.

შრომის დანაწილება და კოოპერაცია დაკავშირებულია ამ ტექნიკურ და ტექნოლოგიურ საშუალებათა ზუსტად განსაზღვრასთან, რომელთა მეშვეობითაც მიმდინარეობს შრომის პროცესი, ვინაიდან ამაზეა დამოკიდებული შრომის დანაწილების ობიექტურად განპირობებული სისტემა. მის საფუძველზეა აგებული სხვადასხვა საწარმოო ოპერაციათა და პროცესთა დანაწილებისა და შეერთების ყველაზე რაციონალური ფორმები და ხერხები, აგრეთვე სამუშაოთა შესრულების თანამიმდევრობა.

მაგრამ შრომის ოპერაციების და პროცესების თვისებრივი დახასიათება და მათი დაჯგუფება-განსაზღვრული თანამიმდევრობით უნდა შეივსოს რაოდენობრივი დახასიათებითაც, დროის განსაზღვრით. ამ ფუნქციას ასრულებს შრომის ნორმირება, რომელიც ორმაგ როლს თამაშობს: ერთის მხრივ, იგი განსაზღვრავს დროს, რომელიც აუცილებელია მუშაკის მიერ ყველა ოპერაციის, პროცესის შესასრულებლად, მეორეს მხრივ. ამის საფუძველზე საშუალებას იძლევა დადგინდეს მუშაკების რაოდენობა, რომელიც აუცილებელია კონკრეტული საწარმოო მიზნის მისაღწევად არსებული ტექნიკის, ტექნოლოგიისა და მუშაკებს შორის შრომითი ფუნქციების ყველაზე ოპტიმალური განაწილების პირობებში.

⁵ Рекомендации Всесоюзного совещания по организации труда (26—29 июня 1967 г.), М., 1967, с. 3—4.

⁶ Экономика труда — Москва, «Высшая школа», 1976, с. 95.

წარმოების ტექნიკის და ტექნოლოგიის მუდმივ გაუმჯობესებასთან დაკავშირებით მეტი მნიშვნელობა ენიჭება მომუშავე პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებას. ამიტომ შრომის ორგანიზაციის არსებით ელემენტს წარმოადგენს მუშაობა კადრების მოსამზადებლად და კვალიფიკაციის ასაღლებლად როგორც თითოეული საწარმოს, ისე მთელი საზოგადოების მასშტაბით.

შრომის ორგანიზაციის უმნიშვნელოვანესი ელემენტია აგრეთვე საჭირო რაოდენობის მუშაკების პრაქტიკული ჩაბმა შრომაში, საწარმოო კოლექტივის განუწყვეტელი ფორმირება, სისტემატიური ზრუნვა მუშაკთა ყველაზე უფრო რაციონალური განლაგებისათვის, საამქროებში, უბნებში, ბრიგადებში, რგოლებში მათი გაერთიანებისათვის დაბოლოს, იმის უზრუნველყოფა, რომ თითოეული მუშაკი ზუსტად და დროულად ასრულებდეს თავის მოვალეობას. ამრიგად, შრომის დისციპლინა შრომის ორგანიზაციის აუცილებელი ელემენტია.

თითოეული მუშაკის მიერ დაკისრებულ მოვალეობათა შესრულება შრომის და წარმოების საშუალებების ყველაზე ნაკლები დანახარჯებით და ყველაზე ეფექტიანად უზრუნველყოფილია სამუშაო ადგილის და მუშაკის საწარმოო მომსახურების საუკეთესო ორგანიზაციით, შრომის მოწინავე მეთოდებისა და ხერხების დანერგვით და, ბოლოს, ხელფასის შესაბამისი სისტემის და მორალური წახალისების ფორმის შერჩევით. ყველაფერი ეს, ერთი მხრივ, ქმნის შრომის პირობებს, ხოლო, მეორე მხრივ, ეკონომიკურად ასტიმულირებს მუშაკს ყველაზე ეფექტიანად გამოიყენოს თავისი შრომა როგორც პირადი, ისე საზოგადოებრივი ინტერესებისათვის.

შრომის სოციალისტური ორგანიზაციის დამახასიათებელი ნიშანია არა მარტო შრომის მაღალი ნაყოფიერების უზრუნველყოფა, არამედ მუშაკის პიროვნების ყოველმხრივი განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა. ამიტომაც იგი შეიცავს ისეთ სპეციფიკურ ელემენტებსაც, როგორც არის შრომის პირობების გაუმჯობესება, შრომის და დასვენების ოპტიმალური რეჟიმის განსაზღვრა, მუშაკის შემოქმედებითი უნარის განვითარება⁷.

შრომის ორგანიზაციის საკითხების შესწავლაში წამყვანი როლი ეკონომიკურ მეცნიერებას ეკუთვნის, მაგრამ მას აქვს აგრეთვე მორალურ-პოლიტიკური და სამართლებრივი ასპექტებიც.

სამართლებრივი ნორმები მოწოდებულია ხელი შეუწყოს შრომის სწორ ორგანიზაციას, შრომის ნაყოფიერების ზრდას. სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების შრომის კანონმდებლობის საფუძვლების პირველი მუხლით, საბჭოთა. შრომის კანონმდებლობა აწესრიგებს მუშათა და მოსამსახურეთა შრომითს ურთიერთობას, ხელს უწყობს შრომის ნაყოფიერების ზრდას, საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობას და ამ საფუძველზე მშრომელთა ცნობების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლებას, შრომის დისციპლინის განმტკიცებას, იმას, რომ შრომა საზოგადოების საკეთილდღეოდ თანდათან გადაიქცეს ადამიანის უპირველეს სასიცოცხლო მოთხოვნილებად.

სოციალიზმის დროს საზოგადოებრივი შრომითი ურთიერთობების სამართლებრივი რეგულირება განპირობებულია იმით, რომ შრომა ჯერ კიდევ არ გადაქცეულა საზოგადოების ყველა წევრის სასიცოცხლო მოთხოვნილებად, ამიტომაც ხორციელდება პრინციპი: „თითოეულისაგან მისი უნარის მიხედვით, თითოეულს მისი შრომის მიხედვით“. სოციალისტური სამართალი ამასთანავე

წარმოადგენს შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების აღზრდის იარაღს. დიფერენცირებულად უდგება რა საზოგადოებრივი შრომითი ურთიერთობების მოწესრიგებას, სამართალს შეუძლია დააჩქაროს ან შეანელოს შრომის ორგანიზაციის განსაზღვრული ფორმის განვითარება. ეს მიიღწევა შრომის სამართლის ნორმებში მატერიალური და მორალური სტიმულების განმტკიცებით, რომლებიც იწვევს მოქალაქეთა დაინტერესებას საზოგადოებრივი მნიშვნელობის მქონე შედეგების მიღწევით.

თანამედროვე პირობებში შრომის სამართალი მნიშვნელოვან როლს ასრულებს შრომის მეცნიერული ორგანიზაციის განვითარებაში.

იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ საბჭოთა შრომის სამართლის მიზანია უზრუნველყოს მუშაკთა შრომის და ჯანმრთელობის დაცვა, საწარმოო საქმიანობისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა, მშრომელთა ინტერესების დაცვა. ამიტომ შრომის სამართლის ეს ფუნქციები თითქოს ეწინააღმდეგება შრომის მეცნიერული ორგანიზაციის პრინციპებს, რამდენადაც ეს უკანასკნელი გულისხმობს შრომის უმაღლესი შედეგების მიღებას უმცირესი დანახარჯებით⁸.

ჩვენი აზრით, მართალია ა. ს. პაშკოვი, რომელიც თვლის, რომ საბჭოთა შრომის სამართლის ამოცანები, რომლებიც ჩამოყალიბებულია სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების შრომის კანონმდებლობის საფუძვლებში, არა თუ არ ეწინააღმდეგება, არამედ მთლიანად შეესაბამება შრომის მეცნიერული ორგანიზაციის იმ მოთხოვნებს, რომლებიც ფორმულირებულია შრომის ორგანიზაციის შესახებ საკავშირო თათბირის (1967 წლის) რეკომენდაციებში. თავის მხრივ, შრომის მეცნიერული ორგანიზაცია საკუთრივ გულისხმობს შრომის დაცვას, მისი პირობების გაუმჯობესებას, პიროვნების ყოველმხრივ განვითარებას⁹.

გარდა ამისა, შრომის სამართალი, როგორც საბჭოთა სამართლის დარგი, ემყარება შრომის სოციალისტური ორგანიზაციის პრინციპებს, რომლებიც დარგთაშორის პრინციპებს წარმოადგენენ. ამ პრინციპების განხორციელებას, ამა თუ იმ ზომით ხელს უწყობს საბჭოთა შრომის სამართლის ყველა ინსტიტუტი.

შრომის სამართლის ბევრი ნორმა განამტკიცებს შრომაში მოქალაქეთა ჩაბმის ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმებს, განსაზღვრავს შრომის ხელშეკრულების მხარეთა უფლება-მოვალეობებს, ხელფასის სისტემების სამართლებრივი რეგულირების გზით აყალიბებს მოთხოვნებს, რომლებიც წარედგინება შესრულებულ სამუშაო ხარისხს და მუშაკის კვალიფიკაციას, ადგენს პროფესიათა შეთავსების წესსა და პირობებს.

ზოგიერთ სამართლებრივ ნორმაში ურთიერთშერწყმულია ტექნიკური და სოციალური ნორმები. მათში ტექნიკურ ნორმებს ეძლევათ სამართლებრივი ძალა. იურიდიულ ლიტერატურაში ასეთმა ნორმებმა მიიღეს სახელწოდება სამართლებრივი ნორმები „ტექნიკური შინაარსით“¹⁰.

საბჭოთა შრომის სამართალში იმ ნორმათა შორის, რომლებზეც ვრცელდება ტექნიკური ნორმირება ყველაზე დიდი მნიშვნელობა აქვს დროის და გამოიმუშავების ნორმებს. პირველი ჩვეულებრივ განსაზღვრულია როგორც

⁸ Советское трудовое право — под ред. А. С. Пашкова, М., 1976, с. 56.

⁹ იქვე, გვ. 56-57

¹⁰ Г. И. Шатков, Советская правовая норма (автореферат канд. диссертации) М., 1962, с. 5—6.

შრომის დანახარჯების ნორმა, რაც აუცილებელია გარკვეულ სამუშაოს შესასრულებლად მოცემულ ტექნიკურ-ორგანიზაციულ პირობებში, ხოლო მეორე, როგორც ნატურალური პროდუქციის ან მისი ერთეულის (სამუშაოს მოცულობის) რაოდენობა, რომელიც წარმოებს განსაზღვრული დროის განმავლობაში¹¹.

დროის ნორმის არსი გულისხმობს, რომ ეს არის ტექნიკური ნორმა. ითვისების წინებს რა გარკვეული ტექნიკურ-ეკონომიკურ და ორგანიზაციულ პირობებს, იგი განსაზღვრავს იმ სამუშაო დროის რაოდენობას, რომელიც აუცილებელია შრომის სავალდებულო შედეგის მისაღწევად.

საერთოდ ტექნიკური ნორმები ეს ის წესებია, რომლებითაც ხელმძღვანელობენ ადამიანები თავიანთ საქმიანობაში შრომის იარაღების, ბუნების საგნების მიმართ. მაგრამ თუ ტექნიკური ნორმა შეტანილია ნორმატიულ-აქტში, იგი იქცევა სამართლებრივ ნორმად ტექნიკური შინაარსით¹².

ამის საფუძველზე გამომუშავების ნორმის ბუნებაც ორგანოა, იგი ერთი მხრივ, არის ტექნიკური ნორმა, ხოლო მეორე მხრივ, იურადიული. გამომუშავების ნორმის ლოგიკური სტრუქტურა შეესაბამება ჩვეულებრივი იურადიული ნორმის ლოგიკურ სტრუქტურას. ეს უკანასკნელი, როგორც ცნობილია, შედგება ჰიპოთეზისაგან, დისპოზიციისა და სანქციისაგან. ყველა ეს ელემენტი გვაქვს გამომუშავების ნორმებში, რომლებიც შეიცავს: 1. შესასრულებელი ნორმირებული სამუშაოს პირობების დახასიათებას; 2. მითითებას ნაკეთობათა რაოდენობაზე, სამუშაოს მოცულობაზე და ა. შ. (საკუთრივ ნორმატიულ ნაწილს); 3. პირდაპირ ან არაპირდაპირ მითითებას ნორმის შეუსრულებლობის გამო მუშაკებისათვის დამდგარ არასასურველ შედეგებზე (ხელფასის შემცირება, დისციპლინური სასჯელები, დათხოვნაც კი). იღებს რა იურიდიულ ძალას, გამომუშავების ნორმა ხდება შრომის საზომი.

შრომის სამართალი უზრუნველყოფს თითოეული მუშაკის მიერ თავისი შრომითი მოვალეობების ჯეროვნად შესრულებას. ბევრი ნორმა ავალდებულებს მუშაკს შეასრულოს შრომითი მოვალეობა, დაიცვას შრომის სოციალისტური დისციპლინა, გაშალოს სოციალისტური შეჯიბრება და სხვა.

შრომის სამართლის ნორმები აწესრიგებს შრომის ანაზღაურების სხვადასხვა სისტემასა და ფორმებს, საგარანტიო და საკომპენსაციო გადასახდელებს, პენსიების დანიშვნის წესს და ა. შ. ამ ნორმების მიზანია უზრუნველყოს შრომის შედეგებისადმი მუშაკთა პირადი და კოლექტიური დაინტერესება, სამუშაო ძალის კვლავწარმოება და სხვა.

შრომის სწორი ორგანიზაცია და შრომის სათანადო პირობების შექმნა გადამწყვეტ როლს ასრულებს დროის ეკონომიისა და შესაბამისად შრომის ნაყოფიერების ზრდის, მისი ეფექტიანობის გადიდების უზრუნველყოფაში, ადამიანთა ჯანმრთელობისათვის ზიანის მიუყენებლად. ამასთანავე შრომის ორგანიზაცია სათანადო პირობებს ქმნის მშრომელთა ყოველმხრივი ჰარმონიული განვითარებისათვის, შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების ჩანერგვისა და შრომის უპირველეს სასიცოცხლო მოთხოვნილებად გადაქცევისათვის, სამუშაო ძალის გაფართოებულ სოციალისტური კვლავწარმოებისათვის.

ამიტომ არის, რომ საბჭოთა შრომის კანონმდებლობა საწარმოების, დაწე-

¹¹ Методика разработки единых норм выработки (времени), Изд. НИИТ, 1961, с. 5.

¹² О. С. Иоффе, М. Д. Шаргородский — Вопросы теории права, Госюриздат, 1961, с. 124—125.

სებულებების, ორგანიზაციების ადმინისტრაციას აკისრებს „სწორად მოაწყოს მუშათა და მოსამსახურეთა შრომა, შექმნას შრომის ნაყოფიერების ზრდის პირობები, უზრუნველყოს შრომისა და საწარმოო დისციპლინა, განუხრელად დაიცვას შრომის კანონმდებლობა და შრომის დაცვის წესები, ყურადღებით მოეკიდოს მუშაკთა საჭიროებებსა და მოთხოვნილებებს, გააუმჯობესოს მათი შრომისა და ყოფაცხოვრების პირობები“¹³.

ამ ნორმის ძალით, ადმინისტრაცია მოვალეა ისე მოაწყოს მუშა-მოსამსახურეთა შრომა, რომ ყველა მუშაობდეს თავისი სპეციალობისა და კვალიფიკაციის მიხედვით. ჰქონდეს მისთვის მიჩნეული ადგილი, დაზგა, მანქანა და ა. შ. ადმინისტრაციამ ფართოდ უნდა გამოიყენოს სამუშაო ადგილის ორგანიზაციის ტიპიური პროექტები, რომლებიც შემუშავებულია დარგობრივი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების მიერ, უზრუნველყოს მანქანების, დაზგების, ინსტრუმენტებისა და სხვა მოწყობილობათა გამართულობა. შრომის შინაგანაწყობის ტიპობრივი წესების მიხედვით, მან უნდა უზრუნველყოს აგრეთვე „ნედლეულის მასალებისა და სხვა რესურსების მარაგი, რაც საჭიროა შეუფერხებელი და რიტმული მუშაობისათვის“.

ადმინისტრაციამ დღენიადაგ უნდა იზრუნოს პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის, შრომის ნაყოფიერების ზრდის პირობების შექმნისათვის, დროულად განიხილოს და დანერგოს ტექნიკის უახლესი მიღწევები. გამოგონებანი და რაციონალიზატორული წინადადებანი, მხარი დაუჭიროს და წაახალისოს წარმოების ნოვატორები.

შრომის სათანადო პირობების შექმნა გულისხმობს აგრეთვე მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლებას, რომლებსაც დიდი ადგილი აქვს დათმობილი შრომის კანონმდებლობაში.

შრომის ნაყოფიერება ბევრად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რა პირობებში წარმოებს შრომა.

შრომის უსაფრთხო და ჯანსაღი პირობების შექმნა ყოველთვის იყო კომუნისტური პარტიის და საბჭოთა სახელმწიფოს განსაკუთრებული ზრუნვის საგანი. დებულება შრომის დაცვის შესახებ, პირველად არის აყვანილი კონსტიტუციის რანგში (21 მუხლი).

საბჭოთა შრომის სამართალი მთელა თავისი ბუნებით, სოციალური დანიშნულებით ჰუმანური ხასიათისაა და ემსახურება შრომის დაცვას.

სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების შრომის კანონმდებლობის საფუძვლების პრეამბულაში ნათქვამია რომ „შრომელთა ჯანმრთელობის დაცვა, უსაფრთხო შრომის პირობები, პროფესიულ დაავადებათა და საწარმოო ტრავმატიზმის ლიკვიდაცია საბჭოთა სახელმწიფოს ერთ-ერთი მთავარი საზრუნავია“. საფუძვლების მე-2 მუხლით მუშებსა და მოსამსახურეებს აქვთ ჯანსაღი და უსაფრთხო შრომის პირობების უფლება.

კანონმდებლობით „შრომის ჯანსაღი და უსაფრთხო პირობების უზრუნველყოფა ეკისრება საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაციას.

ადმინისტრაცია ვალდებულია საწარმოო ტრავმატიზმის თავიდან ასაცილებლად დანერგოს უსაფრთხოების ტექნიკის თანამედროვე საშუალებანი და უზ-

13 იხ. საქართველოს სსრ შრომის კანონთა კოდექსის 129-ე მუხლი.

რუნველყოს ისეთი სანიტარულ-ჰიგიენური პირობები, რომლებიც აღკვეთენ მუშებისა და მოსამსახურეების პროფესიული დაავადებების წარმოშობას¹⁴.

სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების შრომის კანონმდებლობის საფუძვლების მე-7 თავში (საქართველოს სსრ შრომის კანონთა კოდექსის მე-11 თავი) მოცემული ძირითადი ნორმები შრომის დაცვის ინსტიტუტს ეძღვნება.

ამ ნორმების თანახმად, საწარმოო შენობები, ნაგებობანი, მოწყობილობანი, ტექნოლოგიური პროცესები უნდა შეესაბამებოდეს იმ მოთხოვნებს, რომლებიც უზრუნველყოფს შრომის ჯანსაღ და უსაფრთხო პირობებს, საწარმოო შენობებისა და ნაგებობათა დაპროექტების, მშენებლობისა და ექსპლოატაციის დროს უნდა შესრულდეს შრომის დაცვის წესები და ნორმები.

კანონმდებლობა ავალებს ადმინისტრაციას უზრუნველყოს ყველა სამუშაო ადგილის ტექნიკური მოწყობა და შრომის ისეთი პირობების შექმნა, რომლებიც შეესაბამება შრომის დაცვის წესებს (უსაფრთხოების ტექნიკის წესებს, სანიტარულ ნორმებს და სხვა).

ადმინისტრაციას ეკისრება მოაწყოს მუშათა და მოსამსახურეთა ინსტრუქტაჟი უსაფრთხოების ტექნიკის, საწარმოო სანიტარიის, ხანძარსაწინააღმდეგო დაცვისა და შრომის დაცვის სხვა წესების შესახებ, აგრეთვე მუდმივი კონტროლი გაუწიოს იმას, თუ როგორ იცავენ მუშაკები შრომის დაცვის ინსტრუქციის ყველა მოთხოვნას.

კანონმდებლობა ითვალისწინებს აგრეთვე შრომის ინდივიდუალური დაცვის ღონისძიებების განხორციელებას. იმ სამუშაოზე, სადაც შრომის მიწვევა პირობებია, აგრეთვე სადაც მუშაობა წარმოებს განსაკუთრებულ ტემპერატურულ პირობებში, მუშებსა და მოსამსახურეებს უფასოდ ეძლევათ სპეციალური ტანსაცმელი, ფეხსაცმელი და ინდივიდუალური დაცვის სხვა საშუალებები.

მუშები და მოსამსახურეები ვალდებული არიან შეასრულონ შრომის დაცვის ინსტრუქციები, რომლებიც ადგენს სამუშაოთა შესრულების წესებსა და საწარმოო შენობებსა და სამშენებლო მოედნებზე ქცევას.

საქართველოს სსრ შრომის კანონთა კოდექსის 242-ე მუხლის თანახმად, თანამდებობის პირებს, რომლებსაც ბრალი მიუძღვით შრომის კანონმდებლობისა და შრომის დაცვის წესების დარღვევაში, კოლექტიური ხელშეკრულებებითა და შრომის დაცვის შეთანხმებებით გათვალისწინებულ ვალდებულებათა შეუსრულებლობაში ან პროფესიული კავშირების საქმიანობისათვის ხელის შეშლაში, ეკისრებათ დისციპლინური, ადმინისტრაციული ან სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა კანონმდებლობით დადგენილი წესით.

შრომის სამართლის ნორმები განამტკიცებს ეკონომიკურ და იურიდიულ გარანტიებს, რომლებიც უზრუნველყოფს პიროვნების ყოველმხრივ განვითარებას. ეს განპირობებულია იმით, რომ შრომის ნაყოფიერების ზრდა სოციალიზმის დროს თვითმიზანი კი არ არის, არამედ იგი წარმოადგენს მშრომელთა მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებების სულ უფრო სრული დაკმაყოფილების, მათი შემოქმედებითი უნარის გაუფრჩქნის საშუალებას.

შრომის სამართალში არის ისეთი ინსტიტუტებიც, რომლებიც მოწოდებულინი არიან ხელი შეუწყონ შრომის მეცნიერული ორგანიზაციის კომპლექსურ განვითარებას. ძირითადად სამართლებრივ ფორმას, რომლის დახმარებითაც ინერგება შრომის მოწინავე მეთოდები, ღონისძიებანი შრომის კულტურ-

¹⁴ იხ. საქ. სსრ შრომის კანონთა კოდექსის 139-ე მუხლი.

რისა და ესთეტიკის ამალღებისათვის, ყველაზე ხელსაყრელი სანიტარულ-ჰიგიენური პირობების შექმნისათვის და სხვა ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებანი, წარმოადგენს კოლექტიური ხელშეკრულება. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო პროფსაბჭოს 1966 წლის 6 მარტის დადგენილებით, კოლექტიურ ხელშეკრულებას მისი შემადგენელი ნაწილის სახით დაერთვის საამქროებსა და უბნებში შრომის მეცნიერული ორგანიზაციის, გამოგონებების, რაციონალიზატორული წინადადებების და მოწინავე საწარმოო გამოცდილების დანერგვის გეგმები¹⁵. კოლექტიურ ხელშეკრულებაში შეტანის შემდეგ შრომის მეცნიერული ორგანიზაციის განვითარების გეგმებს, ადმინისტრაციისათვის აქვს იურიდიული მოვალეობის ძალა. კოლექტიური ხელშეკრულება მუშა-მოსამსახურეთა მხრივ ამ გეგმების შესრულებისადმი კონტროლის ფორმაც არის.

ხარვეზები შრომის ორგანიზაციაში იწვევს სამუშაო დროის დანაკარგებს, კადრების დენადობას, შრომის დისციპლინის და წარმოების რიტმულობის მოშლას, შრომის ნაყოფიერების დაბალ დონეს და საბოლოო ანგარიშით პროდუქციის წარმოების მოცულობის შემცირებას.

როგორც „სახალხო მეურნეობაში შრომის დისციპლინის შემდგომი ვანმტიკებისა და კადრების დენადობის შემცირების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო პროფსაბჭოს 1979 წლის 13 დეკემბრის დადგენილებაშია აღნიშნული, „თანამედროვე პირობებში, როცა მატულობს წარმოების მასშტაბი, რთულდება სამეურნეო კავშირუროთიერთობა და ჩქარდება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, სულ უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება სამუშაო დროის ყოველ საათს, ყოველ წუთს, შინაგანაწესის განუხრელ დაცვას, წარმოების ყოველ უბანზე სტაბილური კადრების შექმნას. მაგრამ პრაქტიკულად სამეურნეო მართვის ზოგიერთი ორგანო, გაერთიანებათა და საწარმოთა ხელმძღვანელები, ცალკეული პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციები, სახალხო დეპუტატთა საბჭოები არ ითვალისწინებენ ამ მოთხოვნებს და ჯეროვან ყურადღებას არ უთმობენ შრომის დისციპლინის განმტკიცებას, შრომის პირობების გაუმჯობესებას, წარმოებაში მაღალი ორგანიზებულობის, მუშაობის რიტმულობის უზრუნველყოფას¹⁶.

თუ გადავხედავთ ჩვენი რესპუბლიკის მაჩვენებლებს, დავინახავთ, რომ შემცირების ტენდენციის მიუხედავად, მუშაკთა მნიშვნელოვანი ნაწილი მრეწველობაში ყოველწლიურად იცვლის სამუშაოს. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, თუ როგორი დეზორგანიზაცია შეაქვს საწარმოებში დენადობას. როგორც სტატისტიკა მოწმობს, მუშაკები სამსახურიდან მეტწილად საკუთარი სურვილით მიდიან. მაგრამ „საკუთარი სურვილი“ თავისებური შირმაა, რომლის მიღმაც იმალება საწარმოო და შრომის ორგანიზაციის დაბალი დონე, ხელის შრომის მაღალი ხვედრითი წილი, ნაკლები მატერიალური და მორალური სტიმულირება, ერთი სიტყვით, ის მიკროკლიმატი, რომელმაც მიმზიდველი უნდა კახალის შრომა.

რესპუბლიკაში 1979 წელს 1978 წელთან შედარებით მუშათა დენადობის კოეფიციენტი შემცირდა მრეწველობაში — 1,6 პუნქტით, მშენებლობაში 6,9 პუნქტით, ავტოტრანსპორტზე — 1,2 პუნქტით, ხოლო სოფლის მეურნეობაში

¹⁵ СП СССР, 1966, № 5, с. 51.

¹⁶ გაზ. „კომუნისტი“, 1980 წლის 12 იანვარი.

გაიზარდა 0,3 პუნქტით. მიუხედავად ამისა ზოგიერთ ქალაქსა და რაიონში ამ მხრივ ყველაფერი რიგზე არ არის. მაგალითად, ტყვარჩელში მუშათა დენადობის კოეფიციენტი 1979 წელს 1978 წელთან შედარებით 38 პუნქტით გაიზარდა, ქობულეთის რაიონში 6,6 პუნქტით, გურჯაანისა — 16 პუნქტით, მცხეთისა — 13 პუნქტით, გეგეჭკორისა — 12 პუნქტით, ბოლნისისა — 6 პუნქტით, ბორჯომისა — 4 პუნქტით, ქალაქებში: ბათუმში — 3 პუნქტით, ჭიათურაში — 2 პუნქტით, გორში — 3 პუნქტით, სოხუმში — 2 პუნქტით და სხვა¹⁷.

1980 წლის რვა თვის შედეგები მოწმობს, რომ ჯერ კიდევ ბევრია ისეთი საწარმო, სადაც დაბალი ორგანიზებულობის, სუსტი შრომითი და საგეგმო დისციპლინის გამო კოლექტივები ვერ მუშაობენ რიტმულად, ნაწარმის ძირითად ნაწილს უშვებენ მესამე დეკადაში, ვერ ასრულებენ ბევრ შეკვეთას. განსაკუთრებით დამაფიქრებელია ის, რომ წარმოების მოცულობის ზრდის ტემპში რვა თვეში გათვალისწინებულზე 22,2 პუნქტით ნაკლები შეადგინა. ერთ-ერთი მიზეზი, რომელიც აფერხებს წარმოების ზრდას, არის ნაკლოვანებები მის ორგანიზაციაში, რომლებსაც მოჰყვება ხოლმე მანქანებისა და მოწყობილობების მოცდენა. მაგალითად, მოწყობილობის მთელი ცვლის მოცდენის გამო სამუშაო დროის დიდი დანაკარგები იყო საწარმოო გაერთიანებებში — ქუთაისის ავტოქარხანა — 1441 ჩარხცვლა, „ჩარხმშენებელი“ — 523, „ელმავალმშენებელი“ — 328, „ელექტროაპარატი“ — 299 და სხვა¹⁸.

მის გათვალისწინებით, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების პროგრესულ ფორმებს შრომის დისციპლინის განმტკიცებისა და შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო პროფსაბჭოს 1979 წლის 13 დეკემბრის დადგენილებით სამეურნეო ხელმძღვანელებს, პარტიულ და პროფკავშირულ ორგანიზაციებს დაევალებათ განახორციელონ ღონისძიებანი შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების კოლექტიურ ფორმებზე თანამიმდევრულად გადასვლისათვის.

ამ დადგენილების შესაბამისად რესპუბლიკის საწარმოებში უკვე გაიშალა შრომის ორგანიზაციის ბრიგადულ ფორმაზე გადასვლა.

„შრომის ორგანიზაციის ბრიგადული ფორმა უზრუნველყოფს მუშაკთა მაღალ ურთიერთშეცვლას, ამხანაგურ ურთიერთდამარებას, მთელი კოლექტივის მეცადინეობის კონცენტრაციას, ძალების სწრაფ გადაჯგუფებას და რაც მთავარია, იგი მნიშვნელოვნად ამარტივებს, აადვილებს წარმოების მართვას, დამატებითი რეზერვების ძიებას, განტვირთვას სამმართველო აპარატს უფრო დიდი და რთული ამოცანების გადაწყვეტისათვის, ზრდის მის ოპერატიულობას“¹⁹.

ამრიგად, საბჭოთა შრომის სამართლის ნორმები ეკონომიკურ ბერკეტებთან ერთად მნიშვნელოვან როლს ასრულებს შრომის სოციალისტური ორგა-

17 ვ. ნალარეიშვილი, დისციპლინა სტატისტიკის ენით, გაზ. „კომუნისტი“, 1980 წლის 11 მარტი.

18 წარმოებაში წესრიგი გამარჯვების საწინდარია, — გაზ. „კომუნისტი“, 1980 წლის 9 სექტემბერი.

19 მშვიდობის სასიკეთოდ, ხალხის საკეთილდღეო შემოქმედებითი აღმშენებლობითი შრომა, თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის XXVIII პარტიული კონფერენცია, გაზ. „კომუნისტი“, 1980 წლის 5 ნოემბერი.

ნიზაციის განმტკიცებასა და განვითარებაში. სწორედ არ მიგვაჩნია მოსაზრებანი, რომელთა თანახმადაც საჭიროა წახალისების ზომების გაფართოება ან წარმოებაში წესრიგის დარღვევისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერება. ნაკლოვანებანი, რომლებიც ახასიათებს თანამედროვე პირობებში შრომის ორგანიზაციას, აიხსნება არა სამართლის ნორმების არასრულყოფილებით, არამედ იმით, რომ სამეურნეო ხელმძღვანელები ხშირად არ იყენებენ მოქმედ ნორმებს, რაც ამცირებს მათ ეფექტიანობას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს 1979 წლის 13 დეკემბრის დადგენილებაში ხაზგასმულია, რომ გაერთიანებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა, პარტიულმა და პროფკავშირულმა ორგანოებმა უნდა გააძლიერონ საამქროების, უბნებისა და ცვლების უფროსთა, ოსტატთა და ბრიგადირთა პასუხისმგებლობა შრომის დისციპლინის განმტკიცების, შინაგანაწესის და შრომის კანონმდებლობის დაცვის საქმეში. ქვეგანყოფილების ხელმძღვანელთა საქმიანობის შეფასებისას გაითვალისწინონ, რომ შრომის დისციპლინის მდგომარეობისა და განმტკიცებისათვის ისინი ისევე აგებენ პასუხს, როგორც საგეგმო დავალებათა შესრულებისათვის²⁰.

²⁰ გაზ. „კომუნისტი“, 1980 წლის 12 იანვარი.

საბჭოთა საქართველოს კონსტიტუციის განხილვა

პროფ. გრ. პრემოზი,

საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე

საქართველოს სსრ რესპუბლიკას, როგორც საბჭოთა კავშირის სუვერენულ ერთეულს, აქვს თავისი კონსტიტუცია.

საქართველოს სსრ პირველი კონსტიტუცია მიღებულია საბჭოების პირველი ყრილობის მიერ 1922 წლის 2 მარტს.

საბჭოთა საქართველოს პირველმა კონსტიტუციამ განსაზღვრა სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის სისტემა, მათი ფუნქციები და ორგანიზაციული მუშაობის ფორმები. კონსტიტუციაში აისახა საქართველოში პროლეტარიატის დიქტატურის არსებობის ერთი წლის მონაპოვარი და განისაზღვრა ძირითადი ამოცანა — სოციალიზმის აშენება.

კონსტიტუციამ განამტკიცა ლენინური პრინციპები, რაც უკვე დაკანონებული იყო მსოფლიოში პირველი სოციალისტური ტიპის — რუსეთის სფს რესპუბლიკის 1918 წლის კონსტიტუციაში: პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოს არსებობა საბჭოების ფორმის სახით, მუშათა და გლეხთა მტკიცე კავშირი, დემოკრატიული ცენტრალიზმი, ლენინური ეროვნული პოლიტიკის დაცვა, ხელისუფლების მხოლოდ მშრომელთა ხელში გადაცემა მუშათა კლასის უპირატესი როლის შენარჩუნებით, და, აქედან, შეზღუდული, მრავალსაფეხურიანი და არასავსებით თანასწორი არჩევნების პრინციპის შემოღება, რასაც უნდა უზრუნველყო სახელმწიფო მმართველობაში მხოლოდ მშრომელთა ჩაბმის შესაძლებლობა. დაწესდა მშრომელთათვის უფასო განათლების უფლება, შრომა გამოცხადდა ყველა მოქალაქის მოვალეობად პრინციპით: „არამშრომელი დაე, ნუ ჭამს!“ საკონსტიტუციო დებულებად იქცა ანონიერების დაცვა და ა. შ.

საქართველოს სსრ ამ კონსტიტუციის მიერ არ იქნა გაზიარებული მიწის სოციალიზაციის პრინციპი, რაც გულისხმობდა: „მიწის კერძო საკუთრება გაუქმდეს და მთლად მიწის ფონდი გამოცხადდეს საერთო-სახალხო დოვლათად და გადაეცეს მშრომელთ, უსასყიდლოდ, თანაბარი მიწათ-სარგებლობის საფუძველზე“. ცნობილია, რომ რუსეთის სფს რესპუბლიკის 1918 წლის კონსტიტუციაში მიწის სოციალიზაციის ეს დებულება შეტანილ იქნა შემარცხენე ესერების გავლენით მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების II ყრილობაზე დამსწრე გლეხთა დელეგაციის მოთხოვნით, რაც ვათვალისწინებულ იყო გლეხთა ე. წ. 242 განაწესით.

ვ. ი. ლენინი, კომუნისტური პარტია იმთავითვე მოითხოვდნენ მიწის ნაციონალიზაციას, მაგრამ შექმნილი ვითარების გამო აუცილებელი გახდა მიწის სოციალიზაციის პრინციპის გაზიარებაც. როგორც ვ. ი. ლენინი ამბობდა: „ზვენებურად იქნება თუ ესერების პროგრამის მიხედვით, — თავიდათავი ეს როდია. თავიდათავი ისაა, რომ გლეხობა დარწმუნდეს მტკიცედ იმაში, რომ

სოფლად მემამულენი უკვე აღარ არიან...“¹ იქვე ვ. ი. ლენინი აცხადებდა, რომ ცხოვრება საუკეთესო მასწავლებელია, გლეხები თვითონ მიხვდებიან, სად არის სიმართლე, ცხოვრება დაგვანახებს, თუ ვინ არის მართალი.

მემარცხენე ესერებმა მრავალგზით გამოამჟღავნეს თავიანთი კონტრრევოლუციური ბუნება, დაამტკიცეს, რომ ისინი წარმოადგენენ კულაკების და არა გლეხთა პარტიას. შემდეგში გლეხობისათვის გასაგები გახდა მიწის ნაციონალიზაციის უპირატესობა სოციალიზაციასთან შედარებით და ამის შედეგად 1919 წლის 14 თებერვალს ოფიციალურადაც იქნა მიღებული სპეციალური დეკრეტი „მიწის ნაციონალიზაციის შესახებ“.

ეს ჩვენი რესპუბლიკის პირველი კონსტიტუციის შემუშავებისას უკვე განვიღო ეტაპად ითვლებოდა, ამის გამო მასში ჩაიწერა, რომ „საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა, ახორციელებს რა იმ ღონისძიებათ, რომელთა უშუალო მიზანია არსებულ კაპიტალისტურ წესწყობილების მოსპობა, — აუქმებს მიწის კერძო საკუთრებას და აცხადებს მთელ სამიწო ფონდს საქართველოს მშრომელ მოსახლეობის ქონებად“... (მუხ. 3). აქვე შენიშვნაში ჩაიწერა, რომ „სოფლის მშრომელ მოსახლეობას უფლება აქვს აირჩიოს მიწის სარგებლობის ის სახე, რომელსაც თვითონ მოისურვებს; ხელმოკლეს ეძლევა სახელმწიფო დახმარება“.

საქართველოს სსრ პირველი კონსტიტუცია შედგებოდა 23 თავისა და 134 მუხლისაგან. მან სულ 5 წელი იმოქმედა. სოციალისტურ რესპუბლიკათა ურთიერთთანამშრომლობის შედეგებმა — ამიერკავკასიის სფს რესპუბლიკისა და სსრ კავშირის შექმნამ მათში გაერთიანებულ სახელმწიფოებრივ ერთეულების კონსტიტუციების შეცვლა გამოიწვია. ეს შეეხო საქართველოს პირველ კონსტიტუციასაც.

საბჭოთა საქართველო დამოუკიდებელი სოციალისტური რესპუბლიკაა 1921 წლის 25 თებერვლიდან. 1922 წლის 12 მარტიდან იგი (აზერბაიჯანისა და სომხეთის სს რესპუბლიკებთან ერთად) შევიდა ამიერკავკასიის ფედერალურ კავშირში (9 თვე), იმავე წლის 13 დეკემბრიდან ამიერკავკასიის სფს რესპუბლიკაში, ხოლო 30 დეკემბრიდან კი ამიერკავკასიის სფს რესპუბლიკის მეშვეობით გაერთიანდა სსრ კავშირში. 1936 წლის 5 დეკემბრიდან საქართველოს სსრ დამოუკიდებელ ერთეულად შედის სსრ კავშირში.

სახელმწიფოებრიობის განვითარების ეს გზა უდავოდ გავლენას ახდენდა საბჭოთა საქართველოს კონსტიტუციის განვითარებაზეც.

ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის დღესვე მიღებულ იქნა მისი კონსტიტუციაც, რომელშიც აისახა ფედერაციაში შემავალი სამი რესპუბლიკის მიერ ხელშეკრულებით გადაცემული უფლებები, რითაც აღიჭურვა ამიერკავკასიის სფს რესპუბლიკის ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლესი ორგანოები. ეს შეეხებოდა თავდაცვას, საგარეო საქმიანობას, საგარეო ვაჭრობას, რკინიგზის მმართველობას, კავშირგაბმულობას და ა. შ. ამით რესპუბლიკის სუვერენული უფლებებიდან ამიერკავკასიის გადაეცა გარკვეული ნაწილი. ყოველივე ამას კი ფიქსირება ესაჭიროებოდა. ამავე პერიოდს დაემთხვა უმაღლესი ფორმის ფედერაციის ანუ სსრ კავშირის ჩამოყალიბებაც (1922 წ. 30 დეკემბერი).

საკავშირო სახელმწიფოში მაშინ გაერთიანდნენ რუსეთის სფს რესპუბლიკა, უკრაინის სსრ, ბელორუსიის სსრ და ამიერკავკასიის სფს რესპუბლიკა. მათ გაერთიანებას საფუძვლად დაედო „დეკლარაცია სსრ კავშირის შექმნის შესახებ“ და „ხელშეკრულება სსრ კავშირის შექმნის შესახებ“, რომლებიც სსრ კავშირის შექმნის დღეს დაამტკიცა საკავშირო საბჭოების პირველმა ყრილობამ.

სსრ კავშირის შექმნასაც, ისევე როგორც რსფს რესპუბლიკის (1918 წ. 25 იანვარი) და ამიერკავკასიის სფს რესპუბლიკის (1922 წ. 13 დეკემბერი) შექმნას, საფუძვლად დაედო ერების თვითგამორკვევა, მათი ნებაყოფლობისა და თანასწორუფლებიანობის პრინციპი.

ვ. ი. ლენინის სიტყვებით, შეიქმნა „ახალი კავშირი“, „ახალი ფედერაცია“, „ახალი სართული“, რის მიხედვითაც ჩამოყალიბდა საკავშირო სახელმწიფოს ორგანოები. განისაზღვრა მათი ფუნქციები, აგრეთვე მოკავშირე რესპუბლიკების ადგილი საკავშირო სახელმწიფოში. ყოველივე ეს კი აისახა სსრ კავშირის პირველ (1924 წ.) კონსტიტუციაში. ამავე კონსტიტუციით გათვალისწინებული იყო, რომ „მოკავშირე რესპუბლიკები, ამა კონსტიტუციის მიხედვით, შეიტანენ ცვლილებას თავიანთ კონსტიტუციაში“ (მუხ. 5). ამიტომ სახელმწიფოებრივი მშენებლობის ამ ეტაპზე საჭირო გახდა ამიერკავკასიის სფს რესპუბლიკის, როგორც სსრ კავშირში შემავალი მოკავშირე რესპუბლიკისათვის, მეორე კონსტიტუციის მიღება, რომელშიც ზუსტად განისაზღვრებოდა აგრეთვე საქართველოს სს რესპუბლიკის ადგილი არა მარტო ამიერკავკასიის ფედერაციაში, არამედ სსრ კავშირის შემადგენლობაშიც.

ეს ასეც მოხდა. 1926 წლის 29 იანვარს ამიერკავკასიის სფს რესპუბლიკის მესამე მოწვევის ცაკის II სესიამ საბოლოოდ დაამტკიცა ამიერკავკასიის სფს რესპუბლიკის მეორე კონსტიტუცია, რომელიც თავის მხრივ ამიერკავკასიის ფედერაციაში შემავალი რესპუბლიკებისაგან მოითხოვდა, რათა ამ კონსტიტუციისა და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუციის მიხედვით, შეიტანონ ცვლილებანი თავის კონსტიტუციაში (მუხ. 4).

საბჭოთა საქართველოს მეორე კონსტიტუცია დაამტკიცა საქართველოს სსრ საბჭოების IV ყრილობამ 1927 წლის აპრილში. კონსტიტუცია ძალაში შევიდა 4 აპრილს. მოხსენებით კონსტიტუციის პროექტის შესახებ ყრილობაზე გამოვიდა საქართველოს სსრ მაშინდელი იუსტიციის სახალხო კომისარი იაკობ ვარძიელი².

მრავალი ცვლილება, რომლებიც შევიდა ამ კონსტიტუციაში, დაკავშირებული იყო უმთვრესად ამიერკავკასიის სფს რესპუბლიკისა და სსრ კავშირის შექმნასთან.

საქართველოს სსრ შედიოდა „ორსაფეხურიან“ ფედერაციაში, მაგრამ რესპუბლიკის შინაგანი შემადგენლობის შედეგად თვითაც აღმოჩნდა „პატარა ფედერაციად“. ამის გამო საქართველოს სსრ 1927 წლის კონსტიტუციის მე-2 მუხლში ჩაწერილი იყო, რომ „საქართველოს რესპუბლიკა არის მუშებისა და მშრომელი გლეხობის სოციალისტური სახელმწიფო, რომელიც შენდება ეროვნულ საბჭოთა რესპუბლიკების ფედერაციის საფუძველზე“.

სწორედ ამასთან დაკავშირებით თქვა ძველ რევოლუციონერთა პლეადის ერთ-ერთმა ცნობილმა წარმომადგენელმა მიხა ცხაკაიამ ამიერკავკასიის სფსრ შექმნის 10 წლისთავთან დაკავშირებით, რომ საქართველოს სს რესპუბლიკა

² მოხსენების შემოკლებული ტექსტი იხ. გაზ. „კომუნისტი“, 1927 წ., 5 აპრილი.

„ყველაზე პატარა ფედერაცია“³. იაკობ ვარძიელმა კი, რომელმაც საქართველოს სსრ დასახელებულ კონსტიტუციას მიუძღვნა სპეციალური წერილი „საბჭოთა საქართველოს ახალი კონსტიტუცია“, აღნიშნა, რომ „ახალი კონსტიტუცია საქართველოს სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის ფორმას განსაზღვრავს, როგორც ფედერაციას ნაციონალური საბჭოთა რესპუბლიკებისას, რომლებიც ერთიანდებიან პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესების მთლიანობის ნიადაგზე“⁴.

1931 წლიდან შეიცვალა საქართველოში სოციალისტურ სახელმწიფოებრივ ერთეულთა შორის ურთიერთობა,⁵ მასში შემავალი მხოლოდ ავტონომიური ერთეულები აღარ იძლეოდა იმის საფუძველს, რომ საქართველო კვლავ დარჩენილიყო ფედერაციად, ამიტომაც მის მომდევნო კონსტიტუციებში ამის შესახებ სამართლიანად მითითებული აღარ არის.

სსრ კავშირის 1924 წლის, ამიერკავკასიის სფსრ 1926 წლის და საქართველოს სსრ 1927 წლის კონსტიტუციათა მოქმედების პერიოდში ჩვენი ქვეყნის ეკონომიკასა და საზოგადოების კლასობრივ სტრუქტურაში დიდი ცვლილებები მოხდა. საბოლოოდ მოისპო საწარმოო საშუალებათა კერძო საკუთრება, სოფლად გაიმარჯვა აკოლმეურნეო წყობილებამ, კოლპერაციამ ვაჭრობის სფეროში. გაიმარჯვა ლენინურმა ეროვნულმა პოლიტიკამ, დამკვიდრდა შრომის სოციალისტური პრინციპი, ქალაქად და სოფლად ლიკვიდირებულ იქნა ექსპლოატატორი კლასები, ე. ი. აგებულ იქნა კომუნისტური საზოგადოების პირველი ფაზა სოციალიზმი. ბუნებრივია ამ ვითარებაში მაშინ მოქმედი კონსტიტუციები რეალურად ვეღარ ასახავდნენ ქვეყნის ფაქტობრივ მდგომარეობას და ამიტომაც დაიწყო ახალი კონსტიტუციის შემუშავების საკითხი.

საკითხი ამის თაობაზე განიხილა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი (1935 წ. 1 თებერვალი). სსრ კავშირის საბჭოების VII ყრილობამ (1935 წ. 6 თებერვალი), ხოლო შემდეგ სსრ კავშირის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა გამოყო კომისია (1935 წ. 7 თებერვალი) 31 კაცის შემადგენლობით ი. ბ. სტალინის თავმჯდომარეობით.

1936 წლის 1-4 ივნისს გაიმართა კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელზეც მოისმინეს მოხსენება სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის შესახებ, რის შემდეგაც პროექტი განიხილა სსრ კავშირის ცაკის პრეზიდიუმმა, რომლის დადგენილებითაც კონსტიტუციის პროექტი მეორე დღიდანვე გამოქვეყნდა საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის. აგრეთვე განისაზღვრა საკავშირო საბჭოების ყრილობის მოწვევის ვადაც. კონსტიტუციის პროექტი განიხილებოდა ხუთ თვეზე მეტ ხანს. საკონსტიტუციო კომისიას დასჭირდა 1,5 მილიონი შესწორებისა და დამატების შესწავლა, მათი შესაბამისად დაგუფება. არსებითი და არაარსებითი ხასიათის შესწორებათა გამოყოფა და ა. შ.

1936 წლის 25 ნოემბერს გაიხსნა სსრ კავშირის საბჭოების საგანგებო VIII ყრილობა, რომელზეც სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის შესახებ მოხსენება გააკეთა საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარემ ი. ბ. სტალინმა. პროექტის ირგვლივ კამათი გაგრძელდა 1 დეკემბრამდე. ამ დღეს ყრილობამ

³ ВГАОРСС ГССР. ф. 607, д., 3081, л. 548.

⁴ უფრნ. „მომამბე“, 1927, № 7-8, გვ. 106.

⁵ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, 1976 წ., ტ. VII, გვ. 107.

გამოყო სარედაქციო კომისია 220 კაცის შემადგენლობით. სარედაქციო კომისიას დაევალა ყრილობაზე გამოსულ დეპუტატთა წინადადებების და მანამდე უკვე ცნობილი წინადადებების გათვალისწინებით კონსტიტუციის პროექტის საბოლოო ჩასწორება, რისთვისაც მას 3 დღის ვადა მიეცა.

5 დეკემბერს საბჭოების საგანგებო VIII ყრილობამ თავის ბოლო, მე-12 სხდომაზე მოისმინა სარედაქციო კომისიის თავმჯდომარის მოხსენება. სხდომაზე აღინიშნა, რომ პროექტში სულ შევიდა 43 შესწორება, რაც შეეხო 32 მუხლს, 114 მუხლი კი უცვლელი დარჩა. შესწორებათაგან 6-7 არსებითი ხასიათისა იყო. (მუხ. 8, 10, 35, 40, 48, 49, 77).

კონსტიტუციის პროექტი მუხლობრივად ერთხმად დაამტკიცეს, ხოლო 5 დეკემბერი გამოცხადდა კონსტიტუციის დღედ, რაც მომდევნო ოთხი ათეული წლის განმავლობაში ზეიმით აღინიშნებოდა.

ახალ პირობებსა და გარემოებებში მრავალი სიახლე იქნა შემოტანილი სსრ კავშირის 1936 წლის კონსტიტუციით. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ის, რომ:

1. შეიცვალა ხელისუფლების უმაღლეს ორგანოთა სტრუქტურა და ორგანიზაციული მუშაობის ფორმები. სსრ კავშირის საბჭოების ყრილობის, ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და მისი პრეზიდიუმის ნაცვლად, ჩამოყალიბდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო და მისი პრეზიდიუმი, საბჭოების ყრილობის ნაცვლად კი უმაღლესი საბჭოს სასესიო მუშაობა დადგინდა. ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებშიც ხდება ორგანიზაციული მუშაობის ფორმათა ანალოგიური ცვლილება. საბჭოების მუშაობა დეპუტატთა ერთი და იგივე შემადგენლობით გრძელდება კონსტიტუციით წინასწარ დადგენილი რწმუნების ვადებში, რის შემდეგაც წარმოებს საბჭოების გადარჩევნები;

II. შეიცვალა საბჭოთა საარჩევნო სისტემა: შეზღუდული არჩევნების ნაცვლად შემოღებულ იქნა საყოველთაო არჩევნები, მრავალსაფეხურიანი არჩევნების ნაცვლად — პირდაპირი არჩევნები, არასავსებით თანასწორი არჩევნების ნაცვლად — თანასწორი არჩევნები, ხოლო ღია (აშკარა) არჩევნების ნაცვლად დაწესდა ფარული კენჭისყრა;

III. გაფართოვდა მოქალაქეთა ძირითადი უფლებები, დაზუსტდა მათი ძირითადი მოვალეობანი;

IV. პირველად ამ კონსტიტუციით (მუხ. 126) ფიქსირებულ იქნა პარტიის ხელმძღვანელი და წამყვანი როლი სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა მიმართ და ა. შ.

სსრ კავშირის 1936 წლის კონსტიტუციის დამტკიცებით დასრულდა ამიერკავკასიის სფს რესპუბლიკის არსებობა. კონსტიტუციის მე-13 მუხლში, სადაც დასახელებული იყო მოკავშირე რესპუბლიკები, შეტანილ იქნა საქართველოს, აზერბაიჯანის და სომხეთის სს რესპუბლიკებიც. ამიერიდან ეს რესპუბლიკები დამოუკიდებელ მოკავშირე რესპუბლიკებად შევიდნენ სსრ კავშირში.

სსრ კავშირის 1936 წლის კონსტიტუცია აკანონებდა, რომ „თითოეულ მოკავშირე რესპუბლიკას აქვს თავისი კონსტიტუცია, რომელიც ითვალისწინებს რესპუბლიკის თავისებურებებს და აგებულია ისე, რომ სავსებით შეესაბამება სსრ კავშირის კონსტიტუციას“ (მუხ. 16).

საქართველოს სსრ კონსტიტუცია მიღებულ იქნა 1937 წლის 13 თებერვალს. იგი დაამტკიცა საქართველოს სსრ საბჭოების საგანგებო VIII ყრილობამ

(მომხსენებელი ფ. ე. მახარაძე). ამ კონსტიტუციამ ასახა ყველა ის სიახლე, რომლებიც საკავშირო კონსტიტუციისათვის იყო დამახასიათებელი. ეს იყო საბჭოთა საქართველოს სთავალავით მესამე კონსტიტუცია. 1937 წლის ბოლოსათვის კონსტიტუციები მიღებულ იქნა აგრეთვე ავტონომიურ სს რესპუბლიკებშიც.

ამ ეტაპზე მიღებული საბჭოთა კონსტიტუციების მოქმედების ფარგლებში ჩვენს ქვეყანაში განმტკიცდა სოციალიზმის მონაპოვრები, მთლიანად განხორციელდა პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოს ამოცანები, რის გამოც იგი გადაიზარდა საერთო-სახალხო სახელმწიფოდ; დიდი ძვრები მოხდა ქვეყნის ეკონომიკაში, განსაკუთრებით აღსანიშნავია სოციალური ჯგუფების დაახლოების პროცესი; მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობისა და ინტელიგენციის, ჩვენს ქვეყანაში ყველა ერისა და ეროვნების მშრომელთა თანამშრომლობის ბაზაზე შეიქმნა ადამიანთა ახალი ისტორიული ერთობა — საბჭოთა ხალხი; შეიქმნა განვითარებული სოციალისტური საზოგადოება, როგორც საბჭოთა სახელმწიფოებრივი და, მასთანადამე, კონსტიტუციური მშენებლობის ახალი მიჯნა, ახალი ეტაპი.

სკკპ XXVI ყრილობაზე პარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში ლ. ი. ბრეჟნევი აღნიშნა, რომ „XXV ყრილობის შემდეგ პარტიის თეორიული არსენალი მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი განზოგადებებითა და დასკვნებით შეივსო. მათ შორის რაც თეორიის დარგში გაკეთდა, უწინარესად უნდა დავასახელოთ განვითარებული სოციალიზმის კონცეპციის შემუშავება... გამოცდილება უცილობლად მოწმობს, რომ ჩვენი წინსვლა კომუნისტიკურ განვითარებული სოციალისტური საზოგადოების ეტაპის გავლით ხდება, ეს, როგორც უკვე აღინიშნა, აუცილებელი, კანონზომიერი და ისტორიულად ხანგრძლივი პერიოდია კომუნისტური ფორმაციის ჩამოყალიბებაში“.⁶

განვითარების ეს ახალი ეტაპი საჭიროებდა სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის შემუშავებას.

საკონსტიტუციო კომისიას ხანგრძლივი დროის განმავლობაში უხდებოდა მუშაობა. 1977 წლის 23 მაისს საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევი შეაჯამა მუშაობა, კომისიამ გაწეული შრომის შედეგი — კონსტიტუციის პროექტი მოიწონა და წარუდგინა იგი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს საყოველთაო განხილვის მიზნით გამოსაქვეყნებლად.

1977 წლის 24 მაისს გაიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელზეც მოისმინეს ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენება „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუციის პროექტის შესახებ“.

27 მაისს მოეწყო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა, რომელიც მიეძღვნა სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის განხილვას. პრეზიდიუმმა დაადგინა კონსტიტუციის პროექტის გამოქვეყნება საყოველთაო-სახალხო განხილვის მიზნით, ხოლო ოქტომბერში მოწვეულ იყო სსრ კავშირის მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე VII სესია.

სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვის შედეგები საკონსტიტუციო კომისიამ შეაჯამა 1977 წლის 24 სექტემბერს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის 3 ოქტომბრის პლენუმი მიეძ-

⁶ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენება, სკკპ XXVI ყრილობაზე, გაზეთი „კომუნისტი“, 1981 წლის 25 თებერვალი.

ღვნა საყოველთაო-სახალხო განხილვის შედეგად ჩასწორებული კონსტიტუციის პროექტის განხილვას. 4 ოქტომბერს კი გაიხსნა სსრ კავშირის მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე VII სესია, რომელმაც 7 ოქტომბერს დაამტკიცა საბჭოთა კავშირის ახალი კონსტიტუცია. ეს თარიღი გამოცხადებულ იქნა კონსტიტუციის დღედ.

სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის შესაბამისად საჭირო გახდა მოკავშირე რესპუბლიკების კონსტიტუციების შემუშავება.

საქართველოს სსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესიამ 1977 წლის 1 ივლისს მიიღო დადგენილება „საქართველოს სსრ კონსტიტუციის პროექტის მოსამზადებლად კომისიის შექმნის შესახებ“.

საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ე. ა. შევარდნაძე, კომისიის შემადგენლობაში შევიდა 39 კაცი.

საკონსტიტუციო კომისიამ 1978 წლის 22 მარტის სხდომაზე განიხილა კონსტიტუციის პროექტი და ძირითადად მოიწონა იგი. კომისიის გადაწყვეტილებით პროექტი განსახილველად გადაეცა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს. იმავე დღეს გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა, რომელმაც ძირითადად მოიწონა კომისიის მიერ წარმოდგენილი საქართველოს სსრ კონსტიტუციის პროექტი და მიიღო დადგენილება მისი რესპუბლიკაში საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის გამოტანის თაობაზე.

1978 წლის 24 მარტიდან საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) პროექტს თითქმის სამი კვირის განმავლობაში განიხილავდნენ პრესაში და შრომითს კოლექტივებში.

1978 წლის 14 აპრილს გაიმართა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელიც მიეძღვნა საქართველოს კონსტიტუციის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვის შედეგებს. პლენუმის დადგენილებაში ჩაწერილია, რომ „ძირითადად მოწონებულ იქნეს კომისიის მიერ წარმოდგენილი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) პროექტი იმ დამატებებით, დაზუსტებებითა და შესწორებებითურთ, რომლებიც შეტანილია საყოველთაო-სახალხო განხილვის შედეგების მიხედვით. შეტანილ იქნეს კონსტიტუციის პროექტი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე მერვე სესიის განსახილველად“.

იმავე დღეს გაიხსნა საქართველოს სსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე VIII სესია, რომლის დღის წესრიგში იყო საკითხი „საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) პროექტის შესახებ“.

სესიაზე მოხსენებით გამოვიდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საქართველოს სსრ კონსტიტუციის პროექტის მოსამზადებელი კომისიის თავმჯდომარე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, დეპუტატი ე. ა. შევარდნაძე.

იმისათვის, რომ სესიაზე დეპუტატთა მიერ გამოთქმული წინადადებანი და სურვილები შეჯამებულიყო, უმაღლესმა საბჭომ გამოყო საქართველოს სსრ რესპუბლიკის კონსტიტუციის პროექტის საბოლოო ტექსტის მოსამზადებელი სარედაქციო კომისია 79 კაცის შემადგენლობით.

საქართველოს სსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე VIII სესიაზე 14 და 15 აპრილს 28 დეპუტატმა გამოთქვა თავისი აზრი პროექტის შესახებ.

1978 წლის 15 აპრილს საქართველოს სსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე VIII სესიამ ერთხმად დაამტკიცა კონსტიტუციის პროექტი.

სესიამ ამ დღეს დაამტკიცა „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეკლარაცია საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) მიღებისა და გამოცხადების შესახებ“, აგრეთვე „საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) სამოქმედოდ შემოღების წესის შესახებ“.

როგორც ვხედავთ, საბჭოთა სახელმწიფოში ყოველი ახალი კონსტიტუციის მიღება ახალ, დიდ მოვლენებთან, სახელმწიფოს განვითარების ახალ ეტაბთან არის დაკავშირებული.

ამიტომ სკკპ XXVI ყრილობაზე ლ. ი. ბრეჟნევიმ თქვა, რომ „სსრ კავშირის კომსტიტუციის, შემდეგ კი მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების კონსტიტუციების მიღებით დაიწყო ახალი ეტაპი სახალხო დემუტატთა საბჭოების მუშაობაში“.

საბჭოთა საქართველოს საიუბილეო მე-60 წელი დაემთხვა რესპუბლიკის მოქმედი კონსტიტუციის, განვითარებული სოციალიზმის ქვეყნის ძირითადი კანონის მიღების მესამე წლისთავს.

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ განვლილი სამი წლის განმავლობაში არც ერთი შესწორება არ შეგვიტანია. თუ საქართველოს სსრ წინა კონსტიტუციის დამტკიცების შემდეგ საქართველოს პირველი მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველივე სესიიდან დავიწყეთ ცვლილებათა შეტანა, ხოლო მომდევნო სამი (1937-1940) წლის მანძილზე თითქმის ყოველ სესიაზე გვიხდებოდა ასეთი ცვლილებების შეტანა⁷, ამჟამად დროის იმავე მონაკვეთში არც ერთ სესიაზე არ დასმულა საქართველოს სსრ კონსტიტუციაში ცვლილებათა შეტანის საკითხი, რაც განაპირობა სსრ კავშირის მოქმედი კონსტიტუციის სტაბილურობა ხასიათმა. ეს ცალკე კვლევის საკითხია, ამიტომ მას დაწვრილებით აქ არ შევეხებით.

ჩვენი მოვალეობაა დავიცვათ კონსტიტუციური ნორმები, საჭიროა განვამტკიცოთ საბჭოთა სახელმწიფოს და საზოგადოებრივი ცხოვრების სამართლებრივი საფუძვლები.

⁷ დაწვრილებით იხ. გ. ერემოვი, საბჭოთა საქართველოს კონსტიტუციის განვითარების ეტაპები, 1960 წ. გვ. 359-365.

საქართველოს კომპარგია — რუსულნიის საგანგებო კომისიის შექმნის ორგანიზატორი

3. პანიძე,
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი

1921 წლის 25 თებერვალს თბილისში აფრიალდა საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების მაუწყებელი წითელი დროშა. დამთავრდა საქართველოში მენშევიკების უზადრუკი ბატონობისა და უცხოელი ოკუპანტების ოვითნებობის სამწლიანი პერიოდი. ქართველი ხალხის წინაშე გადაიშალა თავისუფალი შემოქმედებითი შრომისა და შინაარსიანი ცხოვრების ნათელი პერსპექტივები.

საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისა და ცხოვრების ნორმალური რიტმის დასამკვიდრებლად საჭირო იყო ძველი სახელმწიფო აპარატის დამსხვრევა. მმართველობის სწორი ორგანიზაცია, მკაცრი პროლეტარული დისციპლინის უზრუნველყოფა, ახლად შექმნილი საბჭოთა რესპუბლიკის ეკონომიკის მშენებლობა.

დამხობილი ხელისუფლების ყოფილი ჩინოვნიკები და რეაქციულად განწყობილი ოფიცრობის ნაშთები ცდილობდნენ ძირი გამოეთხარათ საბჭოთა ხელისუფლებისათვის საბოტაჟის, შეთქმულებების და ამბოხებათა მეშვეობით. დამარცხებული ბურჟუაზია და მემამულეები, მათი ინტერესების გამომხატველი პარტიები ვერ ურიგდებოდნენ ძალაუფლების დაკარგვას, ზოლო ინგლისელი, ამერიკელი, ფრანგი, გერმანელი და თურქი იმპერიალისტები თავიანთ დამარცხებას საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში, იმას, რომ ბოლო მოეღო ამიერკავკასიაში მათს ბატონობას. ქართველი კონტრრევოლუციური ემიგრაცია ოცნებობდა მსოფლიო იმპერიალიზმის დახმარებით აღედგინა თავისი დაკარგული პოზიციები.

ყოველივე ამან საქართველოს კომპარტიის წინაშე დააყენა მრავალი რთული ამოცანა. რომელთა გადაჭრა ხდებოდა ძველი, ბურჟუაზიული მმართველობის ორგანოების მსხვრევის და ახალი, სოციალისტური სახელმწიფო აპარატის მშენებლობის კვალბაზე. იმ დროს ეს იყო ეველაზე მთავარი, რადგან როგორც ფ. ენგელსი ანბობდა: „თუ მუშათა კლასს არ სურს თავისი ახლად მოპოვებული ბატონობა ხელახლა დაკარგოს, მან... უნდა მოსპოს მთელი ძველი, დღემდე მის წინააღმდეგ მიმართული, ჩაგვრის მანქანა“.1 ამავე საკითხზე კ. მარქსი წერდა, რომ „მუშათა კლასს არ შეუძლია მზამზარეულ სახელმწიფოებრივ მანქანას უბრალოდ დაეპატრონოს და იგი თავისი საკუთარი მიზნებისათვის გამოიყენოს“.2

ოქტომბრის რევოლუციის დიდმა ბელადმა ვლადიმერ ილიას ძე ლენინმა ქართველ კომუნისტებს ამოცანად დაუხაზა საქართველოს სახელმწიფოებრიობის შექმნისა და განმტკიცების, მისი უშიშროების უზრუნველყოფის ისტორიული ამოცანა. პროლეტარული რევოლუციის გამარჯვების შემდეგ, წერდა ვ. ი. ლენინი, პირველ ადგილს იჭერს „მთავარი და ძირითადი ამოცანა, ბურჟუაზიის წინააღმდეგობის დაძლევა, ექსპლოატატორებზე გამარჯვება, მათი შეთქმულების დათრგუნვა“.3

ცხოვრების მიერ ნაკარანხევი ამ აუცილებლობით ხელმძღვანელობდა საქართველოს კომპარტია რესპუბლიკის სახელმწიფოებრიობისა და საგანგებო კომისიის შექმნის საქმეში.


საქართველოს რევკომმა რკპ კავკასიის ბიუროსა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის უშუალო ხელმძღვანელობით ენერგიულად დაიწყო ამ ისტორიული საქმის გაღწევა.

საბჭოთა საქართველოს მმართველობის სისტემაში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების პირველხვე დღეებში, სოციალისტური რუსეთის გამოცდილების საფუძველზე შეიქმნა საგანგებო კომისია, რომელიც თავისი ბუნებით პრინციპულად განსხვავდებოდა კაცობრიობის ის-

1 კ. მარქსი, ფ. ენგელსი. რჩეული ნაწერები, ტ. 1; თბ., 1963, გვ. 552.

2. იქვე, გვ. 595.

3. ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 29, გვ. 488.



ტორიაში მანამდე არსებული მსგავსი ორგანოებისაგან. საგანგებო კომისია პირველად გამო-
ესარჩლა მშრომელ ხალხს მისი სამართლიანი საქმის დაცვისათვის ბრძოლაში, დაეხმარა დაძვ-
ლია ექსპლუატატორთა და რეაქციონერთა გააფთრებული წინააღმდეგობა.

საქართველოს კომპარტია ძველი სახელმწიფო მანქანის მსხვერვისა და ახლის მშენებლო-
ბის საქმეში ფართოდ იყენებდა სოციალისტური რუსეთის მდიდარ გამოცდილებას, ვ. ი. ლენ-
ინის საღირებულო მითითებებს. ვ. ი. ლენინი ამასთან აფრთხილებდა ქართველ ბოლშევიკებს:
„ბრძალე კი არ უნდა გადადიოთ ჩვენი ტაქტიკა, არამედ დაშოუკიდებლად უნდა გაიზაროთ
1917-1921 წლების გამოცდილების არა ანბან-სიტყვა, არამედ სული, აზრი, გაკვეთილები“.⁴

საბჭოთა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების შექმნის დროს გამოცდილი კადრების
აშკარა ნიშნობის გამო ძველი ბიუროკრატიული აპარატის მუშაკთა გარკვეულმა ნაწილმა საბ-
ჭოთა საწარმოებსა და დაწესებულებებში დაიკავა პასუხსაგები თანამდებობები და უსულგუ-
ლოდ ეიდებოდა მშრომელი მასების მოხოვნნილებებს, რაც მოსახლეობაში უნდობლობის
და გულგატეხილობის ატმოსფეროს ქმნიდა. მტრულად განწყობილი მუშაკები აშკარად თუ
ფართულად, სიტყვით თუ საქმით აგიტაციას ეწეოდნენ დამხობილი ხელისუფლების სასარგებ-
ლოდ და მზად იყვნენ დარაზმულიყვნენ მენშევიკური და სხვა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური
პარტიების ირგვლივ პროლეტარიატის დიქტატურის წინააღმდეგ საბრძოლველად. გამოირიცხუ-
ლი არ იყო, რომ საბჭოთა საქართველოს შინაგანი სიძნელეებით ესარგებლათ სამოქალაქო
ომისა და ინტერვენციის პერიოდში დამარცხებულ იმპერიალისტურ სახელმწიფოებს და ახალი
ავანტიურა წამოეწყათ. საამისო სიტუაციის მომწიფებას ხელს უწყობდა მენშევიკური ემიგ-
რაცია. მეორე ინტერნაციონალის ლიდერები და დასავლეთის იმპერიალისტები ყოველმხრივ
თანაუგრძნობდნენ ქართველ მენშევიკებს, რადგან საქართველოში დარჩენილი მენშევიკური თუ
სხვა პოლიტიკური პარტიები ისეთ სერიოზულ ძალად მიაჩნდათ, რომლებსაც ადრე თუ გვიან
შეედლოთ საბჭოთა ხელისუფლების დამხობა.

მდგომარეობას ართულებდა საქართველოს უშუალო მეზობლობა კაპიტალისტურ საქუ-
როსთან. ამიტომ სავსებით დროული იყო საქართველოს სსრ რეკომის ბრძანება, რომელიც
1921 წლის 26 თებერვლის გამოქვეყნდა. ბრძანებაში ნათქვამი იყო, „1. კონტრრევოლუციას-
თან, სპეკულაციასთან და საბოტაჟთან საბრძოლველად, როგორც ქ. თბილისში, აგრეთვე მთელ
საბჭოთა საქართველოს ტერიტორიაზე, საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის
რევოლუციური კომიტეტი ა. წ. თებერვლის 25-ის დადგენილების თანახმად დააარსებს საქა-
რთველოს საგანგებო-საგამომძიებლო კომისიას კონტრრევოლუციასთან, სპეკულაციასთან, სა-
ბოტაჟთან და თანამდებობის პირთა ბოროტმოქმედებასთან საბრძოლველად... 3. საქართველოს
სსრ რეკომი უცხადებს ქ. თბილისის მცხოვრებთ და აგრეთვე მთელი საბჭოთა საქართველოს
მოქალაქეთ, რომ ყოველგვარი კონტრრევოლუციური მოქმედების, საბოტაჟის და სპეკულა-
ციის წინააღმდეგ წარმოებული იქნება დაუნდობელი ბრძოლა“.⁵

საქართველოს რეკომმა საბჭოთა ხელისუფლების მტრების წინააღმდეგ გამიზნულ ღონის-
ძიებასთან ერთად ყოველგვარი გაუგებრობისა და უდანაშაულო პირთა მუუდროების დარღვე-
ვის თავიდან აცილების მიზნით იმავე ბრძანებაში გაითვალისწინა შემდეგი: „ძირშივე ჩაზო-
ბილი იქნება ყოველგვარი თვითნებური გაჩხრეკა ან დატუსაღება, რომელსაც ადგილი ექნება
ზემოაღნიშნული სათანადო დოკუმენტის (განსაკუთრებული ორდერის — ვ. ბ.) გარეშე, და
დამნაშავე პირნი დაისჯებიან რევოლუციური დროის კანონების მიხედვით“.⁶

ასე ჩაეყარა საფუძველი კონტრრევოლუციასთან, საბოტაჟთან, სპეკულაციასთან და სხვა
ბოროტმოქმედებასთან მებრძოლ საგანგებო ორგანოს — სრულიად საქართველოს „ჩეკას“.

საქართველოს საგანგებო კომისიის შექმნის შემდეგ ახლად შექმნილ საბჭოთა რესპუბლი-
კის რევოლუციის მტრებთან ბრძოლის კიდევ ერთი მებრძოლი ორგანო შეიქმნა. თებერვალ-
მარტში მუშებმა და გლეხებმა კოლხისტური პარტიის უშუალო ხელმძღვანელობით შექმნეს
რევოლუციის მონაპოვართა დამცველი შეიარაღებული ძალა — მუშურ-გლეხური მილიცია.

„საქართველოს სსრ მთელი მილიცია. — მითითებულია საქართველოს სს რესპუბლიკაში
მუშათა და გლეხთა მილიციის მმართველობის მოწყობის ინსტრუქციაში. — შედგება მებრძო-
ლი ერთეულებისაგან, რომელნიც საჭიროების დროს შეიძლება შეგროვებულ იქნან რესპუბ-

⁴ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 32, გვ. 399.
⁵ სახელმწიფო ცენტრალური არქივი (თბილისი) ფ. 281, აღწ. 1; საქ. 12 ფ. 1.
⁶ იქვე

ლიკის ამა თუ იმ ნაწილში და გამოყენებული გადაჯგუფების შემწეობით თავდაცვის გასაძლიერებლად ან მძარცველი ბრბოების ასალაგმავად და სხვ.“

საქართველოს საგანგებო კომისიისა და მილიციის ერთობლივი მუშაობის გაადვილებისა და ამ უკანასკნელის რევოლუციის მტრებთან ბრძოლაში აქტიურად გამოყენებისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმას, რომ საქართველოს სსრ მთავარი მილიციის უფროსი იმავე დროს საქართველოს საგანგებო კომისიის კოლეგიის წევრად ითვლებოდა.

საქართველოს საგანგებო კომისიის ჩამოყალიბების პირველმა დღეებმა გვიჩვენა, რომ მისი ბრძოლისუნარიანობის სრულყოფისათვის საჭირო იყო პროფესიული, გამოცდილი ჩეკისტების ხელი.

საქართველოს კომპარტიისა და მთავრობის უშუალო ხელმძღვანელობით საქართველოს საგანგებო კომისიის ცენტრალური აპარატი დაკომპლექტდა გამოცდილი მუშაკებით, მუშაობა გაიშალა საოლქო, საგუბერნიო, სამაზრო და სარაიონო „ჩეკას“ ორგანოების შექმნისათვისაც. ყველაფერი კეთდებოდა საგანგებო კომისიის ორგანოების საიმედო კადრებით შევსებისა და მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით უზრუნველსაყოფად.

პარტიულმა ორგანოებმა დაიწყეს რჩეული კომუნისტების გაწვევა საქართველოს საგანგებო კომისიის ორგანოებში სამუშაოდ. ეს მეტად დროული და საჭირო ღონისძიება შემდეგში ჩეკისტურა ორგანოების კადრებით უზრუნველყოფის ტრადიციად იქცა. 1922 წლის იანვრიდან დაწესდა პარტიის ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენლის შეყვანა საქართველოს საგანგებო კომისიის კოლეგიის შემადგენლობაში, რაც მეტყველებდა საგანგებო კომისიის ორგანოებისადმი ყოველდღიურ პარტიულ დახმარებასა და კონტროლზე. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში არ გამართულა პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროსა და პრეზიდიუმის თითქმის არც ერთი სხდომა, პლენუმი თუ პარტაქტივის კრება, რომელზეც მსჯელობა არ ყოფილიყო საგანგებო კომისიის საქმიანობის საკითხებზე.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ზრუნვას ჩეკისტური ორგანოების სიწმინდისა და რკინისებური დისციპლინის განმტკიცებისათვის უქმად არ ჩაუვლია. მან მოამზადა ეს ორგანო სოციალიზმის მტრების წინააღმდეგ ბრძოლისათვის, რომელიც ამ საქმეს, მიუხედავად მასში შეპარული ზოგი ავანტურისტული ელემენტის ანტიპარტიული და ანტისხელმწიფოებრივი ქმედობისა, წარმატებით ართმევდა თავს.

საქართველოს ჩეკისტებმა არაერთი ბრწყინვალე ფურცელი ჩაწერეს საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისა და სოციალისტური რევოლუციის მონაპოვართა დაცვისათვის ბრძოლის ისტორიაში. ისინი უღმობელ ბრძოლას ეწეოდნენ როგორც პოლიტიკური კონტრრევოლუციის, ისე ეკონომიკური საბოტაჟის უვნებელყოფისათვის, ყოველგვარი ბანდიტიზმისა და შეიარაღებული გამოსვლების წინააღმდეგ. საქართველოს ჩეკისტები ძირშივე სპობდნენ ყოველგვარ ჯაშუშობას, წარმატებით ართმევდნენ თავს რკინიგზებისა და წყლის ტრანსპორტის უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოს საზღვრების საიმედოდ დაცვის საქმეს.

საქართველოს საგანგებო კომისიამ, რომელსაც მოღვაწეობის დაწყება მძიმე საშინაო და რთული საერთაშორისო ვითარების პირობებში მოუხდა, მშრომელი ხალხის მხარდაჭერით და კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით არაერთი გამანადგურებელი დარტყმა აგემა იმპერიალისტური ქვეყნების დაწვერვასა და შინაგან კონტრრევოლუციურ გამოხდომებს.

სახელმწიფო უშიშროების ორგანოები დღესაც დაუღალავად აგრძელებენ საბჭოთა ხელისუფლებისა და მშრომელი ხალხის ყოველგვარი მტრებისა და ძირგამომთხრელი მუშაობის წინააღმდეგ მიზანსწრაფული ბრძოლის სასიკაძლო ტრადიციებს.



საქართველოს სასამართლოების სამოცი წელი

დ. ცინცაძე,

იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი.

სამოცი წლის წინათ, საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების პირველი დღეებიდანვე, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით საქართველოში განხორციელდა ძირითადი გარდაქმნები, საფუძველი ჩაეყარა სოციალისტურ სახელმწიფოებრიობას. საქართველოს რევკომმა დაუყოვნებლივ დაიწყო ძველი სახელმწიფო აპარატის მსხვრევა და ახალი ხელისუფლების გამტკიცება.

ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკისთვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა უველა დარგში, მათ შორის სასამართლოების მშენებლობაშიც, საბჭოთა რუსეთის მდიდარი გამოცდილების გათვალისწინებას.

1921 წლის 28 მარტს საქართველოს რევკომმა მიიღო № 8 დეკრეტი სასამართლოს შესახებ, რომელმაც საკანონმდებლო წესით გააუქმა ძველი მენშევიკური სასამართლო, იუსტიციის სხვა ორგანოები და შექმნა ახალი, სოციალისტური სასამართლო ორგანოების სისტემა. დეკრეტში ნათქვამი იყო: „საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის რევოლუციური კომიტეტი, შეუდგა რა რესპუბლიკის სასამართლოს ნაწილების მოწესრიგების საქმეს საბჭოთა პრინციპების საფუძველზე, და იღებს რა მხედველობაში, რომ უოფილი მთავრობის დროს არსებული სასამართლოს დაწესებულებანი, როგორც კლასობრივ პრინციპებზე აგებულნი, არ შეესაბამებთან ფართო მშრომელი მასის მოთხოვნილებებს და ვერ უზრუნველყოფენ მართლმსაჯულების სისწორით განხორციელებას, საჭიროდ სცნო გაუქმებულ იქნეს შემდეგი დაწესებულებანი: 1. სენატი უველა მისი განუოფილებით; 2. სასამართლო პალატა დეპარტამენტებით, საპროკურორო ნაწილით და გამომძიებელთა თანამდებობანი უდიდეს და საგანგებო საქმეთა; 3. სამხედრო სასამართლო, მასთან არსებული საპროკურორო და საგამომძიებლო ნაწილებით; 4. გაუქმებულ იქნეს უოფილ იუსტიციის სამინისტროსთან არსებული კანონთა გადამსინჯავი კომისია; 5. გაუქმებულ იქნეს სასამართლო პალატასთან არსებული ძველ დარჩენილ საქმეთა საგამომძიებლო კომისია“.

საქართველოს რევკომმა ამასთან ერთად მიიღო მთელი რიგი ახალი უმნიშვნელოვანესი საკანონმდებლო აქტები, რომლებიც აწესრიგებდა საზოგადოებრივ ურთიერთობებს.

1921 წლის 30 ივლისს მიღებულ იქნა დებულება საქართველოს სსრ სახალხო სასამართლოს შესახებ.¹ 1921 წლის 3 აპრილს საქართველოს რევკომმა დაამტკიცა „დებულება რევოლუციური ტრიბუნალების შესახებ“.² გაიშალა ნაყოფიერი სამართალწმომკმედებითი საქმიანობა. შემუშავდა და ძალაში შევიდა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსი (1922 წ.) სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი (1923 წ.) სამოქალაქო სამართლის კოდექსი (1923 წ.) მიწისა და სატუეო (1924 წ.); სამოქალაქო სამართლის საპროცესო (1924), შრომაგასწორების (1927 წ.), სამთო (1928 წ.), საქორწინო, საოჯახო და სამეურნეო კანონთა (1930) კოდექსები.

დაარსების დღიდანვე საბჭოთა საქართველოს სასამართლოები უღმობლად ებრძოდნენ ხალხის მტრებს, სამშობლოს მოღალატეებს, ჯაშუშებს, მავნებლებს და ანტისაბჭოურ კონტრრევოლუციურ ელემენტებს. იმ პირებს, ვინც ხელყოფდა სახელმწიფო და საზოგადოებრივ საქუთრებას, მოქალაქეთა უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს, სხვა დამნაშავეებს.

რესპუბლიკის სასამართლო ორგანოები, რომლებიც გამარჯვებული პროლეტარიატის კლასობრივ ინტერესებს იცავდნენ ემსახურებოდნენ სოციალიზმის აღმშენებლობის დად საქმეს, აქტიურ როლს ასრულებდნენ ახალი სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი წყობილების დამკვიდრებასა და განმტკიცებაში, კლასობრივ მოწინააღმდეგეებთან ბრძოლაში უო-

¹ ეურნალი „მოამბე“, 1921 წ. № 1.

² ეურნალი „მოამბე“ 1921 წ. № 6.

ველთვის წარმოადგენდნენ მუშათა კლასის საიმედო იარაღს. რესპუბლიკის მართლმსაჯულების ორგანოებმა დიდი მუშაობა გასწიეს ქართველი ხალხის დაუძინებელი მტრების— მენშევიკების და სხვა არამშაღების განადგურებაში, რითაც შეასრულეს თავიანთი წმინდათაწმინდა მოვალეობა სამშობლოსა და მშრომელი ხალხის წინაშე: სასამართლო ორგანოები მკაცრად სჯიდნენ იმთ, ვინც ხელს უშლიდა ეროვნული სახელმწიფოებრიობის შექმნას და სახალხო მეურნეობის აღდგენას საქართველოში, სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის განხორციელების კურსს.

ახალი სასამართლო ორგანოები არა მარტო სჯიდნენ დამნაშავეებს, არამედ აქტიურ ზემოქმედებას ახდენდნენ მათ ცნობიერებაზე და აყენებდნენ პატიოსანი შრომითი ცხოვრების გზაზე, ხელს უწყობდნენ მათ გამოსწორებას და ხელახლა აღზრდას.

საქართველოში საბჭოთა სახელმწიფოებრიობის განვითარების ყველა ეტაპზე სასამართლო ორგანოები უდიდეს როლს ასრულებდნენ რთულ საზოგადოებრივ ურთიერთობათა მოწესრიგების, სოციალისტური საზოგადოების ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი განვითარების, სახელმწიფოსა და საზოგადოების შემდგომ განმტკიცებაში.

ამჟამად განვითარებულ სოციალისტურ საზოგადოებაში მართლმსაჯულებას მხოლოდ სასამართლო ორგანოები ახორციელებენ. რესპუბლიკის სასამართლო ორგანოების ძირითად მიზანს, განვლილი სამოცი წლის მანძილზე, წარმოადგენდა და წარმოადგენს საქმეზე ჭეშმარიტების დადგენა.

სასამართლო წარმოების დროს ობიექტური ჭეშმარიტების დადგენა ნიშნავს მომკვლევ პირის, გამოძიებლის, პროკურორის და მოსამართლის დასკვნების სრულ შესაბამისობას ობიექტურ სინამდვილესთან. სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართალ-წარმოების საფუძვლების 48-ე მუხლის ძალით სასამართლო მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი არ შეიძლება ემყარებოდეს ვარაუდს. განაჩენი და გადაწყვეტილება უნდა იყოს კანონიერი და დასაბუთებული.

სასამართლო მოვალეა განხორციელოს კანონით გათვალისწინებული ყველა ღონისძიება საქმის გარემოებათა ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოკვლევისათვის, გამოავლინოს დანაშაულის როგორც მამხილებელი, ისე გამამართლებელი, აგრეთვე მისი ბრალის დამამძიმებელი და შემამსუბუქებელი გარემოებანი.

სისხლის სამართალწარმოების საფუძვლების მე-17 მუხლისა და საქართველოს სსრ სსსკ 68-ე მუხლის თანახმად, სასამართლო ხელმძღვანელობს კანონით და სოციალისტური მართლშეგნებით. დამამტკიცებელ საბუთებს შეაფასებს თავისი შინაგანი რწმენით, რაც ემყარება საქმის ყველა გარემოების ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას.

მართლმსაჯულების განხორციელების დროს მოსამართლეთა რწმენის ჩამოყალიბება ძირითადად ეფუძვნება დამამტკიცებელი საბუთების უშუალო გამოკვლევას, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს საქმეზე ჭეშმარიტების დადგენისათვის.

სამოცი წლის მანძილზე, რესპუბლიკის სასამართლო ორგანოები მშრომელებს განუმტკიცებდნენ იმის დრმა რწმენას, რომ დანაშაული ყოველთვის მხილებული იქნება, ხოლო დამნაშავე აუცილებლად დასჯილი. ამ სულისკვეთებას უნერგავენ სასამართლოები რესპუბლიკის მოსახლეობას, როცა ისინი მკაცრად სჯიან სახელმწიფო დანაშაულის ჩამდენ პირებს, სოციალისტური საკუთრების დამტაცებლებს, მეჭრთამეებს, ხულიგნებს, სპეკულანტებს და სხვა ბოროტკმკმედებს.

საბჭოთა მართლმსაჯულება მკაცრი, დაუნდობელი, უკომპრომისო და უღმობელია სახელმწიფო დამნაშავეების, მკვლელების, უჩაღების და სხვა საშიში დამნაშავეების მიმართ.

საქართველოს სსრ სასამართლოები თავისი პრაქტიკული საქმიანობით მილიონობით ადამიანებს ზრდიან საბჭოთა კონცენიხსადმი პატივისცემის სულისკვეთებით. სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სასამართლო წყობილების კანონმდებლობის საფუძვლების (1958 წ.) მესამე მუხლი ამომწურავად განსაზღვრავს სასამართლოს ამოცანებს საბჭოთა სახელმწიფოს განვითარების თანამედროვე ეტაპზე.

სასამართლო საქმიანობა მართლმსაჯულების განხორციელებისას მიზნად ისახავს სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის ყოველმხრივ განმტკიცებას, დანაშაულთა და სხვა სამართალდარღვევათა თავიდან აცილებას.

საქართველოს მშრომელთა უდიდესი უმრავლესობა აქტიურად არის ჩაბმული კომუნისმის მშენებლობის დიად ფერხულში. თავდადებული და ენერგიული შრომით წარმატებით ახორციელებს მეთერთმეტე ხუთწლიდის პირველი წლის დავალებებს, უმწიკვლოდ და კეთილსინ-

დისიერად ასრულებს საბჭოთა კანონებს, სოციალისტური საერთო ცხოვრების წესებს და კომუნისმის მშენებელთა მოჩაღური კოდექსის პრინციპებს.

მაგრამ რესპუბლიკაში ჭერ კიდეც არიან ადამიანები, რომლებიც გაურბიან საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას, უხეშად არღვევენ შრომის დისციპლინას და მოქმედ კანონებს, სჩადიან ბოროტმოქმედებას, მათ შორის საშიშ დანაშაულოებებს. ასეთ პირთა წინააღმდეგ იყო და არის მიმართული საბჭოთა მართლმსაჯულების ბასრი მახვილი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი ბოლო წლებში განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს საბჭოთა სოციალისტური კანონიერებისა და მართლმსაჯულების განმტკიცებას, მოქალაქეთა კონსტიტუციით გარანტირებული უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას, იგი ამოცანად ხაზავს აღმოფხვრას მართლწესრიგის დარღვევები, რისთვისაც კარდინალურ ღონისძიებებს მიმართავს დამნაშავეობის ამოსაძიკვავად, მოითხოვს რესპუბლიკის სასამართლო ორგანოებისაგან მართლმსაჯულება განხორციელონ სსრ კავშირის ძირითადი კანონის — სსრ კავშირის კონსტიტუციის პრინციპების შესაბამისად.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სხდომების, პლენუმების, თათბირების, რესპუბლიკური პარტიული აქტივის კრებების სისტემატური მსჯელობის საგანია კანონიერების და მართლწესრიგის განმტკიცების, პროკურატურის, სასამართლო, მილიციის, იუსტიციის ორგანოების საქმიანობის გაუმჯობესების საკითხები.

სკკ ცენტრალური კომიტეტის 1979 წლის 2 აგვისტოს ცნობილ დადგენილებაში „მართლწესრიგის დაცვისათვის მუშაობის გაუმჯობესებისა და სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ“ საგანგებოდ არის ნათქვამი, რომ უნდა გაუმჯობესდეს პროკურატურის, შინაგან საქმეთა, იუსტიციისა და სასამართლო ორგანოების საქმიანობა, რომლებიც მოწოდებულიან არიან იღვანენ საბჭოთა კანონიერების, საზოგადოებრიობის ინტერესების, საბჭოთა მოქალაქეების უფლებათა სადარაჯოზე, საქირთა სამართალდამცველმა ორგანოებმა უკომპრომისო და გადამწუვეტი ბრძოლა გააჩაღონ დამნაშავეობის წინააღმდეგ, განვითარონ და განამტკიცონ კავშირი შრომით კოლექტივებთან და საზოგადოებრიობასთან, როგორც სკკ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრენევმა აღნიშნა, პარტია ამ ორგანოებისაგან მოეღის „კიდეც უფრო მეტ ინიციატივას, პრინციპულობას და შეურიგებლობას საბჭოთა მართლწესრიგის უკვეღგვარი დარღვევების წინააღმდეგ ბრძოლაში.“

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ მართლმსაჯულების განხორციელების დროს სასამართლო ორგანოებმა უნდა აამაღლონ სასამართლო პროცესების ამზრდელობითი მნიშვნელობა, დანერგონ გამსველენი პროცესების მოწყობა საწარმოებში, მშენებლობებზე, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. მართლმსაჯულებამ აქტიურად უნდა შეუწყოს ხელი წვრილბუტუყუაზიული ფსიქოლოგიის რეციდივების, მუშტრული განწყობილების, მეშჩანობის და ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლას, ახალი ადამიანის ჩამოყალიბებას, სოციალისტური ცხოვრების წესის ნორმებისა და პრინციპების დამკვიდრებას.

ჩვენი ქვეყნის განვითარების სოველ ეტაპზე მართლმსაჯულება შეუპოვრად ებრძოდა და ებრძვის სოველივე იმას, რაც ხელს უშლის და აფერხებს ჩვენი ქვეყნისა და საზოგადოების წინსვლას.

საბჭოთა ბლხი ახალ-ახალ მწვერვალებს აღწევს კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში. ამაში თავისი წვლილი შეაქვს საქართველოს მართლმსაჯულების ორგანოებს, რომლებიც სამოცი წელზე მეტია საბჭოთა მოქალაქეების კონსტიტუციით გარანტირებული დიდი უფლებების სადარაჯოზე დგანან.


საქართველოს სსრ პირველი პროკურორები და იუსტიციის სახალხო კომისრები

მ. ზანგშერი

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების სამოცი წლისთავის დღეებში ჩვენ მოვალენი ვართ მადლიერების გრძნობით გავიხსენოთ ისინი, ვინც დიდი ღვაწლი დასდო რესპუბლიკის იუსტიციისა და სასამართლო ორგანოების შექმნასა და განვითარებას. საქართველოს სსრ იუსტიციის კომისარიატს და რესპუბლიკის პროკურატურას საბჭოთა ხელისუფლების პირველ და შემდგომ წლებში სათავეში ედგნენ გამოცდილი ბოლშევიკები, კომუნისტური პარტიის უერთგულესი შვილები, კრისტალური პატიოსნების პირები, რომლებიც ძალასა და ენერჯიას არ იშურებდენ კანონიერების განმტკიცებისა და საბჭოთა მართლმსაჯულების სწორად განხორციელებისათვის.

წინამდებარე წერილში საქართველოს სს რესპუბლიკის პირველი პროკურორების, იუსტიციის სახალხო კომისრების მოკლე ბიოგრაფიის გადმოცემით დავკმაყოფილდებით.

საქართველოს სსრ პირველი პროკურორი იყო გამოჩენილი რევოლუციონერი და სახელმწიფო მოღვაწე, 1921 წლის 4 ივნისიდან საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისარი სერგო (სარდიონ) ივანეს ძე ქავთარაძე, რომელიც 1922 წლის 15 ნოემბრიდან ითვლებოდა რესპუბლიკის პროკურორად და ხელს აწერდა როგორც ორი თანამდებობის პირი: საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისარი და საქართველოს სსრ პროკურორი.



ს. კ. ქავთარაძე იყო საბჭოთა ხელისუფლებისათვის თვალსაჩინო მებრძოლი პროფესიონალი რევოლუციონერი. იგი დაიბადა 1885 წელს ქუთაისის მაზრის სოფელ ზოვრეთში სამხედრო მოსამსახურის ოჯახში. ქუთაისში საშუალო განათლების მიღების შემდეგ დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. ს. ქავთარაძე მოწაფეობიდანვე ჩაება რევოლუციურ მოძრაობაში. იგი 1908 წელს შევიდა რსდმპ პარტიის რიგებში. 1904 წლიდან იყო რსდმპ პარტიის კავკასიის კავშირის იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტის წევრი, წერდა პროკლამაციებს, ეწეოდა სააგიტაციო მუშაობას, თანამშრომლობდა გაზეთ „პროლეტარში“.

ს. ქავთარაძე პარტიის დაველებით 1908 წლის თებერვალში ქ. მელხინგფორში გაემგზავრა იარაღის შესაძენად, სადაც გაეცნო ვ. ი. ლენინს. 1908 წელს არაღელვარულად დაბრუნდა და რევოლუციურ მოღვაწეობას ეწეოდა ბათუმში, თბილისში, ქუთაისსა და ბაქოში. 1909 წელს თბილისში დააპატიმრეს და ამიერკავკასიაში ცხოვრება აუკრძალეს. 1912-

1914 წლებში იყო გაზეთ „პრავედის“ მუდმივი თანამშრომელი. 1915 წლიდან კვლავ თბილისის ბოლშევიკური ორგანიზაციების ერთ-ერთი ხელმძღვანელია. ს. ქავთარაძე 1916 წელს დააპატიმრეს და მეტეხის ციხეში ჩასვეს, საიდანაც 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ გაათავისუფლეს.

1917 წლის მარტში ქავთარაძის რედაქტორობით გამოვიდა უოველდღიური ბოლშევიკური გაზეთი „კავკასკი რაბოჩი“, რომელიც შემდეგ რსდმპ (ბ) კავკასიის სამხარეო და თბილისის კომიტეტის ორგანო გახდა.

1917 წლის ივლის-აგვისტოში ს. ქავთარაძე რსდმპ (ბ) მეექვსე ყრილობის მუშაობაში მონაწილეობდა როგორც თბილისის ბოლშევიკური ორგანიზაციების დელეგატი. 1917 წლის ოქტომბერში კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების სამხარეო ყრილობამ ს. ქავთარაძე რსდმპ (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტის წევრად აირჩია.

1918 წლის 10 თებერვალს ს. ქავთარაძე თავმჯდომარეობდა თბილისში აღექსნადრეს

ბალში შემდგარ ბოლშევიკურ მიტინგს, რომელიც მენშევიკებმა დაარბიეს, ბევრი მონაწილე კი დახვრიტეს, ს. ქავთარაძე არაღეგალურ მუშაობაზე გადავიდა. 1918 წელს იგი დააპატიმრეს, მაგრამ მალე სხვა ხელმძღვანელ ბოლშევიკებთან ერთად გაათავისუფლეს, რის შემდეგაც იგი ჩრდილოეთ კავკასიაში გადადის და მუშაობას იწყებს ქ. ვლადიკავკაის მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ, მონაწილეობს რსდმპ (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტისა და მისი გაზეთის „კავკასკაია პრავდას“ რედაქციის მუშაობაში. ს. ქავთარაძე, როგორც პოლიტიკური კომისარი, აქტიურად მონაწილეობდა დუშეთის გლეხთა 1918 წლის ივნისის აჯანყებაში.

1918 წლის თებერვლიდან დენიკინის მიერ ქ. ვლადიკავკაის აღების შემდეგ ს. ქავთარაძე გადმოდის საქართველოში, სადაც იგი კვლავ დააპატიმრეს მენშევიკებმა და 15 თვეს აწყოფეს მეტეხის ციხეში. პატიმრობიდან განათავისუფლდა საბჭოთა რუსეთსა და მენშევიკურ საქართველოს შორის 1920 წლის 7 მაისს დადებული ხელშეკრულების საფუძველზე.

1920 წლის ივნისიდან ს. ქავთარაძე დაინიშნა საქართველოში რსფსრ სრულუფლებიანი ელჩის ს. მ. კიროვის მრჩეველად და დაიწყო გაზეთ „კომუნისტში“ თანამშრომლობა. საქართველო მენშევიკურმა მთავრობამ 1921 წლის თებერვალში ს. ქავთარაძე კვლავ დააპატიმრა. და განთავსდა მხოლოდ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ, 1921 წლის 17 მარტს. იმავე დამეს ს. ქავთარაძე დაინიშნა ბათუმის რევკომის თავმჯდომარედ.

ს. ქავთარაძე 1921 წლის 4 ივნისიდან საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისარია, ხოლო 1922 წლის იანვრიდან დაინიშნა საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარედ, საიდანაც იგი მალე იგზავნება თურქეთში სსრ კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენლობაში მრჩეველად.

ს. ქავთარაძე 1924-1928 წლებში სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს მთავარი პროკურორის პირველი მოადგილეა, 1928 წლიდან მუშაობდა ორენბურგში, სახალხო განათლების ორგანოებში, 1934-1936 წლებში კი ქ. მოსკოვში სახელმწიფო გამომცემლობაში. ს. ქავთარაძე დიდ სამამულო ომის წლებში მუშაობდა სსრ კავშირის ელჩად ირანში, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის აღმოსავლეთის განყოფილების გამგედ, საგარეო საქმეთა სახალხო კომისიის მოადგილედ. 1945-1952 წლებში იგი სსრ კავშირის სურულუფლებიანი ელჩია რუმინეთში, 1952-1954 წლებში სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს მრჩეველი, 1955 წლიდან კი პერსონალური პენსია დაენიშნა.

ს. ქავთარაძე დაჯილდოებული იყო ლენინის სამი ორდენით, შრომის წითელი დროშის ორდენით და რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის I ხარისხის ოქროს ვარსკვლავის ორდენით.

ს. ქავთარაძე გარდაიცვალა 86 წლისა 1971 წლის 17 ოქტომბერს.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარედ სერგო ქავთარაძის დანიშვნასთან დაკავშირებით 1923 წლის იანვრიდან საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისარად და საქართველოს სსრ პროკურორად დაინიშნა იაკობ მიხეილის ძე ვარძიელი. ი. მ. ვარძიელი დაიბადა 1891 წელს ახალქალაქის მაზრის სოფელ ხიზაბავრაში. სწავლობდა ჯერ სოფლის დაწყებით სკოლაში, შემდეგ ქ. ბათუმის გიმნაზიაში, 1913 წლიდან კი მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. რომელიც 1918 წელს დაამთავრა.

ი. ვარძიელი როგორც გიმნაზიაში, ისე უნივერსიტეტში სწავლის დროს მოსწავლეთა შორის აქტიურ რევოლუციურ მუშაობას ეწეოდა. 1917 წლის ივლისში იგი ბოლშევიკური პარტიის რიგებში შევიდა. ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ი. ვარძიელი ჯერ ქ. მოსკოვის სამოწიანის რაიონის მილიციის კომისარად, შემდეგ მოსკოვის საბჭოს აღმინისტრაციული განყოფილების გამგედ დაინიშნა. 1920 წელს ი. ვარძიელი საქართველოში გამოგზავნეს როგორც საბჭოთა რუსეთის მთავრობის დიპლომატიური კურსიერი. იგი 1922 წლის დამდეგს ქ. მოსკოვისა და მოსკოვის გუბერნიის მილიციის უფროსია, 1922 წლის დეკემბრიდან კი — ქ. მოსკოვის კრასნაია პრესნაის რაიონის სასამართლო კოლეგიის თავმჯდომარე. 1923 წლიდან ი. ვარძიელი საქართველოს სსრ იუსტიციის კომისარად და საქართველოს სსრ პროკურორად დაინიშნა.



ი. ვარძიელის სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისრად და საქართველოს სსრ პროკურორად 1928 წლის ივლისიდან მუშაობს შალვა სპირიდონის ძე მათიაშვილი.



შ. ს. მათიაშვილი დაიბადა 1898 წელს თელავის მაზრის სოფელ ყვარელში მოსამსახურის ოჯახში. მან 1917 წელს დაამთავრა თბილისის მეორე გიმნაზია, ამავე წელს შევიდა ბოლშევიკური პარტიის რიგებში და ჩაება რევოლუციურ საქმიანობაში. შ. მათიაშვილი 1920 წლის 1 იანვარს, როგორც ბოლშევიკური პარტიის თბილისის კომიტეტის წევრი, საქართველოს მენშევიკურმა მთავრობამ დააპატიმრა. ხუთი თვის პატიმრობის შემდეგ განთავისუფლებული შ. მათიაშვილი ვლადიკავკაზში გაემგზავრა, იქიდან კი ქ. ბაქოში, სადაც აზერბაიჯანის სამხედრო-საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატის პოლიტსამმართველოს უფროსის მოადგილედ დანიშნეს.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ შ. მათიაშვილი მრავალ პასუხსაგებ პარტიულ და საბჭოთა სამუშაოს ასრულებდა. 1921-1922 წლებში იგი იყო გორის რევკომის თავმჯდომარე, შემდეგ გორის და თელავის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე. 1924-1929 წლებში საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარია, საქართველოს

ცაქის მდივანი, საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისარი და საქართველოს სსრ პროკურორი. 1930-1937 წლებში შ. მათიაშვილი იყო საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სსრ სახალხო კომისარი, ხოლო 1937 წლის თებერვლიდან საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარე. შ. მათიაშვილი იყო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, საკავშირო კომპარტიის ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტისა და საქართველოს სსრ ცაქის წევრი.

შ. მათიაშვილის სხვა სამუშაოზე გადაყვანის გამო საქართველოს იუსტიციის სახალხო კომისრად და საქართველოს სსრ პროკურორად 1929 წლის 28 ივლისიდან დანიშნა გიორგი თევდორეს ძე სტურუა.



გ. თ. სტურუა დაიბადა 1884 წელს ქუთაისის მაზრის სოფელ კულაში ღარიბ გლეხის ოჯახში. სოფლის ორკლასიანი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ 1901 წლიდან მოეწყო თბილისის მექანიკურ სახელოსნოში და იმავე წელს შევიდა რსდმპ თბილისის ორგანიზაციაში. 1902-1903 წლებში გ. სტურუა მუშაობდა ბაქოსა და ბათუმის სხვადასხვა ქარხანაში და მონაწილეობდა მუშათა გაფიცვებში. იგი მუშაობდა რსდმპ ბაქოს არალეგალურ სტამბაში, შემდეგ კი რსდმპ (ბ) მოსკოვის კომიტეტის არალეგალურ სტამბაში.

1905 წლის დეკემბრის შეიარაღებული აჯანყების დროს გ. სტურუა იარაღით იბრძოდა კრასნაია პრესნიას ბარაკებზე. რევოლუციური მოღვაწეობისათვის მეფის მთავრობას მრავალჯერ დაუპატიმრებია და გადაუსახლებია იგი. 1909 წელს გადასახლებიდან გაიქცა და ბაქოში განაგრძო პარტიული მუშაობა. გ. სტურუა 1914 წელს, როგორც ბაქოს მუშათა გაფიცვის ორგანიზატორი, დააპატიმრეს და ტომსკის გუბერნიაში გადასახლეს. 1916 წლის ბოლოს კვლავ გამოიქცა

გადასახლებიდან, დაბრუნდა ბაქოში და აქტიური მონაწილეობა მიიღო 1917 წლის იანვრის ბაქოს მუშათა გაფიცვაში, რისთვისაც ციმბირში გადასახლეს, მაგრამ გზაში 1917 წლის თებერვლის რევოლუციამ მოუსწრო და ბაქოში დაბრუნდა.

გ. სტურუა სხვა გამოჩენილ რევოლუციონერებთან ერთად ხელმძღვანელობდა ბაქოს ბოლშევიკური ორგანიზაციების მუშაობას. იგი აქტიურად მონაწილეობდა ბაქოს კომუნის შექმნასა და საქმიანობაში. 1918 წელს ბაქოს ბოლშევიკური კომიტეტის დავალებით სათავეში ედგა წითელი გვარდიის რაზმს და აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის იბრძოდა.

გ. სტურუა იყო რკპ (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტის წევრი და იბრძოდა თეთრგვარ-
დიელების, მენშევიკებისა და უცხოელი ინტერვენტების წინააღმდეგ.

1918 წლის ოქტომბერ-ნოემბერში გ. სტურუა საქართველოში მენშევიკური მთავრობის
წინააღმდეგ აჯანყების ერთ-ერთი ორგანიზატორი იყო. მენშევიკურმა მთავრობამ 1920 წელს
იგი ორჯერ დააპატიმრა და ბოლოს აზერბაიჯანში გადაასახლა. გ. სტურუა მუშაობდა რკპ (ბ)
აზერბაიჯანის ცენტრალური კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილების გამგედ, ხოლო შემ-
დეგ ცენტრალური კომიტეტის მდივანად.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ გ. სტურუა პარტიულ და
საბჭოთა ორგანოებში მუშაობს ხელმძღვანელ სამუშაოზე. იგი იყო საქართველოს სსრ სა-
სურსათო საქმეთა სახალხო კომისიის მოადგილე, საქართველოს კომპარტიის (ბ) თბი-
ლისის საქალაქო კომიტეტის მდივანი, საქართველოს კომპარტიის (ბ) აფხაზეთის საოლქო კო-
მიტეტის მდივანი, 1929 წლის 28 ივლისიდან 1931 წლის 18 ივლისამდე საქართველოს სსრ
იუსტიციის სახალხო კომისარი და საქართველოს სსრ პროკურორი, ხოლო 1931 წლის ივლისიდან
ამიერკავკასიის სსრ პროკურორი, საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარე, მუშაკლესნიის კომი-
სარი, ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარი, საქართველოს სსრ სასკომსაბჭოს თავმჯდო-
მარის მოადგილე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე. ბოლოს
იგი ვ. ი. ლენინის მუზეუმის თბილისის ფილიალის დირექტორად მუშაობდა.

გ. სტურუა მრავალჯერ გაუგზავნიათ საკავშირო კომპარტიის ყრილობათა დელეგატად, და-
ჯილდოებული იყო ლენინის ორი ორდენით, პირველი ხარისხის სამამულო ომის ორდენით, წი-
თელი დროის ორდენითა და მრავალი მედლით.

გ. სტურუას ამიერკავკასიის სსრ პროკურორად გადაყვანის გამო საქართველოს სსრ იუს-
ტიციის სახალხო კომისრად და საქართველოს სსრ პროკურორად 1931 წლის 18 ივლისიდან
დაინიშნა თედორე გიგოს ძე დოლიძე.





თ. გ. დოლიძე დაიბადა 1887 წელს ოზურგეთის მაზრის
სოფელ აშაღლებაში ღარიბი გლეხის ოჯახში. დაამთავრა
სოფლის ორკლასიანი სკოლა და მოგვიანებით ბაქოს კლასი-
კურ გიმნაზიაში ჩააბარა გამოცდები მასწავლებლის წოდებაზე.

მუშობლების სიღარიბის გამო თ. დოლიძე ადრევე ჩაება
შრომითს საქმიანობაში. რევოლუციურად განწყობილი მოწი-
ნავე მუშების, უწინარეს ყოვლისა კი უფროსი ძმის, პროფ-
სიონალი რევოლუციონერის ანდრო დოლიძის გავლენით
თ. დოლიძე ჰაბუკობიდან ჩაება რევოლუციურ მუშაობაში.
1917 წელს იგი ბოლშევიკური პარტიის რიგებში შევიდა. 1918-
1919 წლებში თ. დოლიძე გურიის სამაზრო ბოლშევიკური
ორგანიზაციის ერთ-ერთი აქტიური მუშაკია. ამის გამო მენ-
შევიკებმა დააპატიმრეს 1919 წელს. 1920 წლის აპრილში სა-
პატიმროდან გაიქცა და რევოლუციურ მუშაობას დაუბრუნდა.
ამ პერიოდში იგი ბოლშევიკების ქუთაისის საგუბერნიო კომი-
ტეტის წევრად, ხოლო 1920 წლის ნოემბერში. საქართველოს
კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრად აირჩიეს.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ თ. დოლიძე პასუხსაგებ თა-
ნამდებობებზე მუშაობდა პარტიულ და ადმინისტრაციულ ორგანოებში, აქტიურად მონაწილეობ-
და ქვეყნის სოციალისტურ მშენებლობაში. სხვადასხვა დროს იყო ოზურგეთის სამაზრო აღმასკო-
მის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისიის მოადგილე, უმაღლესი
სასამართლოს თავმჯდომარე, რესპუბლიკის პროკურორი, ამიერკავკასიის სსრ მსუბუქი მრეწ-
ველობის სახალხო კომისარი, არჩეული იყო ამიერკავკასიის სსრ ცენტრალური აღმასრულებ-
ბელი კომიტეტის წევრად.

თ. დოლიძის სხვა სამუშაოზე გადაყვანის გამო საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კო-
მისრად და რესპუბლიკის პროკურორად 1933 წლის 10 იანვრიდან დაინიშნა მისი უფროსი ძმა
ანდრო გიგოს ძე დოლიძე.



ა. გ. დოლიძე დაიბადა 1878 წელს. სოფელ ბახილეთის არკლასიანი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო თბილისის საფერშლო სკოლაში. აქ იგი მარქსისტული ლიტერატურას გაეცნო, მესამედასკელებს დაუახლოვდა და ურნალ „კვალში“ დაიწყო თანამშრომლობა.

ა. დოლიძე 1899 წელს სამხედრო სამსახურში გაიწვიეს. ქ. პროსკუროვოში დაუკავშირდა სოციალ-დემოკრატიულ ჯგუფს და დაიწყო ჯარისკაცთა შორის პროკლამაციების გავრცელება. 1905 წელს დაბრუნდა გურიაში და არალეგალურ რევოლუციურ მუშაობაში ჩაება. ამავე წელს შევიდა ბოლშევიკური პარტიის რიგებში და ამის შემდეგ ა. დოლიძე მთელი ოჯახით, თავის უმცროს ძმებთან თედორე და სოლომონ დოლიძეებთან ერთად ჩაება რევოლუციურ საქმიანობაში.

ა. დოლიძე მრავალჯერ იყო დაპატიმრებული და გადასახლებული.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებამ ა. დოლიძეს ბათუმის საპატიმროში მოუსწრო. ამის შემდეგ ა. დოლიძე ხელმძღვანელ სამუშაოზეა. არის საქართველოს სსრ

ნუშათ: დ. გლუბო: ინსპექციის სახალხო კომისარი, ამიერკავკასიის სფსრ მუშათა და გლუბთა ინსპექციის სახალხო კომისარის მოადგილე, ამიერკავკასიის სფსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი, საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარი და სხვა.


ა. დოლიძის შემდეგ საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისარად და საქართველოს სსრ პროკურორად 1934 წლის 16 აპრილიდან მუშაობს კანდიდ თადეოზის ძე გობეჯიშვილი.

კ. თ. გობეჯიშვილი დაიბადა 1897 წელს, რაჭაში, სოფლის მღვდლის ოჯახში. თბილისის გიმნაზიის დამთავრების შემდეგ 1918 წლიდან სწავლა განაგრძო მოსკოვის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე. აქტიურად მონაწილეობდა 1917 წლის თებერვლის რევოლუციაში. კ. გობეჯიშვილი რევოლუციის შემდეგ ანარქისტთა სტუდენტურ ჯგუფში შევიდა, მაგრამ ოთხი თვის შემდეგ ოქტომბრის რევოლუციის წინა პერიოდში კავშირი გაწყვიტა ანარქისტებთან და 1917 წელსვე შევიდა კომუნისტური პარტიის რიგებში. კ. გობეჯიშვილი ოქტომბრის რევოლუციის აქტიური მონაწილე იყო. რევოლუციის შემდეგ მოსკოვის რევკომის დავალებებს ასრულებდა, შემდეგ კი იქვე მუშაობდა სხვადასხვა თანამდებობაზე.

კ. გობეჯიშვილი 1921 წლის თებერვლიდან რაჭის მაზრის რევკომის თავმჯდომარედ დაინიშნა. მალე წითელი არმიის რიგებში გაიწვიეს, სადაც 1922 წლის ნოემბრამდე იმსახურა, შემდეგ კი რაჭის სამაზრო კომიტეტის მდივანად მუშაობდა. კ. გობეჯიშვილი 1924 წელს გადაიყვანეს ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს პოლიტსამდივნოს უფროსად, 1924-1925 წლებში შორაპნის მაზრის პარტიული კომიტეტის მდივანია, შემდეგ წლებში იგი იყო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოხეთის საოლქო კომიტეტის მდივანი, საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისარი და რუბპუბლიკის პროკურორი.

რ ნ მ ე ნ ა

ნ ა რ კ ვ ე ვ ი



1942 წლის მაისი... ყირიმის ნახევარკუნძულზე უარცხად რთული ვითარება შეიქმნა. ჰარბი ძალების წყალობით ფაშისტური ჯარები დროებით წარმატებებს აღწევენ. 224-ე ქართული მსროლელი დივიზიის მეტროლები თავგანწირვით იბრძვიან თითოეული გოჯი საბჭოთა მიწისათვის. მძიმე ბრძოლები გადაიხადა ამ დივიზიის 185-ე მსროლელმა პოლკმაც. მისი მეტროლები თავდაუზოგავად იბრძოდნენ და მნიშვნელოვანი ზარალიც მიაყენეს მტრის ჯარებს, მაგრამ მდგომარეობა სულ უფრო და უფრო მწვავედებოდა — ალყაში მოქცეული პოლკი თანდათან შეთხელდა. ამ უმძიმეს წუთებში საბჭოთა მეომრებს პირადი მაგალითით აღაფრთოვანებდა პოლკის კომისარი ამბროსი რამიშვილი, რომელიც ყოველთვის იქ იყო, სადაც ყველაზე რთული ვითარება იქმნებოდა. ბოლოს ხელჩართულ ბრძოლაში კომისარიც მძიმედ დაიჭრა და გონდაკარგული სხვა საბჭოთა მეომრებთან ერთად ტყვედ ჩაუვარდა ფაშისტებს...

მხოლოდ კარგა ხნის შემდეგ ახლდა ფარდა კომისარ ამბროსი რამიშვილის საიდუმლოებით მოკლულ საგმირო თავდადასავალს...

1947 წლას დამლევს ჩრდილოეთ კავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა კრასნოდარში გაასამართლა თორმეტი სამხედრო დამნაშავე — სამშობლოს მოღალატე. მათ ბრალი დაედოთ ფაშისტების მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე მშვიდობიანი მოსახლეობის მასობრივ მოსპობაში. კერძოდ, ომის წლებში ამ გარეწრებმა სიცოცხლეს გამოასალმეს 50 ათასზე მეტი საბჭოთა პატრიოტი, ამ შემზარავი საქმის სისრულეში მოყვანილობის ფაშისტებმა სპეციალური სადამსჯელო ქვეგანყოფილები, ეგრეთ წოდებული „აინზატცგრუპები“ შექმნეს, რომლებსაც დავალებული ჰქონდათ ოკუპირებულ ტერიტორიებზე ნაციხტური რეჟიმის დამკვიდრება. ყირიმში მოქმედ „აინზატცგრუპა დ-სთან“ 1942 წელს ჩამოაყალიბეს „კავკასიის ასეული“, რომელსაც აზერბაიჯანის ყოფილი მკვიდრი ვალტერ კერერი მეთაურობდა, მისი მოადგილე და მარჯვენა ხელი კი გამცემი და მოღალატე ვინმე ელიზბარაშვილი იყო. „კავკასიის ასეული“ მთლიანად სამშობლოს მოღალატეებისაგან შედგებოდა. კრასნოდარში გასამართლებული თორმეტივე ნაძირალა ამ „ასეულის“ აქტიური წევრი იყო.

სასამართლო პროცესზე მთლიანად დადასტურდა ამ თავგენილაღებული ბანდიტების საზიზღარი ნაშოქმედარი. მათ თავიანთ უამრავ დანაშაულობას შორის აღიარეს, რომ მხეცურად, წაქეზებით მოკლეს ჭეშმარიტი კომუნისტი, სამშობლოსათვის თავდადებული პატრიოტი, ჩვენი ერის საამაყო შვილი ამბროსი ეფიმეს ძე რამიშვილი.

...როცა ამბროსი რამიშვილი გონს მოვიდა, საბჭოთა ტყვეებმა შეატყობინეს, რომ ისინი ფეოლოსიის გარეუბანში მოწყობილ საკონცენტრაციო ბანაკში იმყოფებოდნენ. დღე დღეს მიხედვდა და ქართველი კომისარი გამოჩანართელდა. იგი მასწინე გაეცნო ბანაკის შემოგარენს. ყოველივე აწონ-დაწონა და შეუდგა ანტიფაშისტური საიდუმლო ორგანიზაციის შექმნას. დამამოებით მის გარშემო იკრიბებოდნენ სამშობლოს ერთგული შვილები და სახვდნენ იარაღს ხელში ჩაგდებისა და ბანაკიდან გაქცევის გეგმებს, მაგრამ მათ ჩანაფიქრს განხორციელება არ ეწერა...

მაღე ბანაკში ფაშისტების ლაქია ვალტერ კერერი გამოჩნდა, რომელსაც დაკლებული ჰქონდა საბჭოთა ტყვეების ეგრეთ წოდებული „დამუშავება“, გადაბირება და მათგან საღამს-



კელო რაზმების შედგენა. აქა-იქ აღმოჩნდნენ კიდევ სულმდაბალი, სამშობლოს მოღალატენი, რომლებიც საკუთარი ტყავის გადარჩენის მიზნით ფაშისტების სამსახურში ჩადგნენ. ერთ-ერთი ასეთი „დამუშავების“ დროს მოღალატე ელიზბარაშვილმა იცნო კომისარი რამიშვილი და გახარებულია შესძახა:

— ა, გაბი, კომისარო რამიშვილო!

— საზოგადო გამოიძველო! — ქართულად მიახლა ამბროსიმ.

— აბა, ამოიღე პარტილეთი და შენივე ხელით დახე! — უბრძანა რამიშვილს.

ქართველმა კომისარმა ამოიღო პარტილეთი და მოწინებით ემთხვია. გამხეცებულმა ფაშისტებმა იგი ცალკე საკანში შეაგდეს და დაიწყო ხანგრძლივი წამების დღეები. რა აღარ იღონეს გერმანელმა მოძალადეებმა, რათა ამბროსი რამიშვილის ნებისყოფა გაეტეხათ და იგი საქშობლოს მოღალატედ ექციათ. წამებას დაუვალება ცვლიდა, დაპირებებს — მუქარა, მაგრამ სასტიკად მოტყუვდნენ — ქართველი კომისარი სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე სამშობლოსა და მშობელი ხალხის ერთგული დარჩა.

ფაშისტებს ყოველგვარი იმედი რომ გადეწურათ, ამბროსი რამიშვილი სიმფეროპოლის ციხეში გადაიყვანეს, საიდანაც, ჩვეულებრივ, ცოცხალი აღარავინ ბრუნდებოდა. აქაც დიდხანს ცდილობდნენ სხელები რამიშვილის მოტყუებას, წამების მრავალნაირი ხერხიც მოიშველეს, მაგრამ კვლავ — ამაოდ.

...სპეციალურად მოწყობილი გაზის კამერები დღედაღამ მუშაობდნენ, სიცოცხლეს ახალმებდნენ ასობოთ საბჭოთა პატრიოტს. დადგა კომისარ ამბროსი რამიშვილის რიგიც. იგი მხნედ მიდის გაზის კამერასთან, იცის, რომ აღსასრული ახლოვდება. ერთი წამით თვალს ხუჭავს, ალბათ, გონებით თბილისს მისწვდა, ცხადად წარმოიდგინა მეუღლის, შვილების, ახლობელთა სახეები, ჩურჩულით დამეშვიდობა მათ, თვალზე მომდგარ მზურვალე ცრემლს გასაქანი აღარ მისცა — უკანასკნელად მოიკრიათა ძალ-ღონე და მკუხარე ხმით შესძახა:

— მკვლელეო! მალე თქვენი აღსასრულიც დადგება, ჩვენ გავიმარჯვებთ და. პასუხს აგებთ თქვენი დანაშაულისათვის. მართალია, მე ამ დღეს ვეღარ მოვესწრები, მაგრამ ამას მალე ნახავენ ჩვენი შვილები, ახლობლები, მთელი საბჭოთა ხალხი. გახსოვდეთ, მკვდარიც კი ფაშისტის წინააღმდეგ ვიბრძობებ! გაუმარჯოს კომუნისტებს!

ჯალათებმა ხელი ჰკრეს კომისარს და მისი ეს ბოლო სიტყვები უკვე გაზის კამერიდან მისწვდა დამსწრეთა ხმენას...

ამბროსი ეფიმეს ძე რამიშვილი დაიბადა 1901 წელს ჩონატაურის რაიონის სოფელ ვანში ღარიბი გლეხის ოჯახში. დაწყებითი განათლება სოფელ სურბეში მიიღო. სულ რაღაც ცამეტობდე წლის ბიჭს მამა გამოეცალა: ხელიდან და მთელი ოჯახის სიმძიმე მას დააწვა მხრებზე. დღედაღამ უმცროსი და-ძმების გამოკვებაზე ფიქრობდა.

თექვსმეტი წლის ამბროსი რამიშვილი უკვე ლენინური პარტიის რიგებშია. მძიმე წლები იყო. საქართველოში მენშევიკები ბატონობდნენ, ახალგაზრდა კომუნისტი უყუყუანოდ ჩადგა მათ წინააღმდეგ მებრძოლთა რიგებში. სწორედ ამ უკომპრომისო ბრძოლაში ჩამოყალიბდა ამბროსი რამიშვილის მრწამსი, რისთვისაც მას აღარასოდეს უღალატია. აქტიური რევოლუციურ-ბოლშევიკური საქმიანობისათვის მრავალჯგის იყო დაპატიმრებული.

მალე საქართველოში საბჭოთა ხელისუფლებამ გაიმარჯვა. ქართველი კომუნისტების უპირველესი ამოცანა იყო ძლიერი წითელი არმიის შექმნა. უკვე 1921 წლის 2 მარტს ვ. ი. ლენინი სერგო ორჯონიკიძეს სწერდა: „საჭიროა დაუყოვნებლივ შევიარაღოთ მუშები და უღარიბესი გლეხობა და ამნაირად შევქმნათ საქართველოს მტკიცე წითელი არმია“. ბელადის ამ მითითების განხორციელებისათვის უწინარესად საჭირო იყო მეთაურთა კადრები. 1921 წლის მაისის დამდეგს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით თბილისში დაიწყო ქართული სამხედრო სამეთაურო კურსების ჩამოყალიბება, ხოლო 10 ივნისს კურსებზე უკვე პირველი მსმენელები ჰყავდა. აქ იყო ამბროსი რამიშვილიც.

„ქართული გაერთიანებული სამხედრო სკოლის“ დამთავრების შემდეგ ა. რამიშვილი ამავე სამხედრო სკოლის კომისარის თანაშემწე და პოლიტექტორია, ხოლო 1926-1928 წლებში — პირველი ქართული მსროლელი დივიზიის აგიტპროპაგანდის უფროსი. შემდეგ იგი გადაჰყავთ პირველი და მეორე მსროლელი დივიზიის სამხედრო პროკურორად.

სხვადასხვა დროს ამბროსი რამიშვილი იყო პარტიის სურების, ლაგოდების, ლანჩხუთის რაიონული და ფოთის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი, ხოლო 1935-38 წლებში ა. რამიშვილი რესპუბლიკის იუსტიციის სახალხო კომისარი და პროკურორია. ამ უადრესად რთულ და საპატიო პოსტზე ყოფნის პერიოდში მთელი ხისრულით გამოჩნდა ამბროსი რამიშვილის ნიჭი



და უნარი, მისი ბოლშევიკური მგზნებარება და შეუპოვრობა. მან დაუნდობელი, უკომპრომისო პრძოლა გააჩაღა საბჭოთა წყობილების მტრების, დეზორგანიზატორების, მექრთამეების, მომხვე-
ქელების და სხვადასხვა ჯურის დამნაშავეების წინააღმდეგ.

1939 წლიდან ამბროსი რამიშვილი სამეურნეო სამუშაოზეა. იგი აბრეშუმის წარმოების ტრეა-
ტის მმართველად გადააყავთ. სწორედ აქ მოუხსრო 1941 წლის 22 ივნისმა; როცა გერმანელთა
ურდოები თავს დაესხნენ ჩვენს ქვეყანას. ამბროსი რამიშვილს თანამდებობის მიხედვით ჯავ-
ნანი ეკუთვნოდა და, რა თქმა უნდა; მობილიზაციით არ გაუწვევიათ, მაგრამ ქვეშარიტ პატრი-
ოტს გული ფრონტისაკენ მიუწევდა და მალე მოხალისედ ჩაეწერა საბჭოთა არმიაში, მის კვალს
ნიჰყვა მუღლღეც — სამედიცინო სამსახურის კაპიტანი მერი რამიშვილი.

ფრონტიდან გამოგზავნილ ერთ-ერთ თავის უკანასკნელ წერილში ამბროსი რამიშვილია
წერდა: „ჩემო ძვირფასო მერი! ყირიმში ვიმყოფებით. ფაშისტები ენილ აუწერელ სიმხეცეს სჩა-
დიან. ვეცდები ამ ბანდიტებზე შური ვიძიო ჩვენი ქალაქებისა და სოფლების განადგურე-
ბისათვის.

ძალიან გამიხარდა, როცა შევითყვე, რომ მუშაობა დაგწყია ჰოსპიტალში. ექიმი სარ და
სამშობლოსათვის ბევრი რამის გაკეთება შეგიძლია. ახლა სომ ყველაზე საპატიო მოვალეობა სამ-
შობლოსათვის შრომაა. შორს არ არის ის დრო, როცა ჩვენი პარტია და ხალხი იზეიმებენ ბო-
როტ ძალებზე — ფაშისტ სისხლისმსმელებზე გამარჯვებას.

ჩემო შვილებო, ლევან და როზალია! ო, როგორ მინდა თქვენი ნახვა. მაგრამ რას იზამ —
ახლა უფრო საპატიო მოვალეობა მაკისრია. გვაგანადგურებთ გერმანელ ფაშისტებს და გნახავო.
გკოცნით ბევრს, თქვენი მამა. 1942 წლის 20 მარტი“.

მართალია, 224-ე ქართული მსროლელი დივიზიის 185-ე მსროლელი პოლკის კომისარმა
ამბროსი რამიშვილმა ვეღარ იხილა საყვარელი ცოლ-შვილი, მაგრამ მან გმირულად დადო თავი
სწორედ მათი და მთელი ჩვენი ხალხის ნათელი მომავლისათვის.

გმირ ქალაქ კიევი 1981 წლის 9 მაისს მემორიალური კომპლექსის საზეიმო გახსნისას გამარ-
თულ მითინგზე გამოსვლისას სკკ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშო-
რის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხანაგმა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა
თქვა: „უკვდავია იმათი გმირობა, ვინც იბრძოდა და დაამარცხა ფაშიზმი. ეს გმირობა საუკუნე-
ებში იცოცხლებს“.

ლიან, უკვდავია კომისარ ამბროსი ეფიშეს ძე რამიშვილის გმირობაც. მისი სახელი მარად
შარავანდელით იქნება მოსილი იმათ შორის, ვინც სახელი გაუთქვა ჩვენს მშობლიურ რესპუბ-
ლიკას, ქართველ ერს. მის მაგალითზე თაობები აღიზრდებიან.

გელა გერძინიშვილი.

ბაკაშოს ხარისხის გართავის ცნობისათვის

პ. მუშიჩანაძე,

ოდების ი. ი. მეჩნიკოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სახელმწიფოსა და სამართლის თეორიისა და ისტორიის კათედრის უფროსი მასწავლებელი, პ. ხაჭაღიანი, ასპირანტი.

სოციალისტური სახელმწიფოს ბუნების დაცვის ფუნქციის თეორია შეიძლება მივიჩნიოთ ისეთ ფენომენად, რომელსაც უშუალო პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს იმ თვალსაზრისით, რომ იგი ბუნების დაცვის დარგში არა მარტო სახელმძღვანელო, არამედ ამ სახელმწიფოს სამართლებლო საქმიანობის სრულყოფის საშუალებაც არის.

სოციალისტურ საზოგადოებაში გარემოს ხარისხის მართვას რამდენიმე ასპექტი ახასიათებს: პოლიტიკური, ეკონომიკური, მორალურ-ესთეტიკური და ორგანიზაციულ-სამართლებრივი.

იურიდიული შემეცნება მიმართავს პოლიტიკურ და ორგანიზაციულ-სამართლებრივ ასპექტებს. ამასთან პრიორიტეტი პოლიტიკურ ასპექტს ენიჭება.

ვ. ი. ლენინი, რომელმაც პოლიტიკას ეკონომიკის კონცენტრირებული გამოხატულება უწოდა, წერდა: „პოლიტიკას ეკონომიკასთან შედარებით არ შეიძლება პირველობა არ ეკუთვნოდეს. სხვანაირად მსჯელობა ნიშნავს მარქსიზმის ანბანის დავიწყებას“¹. ეს ლენინური დებულება ვრცელდება პოლიტიკური და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ასპექტების თანაფარდობაზეც. აქაც პოლიტიკას ეკუთვნის პირველობა.

ბუნების ყოველი კონკრეტული ობიექტის სახელმწიფო-სამართლებრივი დაცვა ხორციელდება საზოგადოებისა და სახელმწიფოს ინტერესების, ესე იგი უპირველეს ყოვლისა პოლიტიკური ინტერესების თვალსაზრისით.

როცა უშუალოდ ვეხებით გარემო ბუნების ხარისხის მართვის პოლიტიკური და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ასპექტის თეორიულ ინტერპრეტაციას, უნდა აღვნიშნოთ, რომ იგი შეიძლება მოიცავდეს დასახელებულ მართვას მთლიანად და მის ცალკეულ მიმართულებებს თუ ციკლებს (ქვესტრუქტურებს).

გარემოს ხარისხის მართვის თეორიული ინტერპრეტაცია შეიძლება მივცეთ მისი კონკრეტულ ობიექტს (მხოლოდ ოკეანის რესურსებს, მტკნარი წყლებს რესურსებს, ფლორას, ფაუნას და ა. შ.).

მაგრამ მარქსიზმ-ლენინიზმი გვასწავლის, რომ კერძო პრობლემების კვლევისას აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ზოგადთეორიული დებულებანი. „...ვინც კერძო საკითხებს წყვეტს ზოგადი საკითხების წინასწარ გადაუწყვეტლად, — წერდა ვ. ი. ლენინი, — თავისდა შეუგნებლად ყოველ ნაბიჯზე გარდაუვალად „წააწყდება“ ამ ზოგად საკითხებს“².

ამით ერთხელ კიდევ დასტურდება იმ ფაქტი, რომ ბუნების დაცვის სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი კერძო საკითხების შესწავლისას შემეცნებითი მნიშვნელობა აქვს საწყის ზოგადთეორიულ დებულებებს, რომლებიც კერძო შემეცნების ფუნდამენტური საფუძველია.

კონკრეტული გამოკვლევების შექანიზმში ფუნდამენტურ-თეორიული არის არა მარტო საწყისი, არამედ, საბოლოოც, დასკვნითიც, რადგან კონკრეტული გამოკვლევების მიზანია ფაქტების თეორიული განზოგადება³.

გარემოს ხარისხის მართვის შემეცნებისას ჩვენ ვავლენთ და აღვნიშნავთ მის თვისებებს სხვადასხვა სიტუაციაში. გარემოს ხარისხის მართვისადმი სიტუაციური მიდგომა საშუალებას გვაძლევს უტყუარი სისრულით გამოვავლინოთ მისი ნამდვილი შინაარსი, გვეზმარება უფრო

¹ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 32, გვ. 88.

² ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 12, გვ. 606.

³ См., Сурилов А. В. О месте и значении общей теории государства и права в системе юридической науки, «Проблемы правозведения», 1980, № 41, с. 7.

დრშად ჩავეწვდეთ მის არსს, რომელშიც ზორცშესხმულია ის ყველაზე მთავარი, ობიექტურად საჭირო, რაც შინაგანად ახასიათებს გარემოს ხარისხის მართვას. ამ პრობლემების კვლევისას მნიშვნელოვნად მიგვაჩანია გარემოს ხარისხის მართვის — სახელმწიფოს მართვის ერთ-ერთი სახეობის — ცნების საკითხი.

ყურადღება უნდა მივაქციოთ იმას, რომ იურიდიულ ლიტერატურაში არ არის ერთიანი აზრი სახელმწიფო მართვის ცნების გაგებაში.

ზოგიერთი მეცნიერი მას განსაზღვრავს ზახელმწიფოს ყველა ორგანოს აღმასრულებელი და განმკარგულებელი საქმიანობის მეშვეობით⁴, სხვები — როგორც სახელმწიფო მართვის ორგანოთა აღმასრულებელ-განმკარგულებელ საქმიანობას, მესამენი — როგორც საბჭოთა სახელმწიფოს, საქმიანობის ერთ-ერთ ფორმას, რომელიც გულისხმობს მისი ფუნქციების განხორციელების პრაქტიკულ ორგანიზაციას.

ჩვენ ვიზიარებთ თვალსაზრისს, რომელიც განსაზღვრავს სახელმწიფო მართვას მმართველი შემოქმედების მეშვეობით⁵.

ბუნებისდამცველი აქტიურობა ორი მიმართულებისაა. ერთი მხრივ — მისწრაფება შვიინარჩუნო და განვითარო ბუნების დაცვის სისტემა, მისი მთლიანობა, სიმტკიცე, მეორე მხრივ — იმის საჭიროება, რომ განვახორციელოთ ურთიერთქმედება სოციალურ და ბუნებრივ ობიექტებს შორის, მათთან ურთიერთკავშირით გამოვხატოთ ჩვენი ბუნებისდამცველი ფუნქცია. ამ თვალსაზრისით გარემოს ხარისხის მართვა საბჭოთა ზახელმწიფოს ბუნებისდამცველი აქტიურობის სოციალური ასახვა და პრაქტიკული გარდატეხაა.

სოციალისტური სახელმწიფოს ბუნებისდამცველი აქტიურობა მოითხოვს ადეკვატურ მეთოდოლოგიურ ინტერპრეტაციას.

კონკრეტულად, პირველი სიძნელე, რომელსაც იურისტები წააწყდნენ, იყო იმის საჭიროება, რომ გარკვეულიყვნენ საბუნებისმეტყველო-ეკოლოგიური ხასიათის უხვ ინფორმაციაში.

ბუნების დაცვის აქტიურობის საბუნებისმეტყველო-მეცნიერული სტადიიდან სოციალური იურიდიულ სტადიაზე გადასვლა გულისხმობს იმაწ, რომ გამართოს ბუნებისმეტყველ მეცნიერთა და სამართალმცოდნეთა დიალოგი. სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებებში ხაზგასმით აღინიშნა, რომ საჭიროა გაძლიერდეს საზოგადოებრივ, საბუნებისმეტყველო და ტექნიკურ მეცნიერებათა ურთიერთშოქმედება⁶.

ასეთი დიალოგი საბუნებისმეტყველო-მეცნიერული ბუნებისდამცველი აქტიურობის იურიდიულ აქტიურობად ტრანსფორმაციის აუცილებელი პირობაა. მაშინ, როცა ბუნებისდამცველი აქტიურობის საბუნებისმეტყველო-მეცნიერული სტადია რეკომენდაციულ-ორიენტაციული ხასიათისაა, მის იურიდიულ სტადიას ავტორიტარულობის თვისება აქვს. ბუნებისდამცველი აქტიურობის იურიდიული ფორმის წყაროა სახელმწიფო, რომელიც არა მარტო აღგებს ბუნებას დაცვის საერთო-სავალდებულო ნორმებს, არამედ უზრუნველყოფს კიდევ მათ თავისი იძულებითი ძალით. ასეთი იძულება ბუნების დაცვის მექანიზმის სოციალური ქმედითობის საწინდარაა.

ბუნებისდაცვის კონკრეტულ საჭიროებას იურისტები აღიქვამენ საბუნებისმეტყველო-მეცნიერული წარმოდგენების პრიზმით, რომლებიც ამასთან იურიდიულ ადაპტაციას გადიან. ამ პროცესში ადაპტაცია, კერძოდ, ნიშნავს ცოდნის გადაყვანას ვიწროსპეციალური, საბუნებისმეტყველო მეცნიერული ცნებითი საფუძვლიდან იურისტების აღქმისათვის მისაწვდომ ცნებით საფუძველზე.

ბუნებისდამცველი აქტიურობის საბუნებისმეტყველო-მეცნიერული, ეკონომიკური და იურიდიული სტადიები, თითოეული ცალ-ცალკე, ხასიათდება თავ-თავის პარამეტრებითა და ეს პარამეტრები სრულიადც არ არის ერთი და იგივე. ბუნებისდამცველი აქტიურობის სფეროში ბუნებისმეტყველებს, ეკონომისტებსა და იურისტებს ღირებულებითი ორიენტაციების სრულიად სხვადასხვაგვარი სისტემები აქვთ. მაშინ, როცა ბუნებისმეტყველისათვის ღირებულებრივ-საორი-

⁴ См. Власов В. А., Студеникин С. С., Советское административное право, М., 1959, с. 8.

⁵ См. Советское административное право, Полн. ред. Ю. М. Козлова, М., 1962, с. 13.

⁶ См. Петров Г. И., Советское административное право, Л., 1960, с. 6.

⁷ См. Атаманчук Г. В. Сущность советского государственного управления, М., 1980, с. 24.

⁸ იხ. სკკპ XXVI ყრილობის მასალები. „კომუნისტი“, 1981 წლის 24, 25 თებერვალი.

ენტაციო ბუნების დასაცავი ობიექტის თვისებრივ-რაოდენობრივი მდგომარეობა, ეკონომის-ტისთვის ეკონომიკური სტატუსია (სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა, ეკონომიკური ეფექტი და ა. შ.). იურისტისათვის ასეთად უნდა ჩავთვალოთ ამ ობიექტის დაცვის სამართლებრივი ნორმის ხარისხი, ისევე როგორც მისი რელიზაციის ხარისხი.

ამავე დროს ბუნებისდამცველი აქტიურობის საბუნებისმეტყველო-სამეცნიერო, ეკონომიკური და იურიდიული სტადიების პარამეტრებს შორის არსებობს ურთიერთდამოკიდებულების თანაფარდობა. ბუნების დაცვის ნორმის ხარისხის, ისევე როგორც მისი რელიზაციის, კრიტერიუმი, ბუნების იმ შესაბამისი ობიექტების შენარჩუნება, აღდგენა და რაციონალური გამოყენება, რომლებიც მოცემულია საბუნებისმეტყველო-მეცნიერულ და ეკონომიკურ მაჩვენებლებში. მაგარამ ამ შემთხვევაში საქმე ენება ხარისხის კრიტერიუმს, საბოლოო ანგარიშით, კონკრეტულ-სოციოლოგიური პოზიციებიდან. იურიდიული საქმიანობის ხარისხის უახლოესი კრიტერიუმი სამართალდამცავი ნორმის კანონიერება და, იურიდიული თვალსაზრისით, მისი გამოყენების სათანადო წესი.

ბუნებისდამცველი აქტიურობის შედეგად მის იურიდიულ სტადიაში უნდა მივიჩნიოთ ბუნებისდამცველი მართლწესრიგი. ესე იგი იმ საზოგადოებრივ ურთიერთობათა სისტემა, რომლებიც უაღიბდება ადამიანთა შორის ბუნების ობიექტების დაცვის გამო, გაფორმებულია იურიდიული ნორმებით და უზრუნველყოფილია სახელმწიფოს იძულებითი ძალით მისი საკონტროლო-საწესდამხდელი, ადმინისტრაციული და სასამართლო საქმიანობის ფორმებით.

ბუნებისდამცველი აქტიურობის სხვადასხვა პირობებში (რაციონალური და სხვა ხასიათისა) ჩვენ ვაწყდებით ამ აქტიურობის სხვადასხვაგვარ კონკრეტულ სიტუაციებსა და მიზნებს, მეთოდებსა და საშუალებებს.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებაში „სასარგებლო წიაღისეულისა და ტორფის საბადოების დამუშავების, გეოლოგიურ-სადაზვერვო, სამშენებლო და სხვა სამუშაოების წარმოების დროს მიწების რეკულტივაციის, ნიადაგის ნაყოფიერი ფენის შენარჩუნებისა და რაციონალური გამოყენების შესახებ“⁴⁹ გათვალისწინებულია, მაგალითად, რომ მიწების რეკულტივაციას, თუ საყოველთაოდ გავრცელებული სასარგებლო წიაღისეულის საშინაო საჭიროებისათვის დამუშავებისას მიწით მოსარგებლეებმა დაარღვიეს მიწების ნიადაგური საფარი, ისინი ახდენენ საკუთარი ხარჯით, ხოლო იმ მიწების აღდგენის პირობებს, რომელთა ნიადაგური საფარი დაირღვა უკიდურესი ჩრდილოეთის რაიონებში. უდაბურ რაიონებსა და ცალკეულ დაუხანძრებელ ადგილებში სასარგებლო წიაღისეულის საბადოების დამუშავების და სხვა სამუშაოების დროს, თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში განსაზღვრავს მოკავშირე რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დაინტერესებულ უწყებებთან შეთანხმებით.

თუ ბუნების დაცვის საბუნებისმეტყველო-მეცნიერულ სტადიაზე სიტუაციის შემადგენლობა წმინდა საბუნებისმეტყველო-ბუნებრივი ფაქტორები და მათ შორის სხვადასხვა თანაფარდობა, იურიდიულ სტადიაში — ეს არის იურიდიულად გაფორმებული ან ასეთად გასაფორმებელი სოციალური ფაქტორები, ისევე როგორც სხვადასხვა ურთიერთობანი მათ შორის.

სწორედ ამიტომ, საზოგადოებაში ბუნებისდამცველი აქტიურობის სამართლებრივი გამოკვლევები ხასიათდება, ასეთი აქტიურობის სხვა გამოკვლევებისაგან (საბუნებისმეტყველო-მეცნიერული, ეკონომიკური, მორალურ-ეთიკური, ფილოსოფიური) განსხვავებით, უპირველეს ყოვლისა მათი ფაქტობრივ-ობიექტური შინაარსის თავისებურებებით.

საჭიროა აღინიშნოს, რომ ბუნების დაცვის დარგში საბჭოთა სახელმწიფოს სამართველო აქტიურობა გამოიხატება გარემოს ხარისხის მართვის სისტემაზე შინაარსით მარგანიზებულ-მარეგულირებელი, და ძირითადად, ფორმით, სამართლებრივი ზემოქმედებით.

სახელმწიფო-მართველობითი ზემოქმედება შეიცავს სამართლებრივ მითითებებს, რომლებსაც ექვემდებარება ადამიანთა შეგნება, საქციელი და საქმიანობა მმართველ და მართულ სისტემებში. თავისი მიზნებით ზემოქმედება მიზნად ისახავს როგორც თვით სახელმწიფოს ფუნქციონირებისა და განვითარების უზრუნველყოფას მისი ბუნებისდამცველი ორგანოების სახით, ისე სახელმწიფოს მიერ თავისი ბუნებისდამცველი ფუნქციის ეფექტიანი განხორციელებისათვის პირობების შექმნას.

მაშასადამე, ტერმინი „ზემოქმედება“ უკვლავ სრულად ასახავს საბჭოთა სახელმწიფოს ბუნებისდამცველი აქტიურობის არსს გარემოს ხარისხის მართვის სისტემაში, ავლენს მმართველი და მართვადი ქვესისტემების ურთიერთობის მომენტს და ამით უფრადლებას მიაპყრობს მათი



ურთიერთკავშირის მექანიზმს, ეს საშუალებას გვაძლევს რაც შეიძლება სრულად და მრავალ-მხრივად დავახასიათოთ გარემოს ხარისხის თვით მართვა.

ჩვენი აზრით, სამართლებრივი ნორმებით განმტკიცებული სახელმწიფო-მმართველი ზემოქმედება ქმნის გარემოს ხარისხის მართვის ფუნქციურ სტრუქტურას, რომელიც შეიცავს ამ სახეობის სოციალური მართვის შინაარსს და მისი არსის განმასწავლებელი გამოხატვაა.

ვერ დავეთანხმებით ვ. ვ. პეტროვის აზრს, რომელიც გარემოს ხარისხის მართვად მიიჩნევს იმ ღონისძიებათა სისტემას, რომელთა მიზანია საზოგადოებრივი განვითარების ეკოლოგიური და ეკონომიკური მოთხოვნილებების თანაფარდობის რეგულირება¹⁰.

აქეთი განსაზღვრება ანიველირებს გარემოს ხარისხის მართვის მექანიზმს, არ გვაძლევს საქმარის წარმოდგენას მისი არსის შესახებ.

გარემოს ხარისხის მართვის არსში უპირველესი და განმასწავლებელია ფუნქციური სტრუქტურა. რომელიც ორგანიზაციულ სტრუქტურასთან ერთად განაპირობებს ბუნების დაცვის დარგში სამართველო საქმიანობის მექანიზმს.

საბჭოთა სახელმწიფოს მექანიზმი (მისი ბუნებისდამცველი ორგანოების სახით) გარემოს ხარისხის მართვის ფუნქციურ სტრუქტურასთან და შინაარსთან ერთად მისი ორგანიზაციული სტრუქტურის ფორმირების საფუძვლად გვევლინება. გარემოს ხარისხის მართვის შინაარსის ფორმირება და რეალიზაცია, მისი ორგანიზაციული სტრუქტურის შექმნა და სრულყოფა ხორციელდება სახელმწიფო ბუნებისდამცველი ორგანოების განსაკუთრებული სამართველო საქმიანობის მეშვეობით. ეს საქმიანობაც გარემოს ხარისხის მართვის არსის ერთ-ერთი გამოვლინებაა.

ამრიგად, გარემოს ხარისხის მართვის არსის უველა ძირითადი ელემენტის შექაამებისას შესაძლებლად მიგვაჩნია მისი ცნება შემდეგნაირად განვსაზღვროთ:

გარემოს ხარისხის მართვა — ეს არის გარემოს დაცვის დარგში წარმოშობილ საზოგადოებრივ ურთიერთობებზე საბჭოთა სახელმწიფოს მეცნიერულად დასაბუთებული, მიზანდასახული, უფლებამოსილი ზემოქმედების სისტემა ამ გარემოს სტაბილური, საზოგადოებრივი და ეკოლოგიური მოთხოვნილებების შესაბამისი ხარისხის უზრუნველყოფისა და ამ ხარისხის უზრუნველსაყოფად ადამიანთა საქმიანობის რეგულირების მიზნით.

განსაზღვრებას საფუძვლად უდევს სოციალური მართვის, საბჭოთა სახელმწიფო მართვის ცნებათა ლოგიკური კავშირი და საშუალებას გვაძლევს გარემოს ხარისხის მართვის შემეცნებისას გამოვიყენოთ მეცნიერული ცოდნის მთელი მოცულობა და კვლევის ინსტრუმენტები. პრაქტიკული თვალსაზრისით, მოცემული განსაზღვრება საშუალებას გვაძლევს გამოვიკვლიოთ გარემოს ხარისხის მართვის დარგში სახელმწიფო ბუნებისდამცველი ორგანოების საქმიანობის ეფექტიანობა, უფრო ღრმად შევისწავლოთ და სრულყოთ მართვადი ქვესისტემები ამ ამოცანების შესაბამისად, რომელიც მართვას სკკ XXVI ყრილობამ და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობამ დაუსახეს¹¹.

¹⁰ См. «Круглый стол», Правовая охрана окружающей среды, «Советское государство и право», 1979, № 9, с. 99.
¹¹ იხ. სკკ XXVI ყრილობის მასალები, „კომუნისტი“, 1981 წლის 25, 26 თებერვალი; საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის მასალები, „კომუნისტი“, 1981 წლის 26-30 იანვარი.

საპარტიო სსრ უმაღლესი სასამართლო კლავსი

1981 წლის 25-26 ივნისს გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმი.

პირველ საკითხზე — „რესპუბლიკაში სასამართლო პროცესების აღმზრდელობითი შემოქმედების შემდგომი ამაღლების ღონისძიებების შესახებ“ — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს 1980 წლის 28 ოქტომბრის დადგენილების შესრულების მიმდინარეობა რესპუბლიკის სასამართლო ორგანოებში — მოხსენებით გამოვიდნენ საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრი ა. შუშბანაშვილი და საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლო თავმჯდომარე ა. პარბანაძე.

აღინიშნა, რომ რესპუბლიკის სასამართლო ორგანოები, განსაკუთრებით საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლო, მნიშვნელოვან ღონისძიებებს სახევენ და ახორციელებენ ამ დიდმნიშვნელოვანი დადგენილების შესასრულებლად.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს დადგენილების მიღების შემდეგ რესპუბლიკაში წინა წლებთან შედარებით ბევრი რამ გაკეთდა სასამართლო პროცესების აღმზრდელობითი, გამაფრთხილებელ-პროფილაქტიკური როლის სრულყოფისათვის. მათ შორის ორგანიზაციულ დონეზე ჩატარებისათვის. ხორციელდება ქმედითი ღონისძიებანი სასამართლოს მუშაკთა პროფესიული ღონის ამაღლების და სასამართლოების მატერიალურ-ტექნიკური პირობების გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად, რაც დადებითს გავლენას ახდენს სასამართლო პროცესების ღონესა და კულტურაზე.

საქართველოს სსრ უმაღლესმა სასამართლომ პირველი ინსტაციით სისხლის სამართლის საქმეთა განხილვასთან დაკავშირებით ადგილობრივ ხელმძღვანელ ორგანოებთან შეიმუშავა ერთობლივად ჩასატარებელ ღონისძიებათა გეგმა, რომელშიც გათვალისწინებულია სასამართლო პროცესების ორგანიზებულად მომზადებისა და მაღალ დონეზე ჩატარება. აგრეთვე სასამართლო პროცესების შედეგების გაცნობა საზოგადოებრიობისათვის. განსაკუთრებით იმ შრომითი კოლექტი-

ვისა და საუწყებო ორგანიზაციებისათვის, სადაც მოხდა დანაშაული.

სასამართლო პროცესების აღმზრდელობითი შემოქმედების ამაღლების მიზნით გასრულებულია პროპაგანდისტული და მასობრივი ინფორმაციის თითქმის ყველა საშუალება; საწარმოებისა და დაწესებულებების კოლექტივების კრებები, აგრეთვე რაიონული და სოფლის აქტივის კრებები, პარტიის, კომკავშირის, სახალხო კონტროლის რაიონული და საქალაქო კომიტეტების ბიუროს სხდომებზე საქმის გამჩქე მსხმართლეთა ინფორმაციების მოხსენა, რაიონულ, საქალაქო და რესპუბლიკურ გაზეთებში პროცესების შედეგების გაშუქება, ადგილობრივ რადიომაუწყებლობით გადაცემა, კინოჟურნალისათვის და ტელევიზიისათვის პროცესების გადაღება და სხვა.

საქმიანი კონტაქტები დამუარდა რაიონულ და საქალაქო პარტიულ კომიტეტებთან შექმნილ სამუშაო ჯგუფებთან.

ამათან, პლენუმზე ხაზგასმით იქცა, რომ საქმეთა სასამართლო განხილვის აღმზრდელობითი, გამაფრთხილებელი შემოქმედების დონე, სასამართლო ორგანოების საქმიანობა ამ დარგში გერ კიდევ ვერ უმაღლებს დღევანდელობის გარდელ მოთხოვნებს.

ზოგჯერ სასამართლოები სათანადოდ არ აფასებენ სამსჯავრო სხდომის მომზადების მნიშვნელობას, რაზეც გარკვეულწილად არის დამოკიდებული საქმის ოპერატიული და სწორი გადაწყვეტა. მსხმართლები ამ საქმეს ანდობენ სასამართლოს კანცელარიის მუშაკებს, თვითონ კი არ მონაწილეობენ სამსჯავრო პროცესების მომზადებაში. ასეთი მცდარი პრაქტიკა იწვევს არაორგანიზებულობას, სასამართლოს სხდომის არაერთხელ გადადებას, საქმეთა განხილვის ვადების უხეზად დარღვევას, ხელს უწყობს უმართებულო გადაწყვეტილებათა მიღებას, აქვეითებს მართლმსაჯულების ავტორიტეტს.

მოსამართლეთა ერთი ნაწილი სახალხო მსაჯულებს არ უქმნის საქმის მასალების გულმოდგინედ და ღრმად შესწავლის საჭირო პირობებს, რაც სამსჯავრო გამოძიებასა და სასამართლო გადაწყვეტილებათა დადგენა-

ში მათი აქტიური მონაწილეობის აუცილებელი პირობაა.

სერიოზული ნაკლოვანებებია სასამართლოს გამსვლელი სხდომების ორგანიზაციაში. შრომით კოლექტივებში ზოგჯერ განიხილება ნაკლები რეზონანსისა და მნიშვნელობის საქმეები, ხშირად სწორად არ არის განსაზღვრული სხდომის ჩატარების ადგილი და დრო, ამ უმნიშვნელოვანეს საქმეში აღმოფხვრილი არ არის ფორმალისმი.

გამსვლელი სხდომები საწარმოებში არცთუ იშვიათად იმართება სამუშაო საათებში, მოუწყობელ და ამისათვის შეუსაბამო შენობაში. სხდომები იწყება დიდი დაგვიანებით, საქალაქო დავათა ნაწილი კი განიხილება მხარეთა დაუსწრებლად.

სასამართლო განხილვაში საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა მონაწილეობის საქმეში ვხვდებით ბევრ ხარვეზს. სასამართლოები ყოველთვის არ იჩენენ საჭირო ინიციატივას საქმეთა განხილვაში საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა მონაწილეობის უზრუნველსაყოფად. ზოგჯერ საზოგადოებრივ ბრალმდებელს და საზოგადოებრივ დამცველს უშვებენ საამისო რწმუნების უქონლად. ან შესაბამისი განჩინების დაუდგენლად, ბევრი მათგანი სამსჯავრო სხდომის პასიური მჭვრეტელია.

უკეთა მოსამართლე არ იღებს ზომებს სამსჯავრო სხდომაზე იმ პირობებისა და მიზეზების გამოვლინებისათვის, რომლებმაც ხელი შეუწყო დანაშაულის ჩადენას. დაბალია დადგენილ კერძო (განსაკუთრებული) განჩინებათა ხარისხი. არის შემთხვევები, როცა ეს მნიშვნელოვანი დოკუმენტი სამსჯავრო სხდომაზე არც ქვეყნდება, რითაც მცირდება მისი აღმზრდელობითი ზემოქმედება.

საჭირო კონტროლი არ არის დაწესებული კერძო (განსაკუთრებული) განჩინებათა აღსრულებისადმი, ნაკლებად იყენებენ ამ საქმეში სახალხო მსაჯულთა საბჭოების შესაძლებლობებს.

სამართალმზღველობით საქმიანობაში უგულველყოფილია სასამართლოს განაჩენების მნიშვნელობა. მათი დიდი ნაწილი არ ქვეყნდება პრესის ფურცლებზე, არ გადაიყვება რადიოთი და ტელევიზიით, სასამართლო მუშაკები მათს შინაარსს იშვიათად აცნობენ შრომით კოლექტივებს; ამ ხარვეზებისა და ნაკლოვანებების გამო სასამართლო პროცესების ნაწილი არ იძლევა საჭირო შედეგებს. მათ არ მოსდევს შესაბამისი საზოგადოებრივ-პოლიტიკური უღერადობა, რაც ამცირებს სამართალდარღვევებთან ბრძოლაში მშრომელ-

თა აზრის მობილიზებას, ვერ უზრუნველყოფს სასამართლო პროცესების აღმზრდელობითი და გამაფრთხილებელ-პროფილაქტიკური ფუნქციის განხორციელებას.

მეორე საკითხზე — სასამართლოების მიერ უაღიდან ქონების განთავისუფლების (აღწერილობის სიიდან ამორციხვის) საქმეების განხილვისას სასამართლოების მიერ კანონმდებლობის გამოყენების თაობაზე სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1978 წლის 31 მარტის დადგენილების შესრულების შესახებ — მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრმა ლ. ისტაძამ.

აღინიშნა, რომ სოციალისტური ორგანიზაციებისა და მოქალაქეების კონებრივი უფლებების დაცვის ერთ-ერთი ქმედითი საშუალებაა სასამართლო განცხადებებს წარდგენა უაღიდანსაგან ქონების გათავისუფლების შესახებ. ამ საქმეთა განხილვისას სასამართლოები მნიშვნელოვან უთმობენ მატერიალური ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფისა და კონებრივი უფლებების დაცვის საკითხებს.

მაგრამ ამასთან ერთად ზოგიერთი სასამართლო ჯერ კიდევ უშვებს არსებითი ხასიათის შეცდომებს, რაც ამცირებს სახალხო დოვლათის დაცვასთან და სოციალისტური საკუთრების წინააღმდეგ სხვა დანაშაულობასთან ბრძოლის ქმედითობას.

ხშირად სასამართლოება იჩენენ უპრინციპობას, მოცემული კატეგორიის საქმეებზე უსწორად არ აკმაყოფილებენ მესამე პირთა სარჩებებს, რითაც არღვევენ მოქალაქეთა კანონიერ ინტერესებს.

პლენუმმა მოისმინა აგრეთვე საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრის ნ. წიქორიძის მოხსენება — „ნარკოტიკულ ძლიერ-მოქმედ და შხამ ნივთიერებათა დატაცების უკანონო დამზადებისა და გავრცელების საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1977 წლის 4 აპრილის № 2 დადგენილების შესრულების მიმდინარეობა.

ზაზი გაეხვა იმ გარემოებას, რომ სასამართლოები ძირითადად სწორად იყენებენ კანონმდებლობას ამ დანაშაულთა წინააღმდეგ.

ამასთან ერთად სასამართლოების საქმიანობაში არის ნაკლოვანებანი, რომლებიც ხელს უშლის აღნიშნული ბოროტების ბოლოკვე აღმოფხვრის ამოცანის შესრულებას.

ცალკეული სასამართლოები ყოველთვის იღებენ ზომებს ნარკოტიკულ ძლიერმოქმედ და შხამიან ნივთიერებათა შექმნის წყაროს



დასადგენად, დანაშაულის უკველა მონაწილის გამოსავლენად. აგრეთვე იმ მიზეზებისა და პირობების გამოსაკვლევად და აღსაკვეთად, რომლებმაც ხელი შეუწყო დანაშაულის ჩადენას.

ზოგიერთი სასამართლო სათანადოდ არ იკვლევს ნარკოტიკულ, ძლიერმოქმედ და შხამიან ნივთიერებათა გატაცების, უკანონო დამზადების, შეძენის, შენახვის, გადაზიდვის ან გადაგზავნის მიზანს. ამის შედეგად მცდარი დასკვნები გამოაქვს და სწორად არ აკვალიფიცირებენ ჩადენილ დანაშაულს.

ჩერ კიდევ არ ჩამოყალიბდა ერთიანი პრაქტიკა იმ საკითხებზე, თუ როგორი ქმედობა უნდა ჩაითვალოს დიდი ოდენობით ნარკოტიკულ, ძლიერმოქმედ და შხამიან ნივთიერებათა გატაცებად და გავრცელებად.

სასამართლოები უოველთვის არ იცავენ საქართველოს სსრ სსკ 68-ე მუხლის მოთხოვნას დანაშაულის ჩადენილ ნარკომანისთვის ძირითად სასჯელთან ერთად იძულებითი მკურნალობის დანიშვნის შესახებ, სათანადოდ არ რეაგირებენ გამოძიების ორგანოების მიმართ, როდესაც დამნაშავე პირი სათანადოდ შესწავლილი არ არის და გამოკვლეული არ არის, იგი ჩვეული ნარკომანია თუ არა და საპირობებს თუ არა მკურნალობას.

კვლავ ირღვევა საქართველოს სსრ სსკ 92-ე მუხლის მოთხოვნა ნივთიერ მტკიცებულებათა საკითხის გადაწყვეტის თაობაზე, ზოგჯერ განაჩენებში ეს საკითხი საერთოდ გამოტოვებულია ან სწორად არ არის გადაწყვეტილი. ხდება ისეთ ნარკოტიკულ, ძლიერმოქმედ და შხამიან ნივთიერებათა კონფისკაცია, რომლებიც უნდა მოისპოს.

ხდება დარღვევები სახალხო მოსამართ-

ლეთა მიერ ნარკოტიკულ ნივთიერებათა უკანონო ხმარების შესახებ მასალების ერთი-როვნული განხილვის დროსაც.

მოცემული კატეგორიის საქმეებზე სასამართლო პრაქტიკაში ჩერ კიდევ ვხვდებით მოკლევადანი თავისუფლების აღკვეთის, აგრეთვე აშკარად ლობობიერი სასჯელის შეფარდების შემთხვევებს. უკანონო მსჯელობების შემთხვევებს.

სასამართლოები არასრულწლოვან სამართალმღრვევთა საქმეების განხილვისას, ზოგჯერ სათანადოდ არ იკვლევენ დანაშაულის ჩადენის მიზეზებს, ხელშემწყობ პირობებს და არ ცდილობენ იმ პირთა გამოკვლენას, რომლებმაც არასრულწლოვანი დააუყენეს დანაშაულის გზაზე.

სუსტია პროფილაქტიკური მუშაობა. სასამართლოები იშვიათად აწუბენ გამსჯელი სესიებს იმ საწარმოებსა და დაწესებულებებში, რომელთა შრომითი კოლექტივის წევრმა ჩაიდინა დანაშაული, მხილებულია ნარკოტიკულ, ძლიერმოქმედ და შხამიან ნივთიერებათა დატაცებასა, დამზადებასა ან გასაღებაში, იმხილება ნარკოტიკულ ნივთიერებათა მოხმარების ბუნების მოწყობაში ან ამ მიზნით სადგომის მიცემაში.


განხილულ საკითხებზე პლენუმმა მიიღო შესაბამისი დადგენილებანი. პლენუმმა განიხილა სსრ კავშირის გენერალური პროკურორის მოადგილის პროტესტი სისხლის სასამართლის საქმეზე.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ პროკურორი ბ. ბარბაქაძე, საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრი ბ. შუშანაშვილი.

რესპუბლიკური თათბირ-სემინარი

1981 წლის 15 მაისს საქართველოს სსრ იუსტიციის სხდომათა დარბაზში გაიმართა რესპუბლიკური თათბირ-სემინარი, რომელიც მიეძღვნა „მშრომელთა სამართლებრივი აღზრდის ამოცანებს სსკ XXVI ურილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად“. იგი მოაწყო საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრომ შინაგან საქმეთა სამინისტროს, საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობასა და სახალხო უნივერსიტეტის რესპუბლიკურ საბჭოსთან ერთად. თათბირ-სემინარს ესწრებოდნენ სამართლებრივი ცოდნის სახალხო უნივერსიტეტების რექტორები, პრორექტორები, ლექტორები და აღმინისტრაციული ორგანოების მუშაკები.

თათბირ-სემინარი შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრმა ა. შ. შუშანაშვილმა. მან ილაპარაკა სასამართლებრივი ცოდნის სახალხო უნივერსიტეტების მუშაობის მნიშვნელობაზე. კერძოდ, აღნიშნა, რომ იურიდიული ცოდნის გავრცელება დიდ სამსახურს უწევს კანონიერებისა და მართლწესრიგის შემდგომი განმტკიცების საქმეს, საბჭოთა ადამიანებას სამართლებრივი კულტურის ამაღლებას, მშრომელთა სოციალისტური მართლშეგნების ჩამოყალიბებას, სამართლებრივი ცოდნის სახალხო უნივერსიტეტები, აუცილებელ იურიდიულ ცოდნას უპირველესად აწვდიან იმათ, ვინც თავისი სა-



ზოგადებრივი საქმიანობით სამართლის სფეროსთან არის დაკავშირებული.

მიუხედავად იმისა, რომ სამართლებრივი ცოდნის სახალხო უნივერსიტეტების ქსელი ამ უკანასკნელ ხანს რამდენამდე გაფართოვდა, იგი ჭერჭეროვით მინიმალურადაც ვერ აკმაყოფილებს დღევანდელი მისი გაზრდილ ამოცანებს. კერძოდ, თქვა მინისტრმა, ამჟამად რესპუბლიკაში მოქმედებს 84 სამართლებრივი ცოდნის სახალხო უნივერსიტეტი, სადაც 12846 მსმენელი სწავლობს. ეს კი მხოლოდ სუთიოდ პროცენტია იმ კონტინგენტისა, რომელიც სამართლებრივი ცოდნის ამაღლებას საქირებს. როგორც ვხედავთ, სამართლებრივი ცოდნის სწავლების სახალხო უნივერსიტეტების ქსელის კიდევ უფრო გაფართოება გადაუდებელი ამოცანაა. გარდა ამისა სახალხო უნივერსიტეტების მუშაობაში ძირფესვიანად უნდა აღმოიფხვრას ფორმალიზმი, არ დავეშვათ ლექტორთა კვალიფიკაციის დაბალი დონე, მივხედოთ სპეციალური ლიტერატურის გამოცემის საქმესაც.

მოსხენება „სკკპ XXVI ყრილობა საბჭოთა პოლიტიკური სისტემის შემდგომი განვითარების შესახებ“ გააკეთა იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა ბ. ინჭაბერაძემ; სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად მართლმსაჯულების ორგანოების მუშაობას ამოცანების თაობაზე მსმენელებს ესაუბრა იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის მოადგილე პ. ბებიაშვილი; სკკპ XXVI ყრილობის შესაბამისად შინაგან

საქმეთა ორგანოების ამოცანებზე, საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებისა და სრულყოფის საკითხებზე ილაპარაკა საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სისხლის სამართლის სამძებროს სამმართველოს უფროსის მოადგილემ ნ. ქაპიტაშვილმა; „სკკპ XXVI ყრილობა სახალხო უნივერსიტეტების მუშაობის გაუმჯობესებისა და სრულყოფის შესახებ“ — ასეთი მოხსენებით წარსდგა მსმენელთა წინაშე საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობის სწავლული მდივანი სახალხო უნივერსიტეტების დარგში ბ. ბაბუაშვილი; თათბირ-სემინარის მონაწილეებს სსრ კავშირის საერთაშორისო მდგომარეობაზე ესაუბრა ისტორიის მეცნიარებათა კანდიდატი, დოცენტი პ. ბებიაშვილი.

თათბირ-სემინარის მუშაობა შეაჯამა სამართლის პროპაგანდისა და მოსახლეობის სამართლებრივი აღზრდის რესპუბლიკური საკოორდინაციო-მეთოდოლოგიური საბჭოს თავმჯდომარემ, საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის პირველმა მოადგილემ ზ. რატიანი.

მაგრამ დღეს გაიმართა საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს კოლეგიისა და საქართველოს სსრ სახალხო უნივერსიტეტების საბჭოს პრეზიდიუმის გაფართოებული სხდომა, რომელმაც მიიღო დადგენილება „სკკპ XXVI და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობების გადაწყვეტილებათა შესაბამისად რესპუბლიკაში სამართალმცოდნეობის სახალხო უნივერსიტეტების მუშაობის მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“.

ქადრების რეზერვის კვალიფიკაციის ამაღლება

ქადრების რეზერვის შერჩევა, მათი კვალიფიკაციის ამაღლება იუსტიციის სამინისტროს მუდმივი საზრუნავია. სახალხო მოსამართლეთა შორივი არჩევნების მზადებასთან დაკავშირებით პარტიის საქალაქო და რაიონულ კომიტეტებთან ერთად საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრომ შეარჩია და მოსამართლეთა რეზერვში ჩარიცხა ახალგაზრდა, პერსპექტიული, პოლიტიკურად მომზადებული იურისტები. ამ პირთა პროფესიული ცოდნის ამაღლებისა და მათი მომავალი სამოსამართლო საქმიანობისათვის მომზადების მიზნით ხორციელდება მთელი რიგი ღონისძიებები. სამინისტროს მითითებით შესებამისი სახალხო თავმჯდომარეებს დაევალოთ სისტემატუ-

რად იმუშაონ რეზერვთან პერსონალური გეგმით, მოაწყონ მათთვის პრაქტიკული ღონისძიებები სამოსამართლო საქმიანობის ათვისების მიზნით.

11 ივლისს საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს სხდომათა დარბაზში გაიმართა რესპუბლიკური თათბირ-სემინარი სახალხო მოსამართლეთა რეზერვთან. თათბირ-სემინარზე მოხსენებით გამოვიდა საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის მოადგილე პ. ბებიაშვილი. თათბირის მონაწილეთა წინაშე გამოვიდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. ელიშვილი, საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს სამმართველოს უფროსები: ბ.



ლილუაშვილი, ლ. ნიკუშაძე, ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. რმინიშვილი, საქართველოს სსრ სახანაართლო ექსპერტიზის სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის უფროსის მოადგილე გ. ბაბუნიძე.

თათბირ-სემინარის მუშაობაში მონაწილეობდნენ და სიტყვები წარმოთქვეს საქართველოს სსრ უმაღლესი სახანართლოს თავმჯდომარე ბ. კარბანაძე და საქართველოს სსრ იუსტიციის

ტიციის მინისტრის პირველმა მოადგილემ ზ. რაბინაძემ.

თათბირ-სემინარის მონაწილეებს უჩვენეს დოკუმენტური კინოფილმები სამართლებრივ თემაზე.

ბ. გომგობარიშვილი,

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს კადრების სამმართველოს უფროსი, კოლეგიის წევრი.

მოსწავლეთა სსსკვლ-შეიქმედებითი კონსერენსი

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების მე-60 წლისთავს მიეძღვნა მოსწავლეთა XX XVI რესპუბლიკური სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტის სამართალმცოდნეობის სექციის შემაჯამებელი სხდომა, რომელიც საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს საექტო დარბაზში გაიმართა.

კონფერენცია შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის პირველმა მოადგილემ ზ. რაბინაძემ. შემდეგ ტრიაუნა დაეთმოთ სამართალმცოდნეობის წრეებში გაერთიანებულ მოსწავლეებს, რომლებმაც საინტერესო მოხსენებები წაიკითხეს სამართლის სხვადასხვა საკითხებზე.

თბილისის 46-ე საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლის ნუგზარ სალიას თემა იყო „სისხლის სამართლის ჯანონის მოქმედება დროში“, თბილისის 124-ე საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლის ციციანო ასანაშვილისა — „არასრულწლოვანთა სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა“, თბილისის 150-ე საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლის ბთუნა კინანაძისა — „ჯანონი და პიროვნება“, თბილისის 61-ე საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლის გოჩა ჩხეიძისა — „ხულიგნობა და მასთან ბრძოლა“, თბილისის 142-ე საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლის იმეზე ასახაშვილისა — „ხალხური სიტყვიერება მავნე წეს-ჩვეულებების წინააღმდეგ“. ზუგდიდის მე-18 საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლის მერაბ ტუნაშვილი — „არასრულწლოვანი და დანაშაული“, თბილისის 117-ე საშუალო სკოლის VIII კლასის მოსწავლის ია დეპანოსიძისა — „არასრულწლოვანთა დამნაშავეობის მიზეზები და მათი აღმოფხვრის გზები“.

ამვე სკოლის VIII კლასის მოსწავლის ნანა ჯამუშაძისა — „არასრულწლოვანი და კანონი“, ლენტეხის სკოლა-ინტერნატის X კლასის მოსწავლის ბერდი ბაგდელიანისა — „ადგილი ლიგნე“ — „ჩემს ადგილზე რომ შენ იყო“, მანარაძის ოსტროვსკის სახელობის მე-2 საშუალო სკოლის IX კლასის მოსწავლის ზვიად კვანანტირაძისა — „სახელმწიფო საბჭო ანუ დარბაზობა მე-17-18 საუკუნეების საქართველოში“, ქუთაისის მე-4 საშუალო სკოლის VIII კლასის მოსწავლის მამბანა ჯიქიანი — „გულგრილობა უდიდესი დანაშაულია“ და თბილისის მე-12 საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლის ლალი გელაშვილისა — „მოქალაქეთა უფლება-მოვალეობანი დანაშაულის ადკეთა-აცილების საქმეში“.

კონფერენციაზე მოწვეული იყვნენ რესპუბლიკის საშუალო სკოლების სამართალმცოდნეობის პედაგოგები და ამ საგნით დაინტერესებული მოსწავლეები, რომლებმაც აქტიური მონაწილეობა მიიღეს მის მუშაობაში.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი დოც. რ. შენგელიანი, საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს სამართლის პროპაგანდისა და მოქალაქეთა სამართლებრივი აღზრდის სამმართველოს უფროსი ბ. ბუბაღაშვილი, სამინისტროს და შრომის წითელი დროშის ორდენოსანი ბორის ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სახალხის თანამშრომლები.

ბ. გურბანიძე,

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს უფროსი რედაქტორი.

ე. ი. ჯიჯეიშვილი



მოულოდნელად გარდაიცვალა ღვაწლმოსილი იურისტი, საქართველოს ადვოკატთა კოლეგიის წევრი — ევგრაფი იოსების ძე ჯიჯეიშვილი.

ე. ჯიჯეიშვილი დაიბადა 1908 წელს ლანჩხუთის რაიონის სოფელ სუფსაში. აქვე მიიღო პირველდაწყებითი განათლება. შემდეგ კი სწავლა განაგრძო ბათუმის საშუალო სკოლაში, რომლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ ჩაირიცხა იანაფლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტზე. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მან ექსტერნად ჩააბარა გამოცდები და მიიღო იურისტის კვალიფიკაცია.

ე. ჯიჯეიშვილი ახალგაზრდობის წლებშივე აქტიურად ჩება საზოგადოებრივ საქმიანობაში. 1924 წლის აგვისტოში მენშევიკური ავანტიურის დროს იგი სოფელ სუფსაში დააპატიმრეს მენშევიკებმა. ხოლო განთავისუფლების დღიდან იარაღი იბრძოდა მენშევიკების წინააღმდეგ.

1925-26 წელს მას, როგორც მოწინავე კომკავშირელს, ირჩვეს ალკა აქარის საოლქო კონფერენციის დელეგატად.

ბათუმის შრომის სკოლიდან. ამავე წელს იგი საქართველოს მუშ-გლეხკორთა ურილობის დელეგატია გურიიდან. ახალგაზრდობის წლებშივე წერდა საბავშვო ლექსებსა და მოთხრობებს, რომლებიც სისტემატურად იბეჭდებოდა უფროსად „პიონერში“ და პერიოდულ პრესაში.

1927 წელს მისი ინიციატივით დაიხვა საკითხი აქარის პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის ჩამოყალიბების შესახებ. ბიუროს შემადგენლობაში შევიდნენ შემდგომში ცნობილი მწერლები პ. ლორია, პ. რუტუა, ნ. მაღალანია, ვ. მახარაძე და სხვები. ასოციაციის პირველ თავმჯდომარედ აირჩიეს ე. ჯიჯეიშვილი. ამავე პერიოდში იგი აქტიურად თანამშრომლობს გაზეთ „ფუხარაში“.

1931 წელს ე. ჯიჯეიშვილი არის ერთ-ერთი ორგანიზატორი, დამაარსებელი და რედაქტორი კასპის რაიონული გაზეთისა „კომუნისმისაკენ“.

1932 წელს გადააყავთ ბორჯომის გაზეთის „ბოლშევიკური ტემპით“ რედაქტორად. ხოლო შემდეგ ერთ ხანს თბილისის მუშა ახალგაზრდობის „ტრამის“ და ქართული მოზარდ მაყურებელთა თეატრის დირექტორია.

1932 წლის აგვისტოდან ე. ჯიჯეიშვილი ქ. მოსკოვის პარტიის კრახანია პრესნიას რაიკომის ინსტრუქტორია. იმავე წელს იგი გადააყავთ კრახნოხოდნის პარტრაიკომის კულტურისა და პროპაგანდის განყოფილების გამგედ და ირჩივენ რაიკომის ბიუროს წევრად.

1933 წლის ბოლდან ე. ჯიჯეიშვილი გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ კორესპონდენტი, შემდეგ ფოთის საქალაქო გაზეთის „ფოთის მუშის“ და თბილისის „პროლეტარული სტუდენტობის“ რედაქტორია.

1934 წელს იგი გადააყავთ თიანეთის რაიონული გაზეთის „კოლექტორი მესაქონლები“ რედაქტორად. ამ წლებში იგი აქვეყნებს წერილებს, ლექსებს, ნარკვევებს „კომუნისტში“, „სპარტაკში“, „ფუხარაში“, „ახალ სოფელში“ და უფროსად „პიონერში“.

1935 წელს ე. ჯიჯეიშვილი აქარის ადვოკატთა კოლეგიის წევრი ხდება. პარალელურად აქტიურად მონაწილეობს გაზეთ „საბჭოთა აქარის“ რედაქციის მუშაობაში, შემდგომ კი ბათუმის რაიონის გაზეთის „კოლმეურნის გზის“ რედაქტორის მოვალეობას ასრულებს.

აქედან მოყოლებული სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე იგი, როგორც ადვოკატი, მტკიცედ დგას საბჭოთა მართლმსაჯულების სადარაჯოზე. დიდი ცხოვრებისეული გამოცდილება, მრავალმხრივი განათლება, ერუდიცია, მას საქართველოს ადვოკატთა მოწინავე რიგებში აყენებს.

სადაც კი გამოხუტა — მოსკოვსა თუ თბილისში, ლენინგრადსა თუ სვერდლოვსკში, გორსა თუ ტიუმენში, როსტოვსა თუ ტაშკენტში, საბჭოთა კავშირის მრავალ ქალაქებში, ე. წიჩვი-შვილი ყურადღებას იპყრობდა საქმის ღრმა ცოდნით, ყოველი დეტალის შესანიშნავი გაანალიზების უნარით, უბადლო ორატორული ნიჭით, რომელსაც ახლდა კეთილი იუმორი.

წავიდა ჩვენგან დეაწლმოსილი იურისტი, შესანიშნავი მეგობარი და ამხანაგი, რომელმაც ბოლომდე წმინდად ატარა საბჭოთა იურისტის მაღალი წოდება და როგორც ჯარისკაცი გარდაიცვალა პოსტზე, საქართველოს უმაღლეს სასამართლოში, სასამართლო პროცესზე, სიტუაციის წარმოთქმის დროს.

საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმი

დ. ი. გიორგაძე



გარდაიცვალა საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტი, რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი, 1939 წლიდან სკკპ წევრი დავით ილიას ძე გიორგაძე.

დ. ი. გიორგაძე დაიბადა 1908 წელს ვანში. 1937 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი და მიენიჭა იურისტის კვალიფიკაცია.

დ. ი. გიორგაძე სხვადასხვა დროს მუშაობდა კალინინის რაიონის სახალხო მოსამართლედ, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრად, შინაგან საქმეთა კომისარიატის ჯარების საქართველოს სამხედრო ტრიბუნალის წევრად, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯარების სამხედრო ტრიბუნალის თავმჯდომარედ, შინაგან საქმეთა სამინისტროს კოლონიების სასამართლოს თავმჯდომარედ, საქართველოს სსრ პროკურატურის განყოფილების პროკურორად.

1973 წლიდან იგი საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის წევრია. სასამართლოსა და პროკურატურის ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის დაჯილდოებული იყო მთავრობის ჯილდოებით, მადლობებით და საჩუქრებით.


იურისპრუდენციის დეაწლმოსილი მუშაკის, თავმდაბალი, გულისხმიერი და შესანიშნავი ადამიანის დავით გიორგაძის ნათელი ხსოვნა დიდხანს იცოცხლებს იმათ გულში, ვინც მას იცნობდა.

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლო.

საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმი.

შ. ო. ხილურელი



მოულოდნელად გარდაიცვალა დიდი სამამულო ომის ვეტერანი, სკკპ წევრი, შალვა ონისიძეს ძე ხილურელი.

იგი დაიბადა 1923 წელს გორში, ომი რომ დაიწყო, საბჭოთა არმიის რიგებში მსახურობდა და პირველი დღეებიდანვე ფრონტზე იყო. 1942 წელს მძიმედ დაჭრილი დაბრუნდა არმიიდან და განკურნებისთანავე შეუდგა შრომით საქმიანობას.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დამთავრებისთანავე შ. ხილურელი დაინიშნა თეთრი წყაროს რაიონის პროკურორის თანაშემწედ, სადაც 1966 წლამდე მუშაობდა. ამის შემდეგ სხვადასხვა დროს იყო თბილისის 25 კომისიის სახელმძღვანელო, ხაშურის, გორის, გარდაბნის და ლენინგორის რაიონების, აგრეთვე ქ. რუსთავის გამომძიებელი. 1963 წელს შ. ო. ხილურელი დააწინაურეს საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროში განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებლად, საიდანაც ავადმყოფობის გამო პენსიაზე გავიდა.

შ. ხილურელს პენსიაზე გასვლის შემდეგაც არ შეუწყვეტია თავისი სპეციალობით მუშაობა. 1975 წლიდან გარდაცვალებამდე იყო ჯერ საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის, ხოლო შემდეგ სამედიცინო ინსტიტუტის იურისკონსულტი.

მისი დამსახურება პროკურატურის ორგანოებში ბევრჯერ აღინიშნა ჩილდობით, ძაღლობით და საჩუქრებით.

შესანიშნავი მოქალაქე, გულიწმინდი და თავმდაბალი ადამიანი შ. ხილურელი დიდხანს ეხსოვებათ კოლეგებსა და მეგობრებს.

აგხანაგების ჯგუფი.

ცნობები ავტორთა შესახებ

- დავი გიორგის ძე სტურუა — საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, მრავალი მეცნიერული შრომისა და მონოგრაფიის ავტორი, მეორედ გამოდის ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე.
- ალექსანდრე ამირანის ძე შუშანაშვილი — საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, 28 მეცნიერული შრომისა და 4 მონოგრაფიის ავტორი, სისტემატურად თანამშრომლობს ჩვენს ჟურნალში.
- ზალვა პირილეს ძე მახარაძე — თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე, პირველად გამოდის ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე.
- თამაზ ირაქლის ძე ღონჯაშვილი — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმისა და პლენუმის სამდივნოს უფროსი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის ასპირანტი, პირველად გამოდის ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე.
- გრიგოლ არტემის ძე ვერემოვი — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის თეორიისა და სახელმწიფო სამართლის კათედრის პროფესორი, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, 68 შრომის, მათ შორის 36 წიგნის ავტორი, სისტემატურად თანამშრომლობს ჩვენს ჟურნალში.
- ვალერიან თადეოს ძე ბენიძე — საქართველოს სსრ პოლიტექნიკური ინსტიტუტის სკკპ ისტორიის კათედრის დოცენტი, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, 12 მეცნიერული შრომის ავტორი, მეხუთედ გამოდის ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე.
- დავით ევგენის ძე ცინცაძე — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დოცენტი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, სისტემატურად თანამშრომლობს ჩვენს ჟურნალში.
- ოლია გიორგის ასული ზანგური — რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი, საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტი, პირველად გამოდის ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე.
- კატა პავლეს ძე მუშიჩანკო — ოდესის ი. ი. მენჩიკოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სახელმწიფოსა და სამართლის თეორიისა და ისტორიის კათედრის უფროსი მასწავლებელი, პირველად გამოდის ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე.
- ავთანდილ სერგოს ძე ხაზალია — ოდესის ი. ი. მენჩიკოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სახელმწიფოსა და სამართლის თეორიისა და ისტორიის კათედრის ასპირანტი, პირველად გამოდის ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე.



«საბჭოთა სამართალი» («Советское право»), № 3, 1981 (на грузинском языке). Двухмесячный научно-практический журнал Министерства юстиции СССР, Прокуратуры СССР, Верховного Суда СССР.

Адрес редакции: Тбилиси, пр. Плеханова, 103. Тел. 95-58-87, 95-88-49.

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ

Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

შპს 50 კპპ.

1143 05 02 36 70185

